# საქართველო

სპორტული გაზეთი — შაბათი 18 თებერვალი 2003 №26 (1797) — ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# დღეს! ერთა ლიგა მუშაობას განაახლებს



გამოიზამთრა და დღეს განახლდება ჩემპიონთა ლიგა. თუმცაღა, გამოზამთრება როდი ნიშნავს უქმად ყოფნას და ძილს. სწორედ რომ პირიქით იყო და ევროპული ფეხბურთის განმგებმა ხალხმა ბლომად ილაპარაკა ლიგის მომავალზე, ხოლო კლუბებში უკვე შეიცვალა რაღაცეები.

განახლებულ ლიგაში ცვლილებები სხვებზე მეტად „ბარსელონას“ და „ლევერკუზენს“ უნდა დაეტყოთ, მწვრთნელგამოცვლილ კლუბებს, მაგრამ ვინძლო დანარჩენებმაც სხვანაირად ითამაშონ — ზოგმა უკეთ, ზოგმა უარესად.

დღევანდელი მატჩების წინ კი ისტორია გვამცნობს:

„არსენალმა“ „აიაქსთან“ წინა სამი შეხვედრა წააგო, თუმცა მათგან ბოლო 31 წლის წინანდელია. „მეთოფეთათვის“ უფრო სამწუხარო ის გახლავთ, რომ ამ სეზონში „ჰაიბერიზე“ ოთხიდან მხოლოდ ერთი თამაში მოიგო. „აიაქსი“ კი მთელი ოცი წელია, ინგლისში არ ჩასულა.

„რომასთვის“ დათარსულ ადგილად ქცეულა მისივე „სტადიო ოლიმპიკო“. მეტი რა გინდათ — ბოლო ათი სალიგო შეხვედრიდან რომაელებმა იქ მხოლოდ ორჯერ მოიგეს. „რომას“ უჭირს ესპანურ გუნდებთანაც, მაგრამ იგივე ითქმის „ვალენსიაზეც“, რომელსაც არასდროს მოუგია იტალიაში.

„ბარსელონამ“, ჩემპიონთა თასზე მიჯრით ათი მოგებით, „მილანის“ ძველი რეკორდი გაიმეორა და დღეს სხვა, ზოგადად ევროსათასო რეკორდის გამეორებას უმიზნებს — „აიაქსს“ 15 წლის წინ თასების მფლობელთა თასზე ზედიზედ 11 მატჩი აქვს მოგებული. „ბარსას“ მეტოქე კი „ინტერია“, რომელმაც ესპანეთში წინა ცხრა სტუმრობიდან მხოლოდ ერთხელ შეძლო გამარჯვება. „ბარსელონას“ და „ინტერის“ „კამპ ნოუზე“ ერთადერთი თამაში კი მილანელთა გამარჯვებით დასრულდა, ოღონდ ეს 33 წლის წინ მოხდა.

უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ „ნიუკასლს“, ინტერტოტოს თასს თუ არ ჩავთვლით, არასდროს უთამაშია გერმანულ გუნდებთან და რაკი მასაც და „ლევერკუზენსაც“ ჯგუფში ერთი ქულაც არ აქვთ, ამათში დამარცხებულს ჯგუფიდან გასვლის იმედი, ფაქტობრივად, აღარ დარჩება.

მოკლედ, ჩემპიონთა ლიგა ინტრიგით ბრუნდება. ისე ლიგა უინტრიგო როდის ყოფილა.

# ხუთი თითი ბორჯღალოსნების სახეზე



კლოდ სორელმა და ბორჯღალოსნებმა პორტუგალიაში მოულოდნელი მარცხი ნახეს

ევროპის ერთა თასი 2003. პირველი ტური

## პორტუგალია 34:30 საქართველო

16 თებერვალი. ლისაბონი. «ნასიონალი»

ვითომ ვერ უნდა მოგვეგო პორტუგალიისთვის? ცხადია, უნდა მოგვეგო, მაგრამ წავაგეთ. სპორტში ასეთი რამ არცთუ იშვიათად ხდება. აგერ, მაგალითიც: ექვსი ერის პირველივე ტურში იტალიამ უელსს დაუდო კვანტი. ზომიერი სენსაციაა და უელსელებს თავის მართლება მოუწევთ შინაურ მედიასთან და ქომაგებთან. ისინი ალბათ არ გაკადნიერდებიან და მარცხის მიზეზად რამდენიმე წამყვანი მოთამაშის ტრავმას არ დაასახელებენ, რაც უნდა იყოს, მათსა და იტალიას შორის განსხვავება თვალსაჩინოა თუნდაც სარაგბო კულტურაში, მოთამაშეთა საერთო დონეში და სხვა.

ასეა საქართველოს საქმეც. ნუ იფიქრებთ, რომ ბორჯღალოსნებს უელსს ან თუნდაც იტალიას ვადარებდეთ. ჩვენ საქართველოს პორტუგალიას ვაზომებთ და გული გვწყდება იმის გამო, რომ ჩვენს მძლეველებს ჩვენი დონის გუნდად ვერ შევიცნობთ. განა ასე დაასუსტა 70 ლეგიონერის მყოლი საქართველო ლევან ცაბაძის, ვანო ნადირაძის და გია ლაბაძის არყოფნამ, რომ მოყვარულ პორტუგალიელებს ველარ მოერია?

ბორჯღალოსნებმა ჩვენ გამარჯვებას მიგვაჩვიეს, მეტწილად ისინი იგებდნენ მოსაგებს და ახლაც მათგან ამას ველოდით. ჩვენ გვინდოდა, ჩვენ გვჭირდებოდა მათი გამარჯვება, რაკი კარგა ხანია, ამ დაქცეულ ქვეყანაში მათი გამარჯვება გაცილებით მეტად აღიქმება, ვიდრე 50-კაციანი ჯგუფის წარმატება. რას ვიზამთ, შევეგუოთ დღევანდელ მარცხს და დაველოდოთ ხვალინდელ თამაშებს, ბორჯღალოსნებს კიდევ ექნებათ მათი შემყურე ერისთვის პატარა სიხარულის მინიჭების საშუალება.

# სახვაძე — ალექსიძე

## დინამოს გაორებული მახვილი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" მაკედონიიდან ხორვატიაში გადაბარგდა და იქ ავარჯიშებს ბალკანურ შეკრებას.

დინამოელები სპლიტიდან 60 კილომეტრში, საკურორტო ადგილ მარასკაში დაბინავდნენ — სასტუმრო „მეტეორი" ადრიატიკის ზღვიდან რამდენიმე მეტრშია წამოჭიმული.

უქმეებზე კი შეუპაკვეს „ჰაიდუკს" მისსავე სახლში, სპლიტის სტადიონ „პოლიუდზე" გაეჯიბრნენ და გაიმარჯვეს კიდეც — 1:0.

გოლი რატი ალექსიძემ გაიტანა 69-ე წუთზე. შეტევა თეიმ ხიზანეიშვილმა წამოიწყო, შემდეგ არჩილ სახვაძე გაიჭრა კარგად მარცხენა ფლანგზე, მეტოქის საჯარიმოშიც შეაღწია და ალექსიძეს უპასა — რატიმ მკერდით ჩამოიღო ბურთი და მცველებთან ბრძოლაში საგოლედ მოუქნია ფეხი.

ალექსიძეს ერთხელაც ჰქონდა გატანის შანსი, ლადო ახალაიას კი ორჯერ — იმავე სახვაძის ჩაწოდების შემდეგ ახალაიამ თავური ზარისხათის გაურტყა.

უქმად არც ხორვატები ყოფილან — მასპინძლებს ორი ჩინებული შანსი გაუნიავებიათ.

შეხვედრა კარგ მინდორზე ჩატარდა და ამინდიც საფეხბურთო ყოფილა, რამაც „დინამოს" საშუალება მისცა საუკეთესო თვისებების წარმოსაჩენად. როგორც კლუბის პრესატაშე ლევან სალუქვაძემ გვითხრა, დინამოელებმა თავისი თამაში მოახვიეს მეტოქეს და ჩვენებურთაგან ყველაზე გამორჩეულად სახვაძე უთამაშია.

მატჩი კომერციული არ იყო — „ჰაიდუკ" მუნიციპალური სტადიონის იჯარის და სხვა სახის ხარჯებს მოერიდა — გულშემატკივარი თამაშს არ დაესწრო, მხოლოდ ჟურნალისტები შეუშვა სარბიელზე.

„დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ზოიძე (გვარამაძე 58); შაშიაშვილი, გაშაკიძე (ხიზანიშვილი 67), ამისულაშვილი; კარლოსი (მანჯგავა 76), გოგიბერიშვილი (კანდელაკი 70), სახვაძე, ანჩაბაძე (კვირკველია 76); დარასელია (სამხარაძე 63), ახალაია (ბობოხიძე 54), ალექსიძე (მიქაძე 70).*

საქართველოს ათგზის ჩემპიონი მომდევნო მატჩს დღეს ითამაშებს ხორვატიის მეორე ლიგის რომელიმე გუნდთან, ხვალ კი მაკედონიურ „ვარდარს" ან ხორვატიის რომელიმე უმაღლესლიგელს გაეჯიბრება.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲒᲐᲠᲗᲙᲘᲚᲐᲫᲔ**

*მხიარული ქართული კინოფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" ვისაც ახსოვს, მაშინ ყარიბოელ გიჟუას ტორებში აფარებული მამასახლისი და არქიელიც გაახსენდება. ეკითხებიან თუ არა — გოგიას ქალი? — ეკითხება გიჟუა შიშისგან შემცბარ ხელისუფლების ქვეშევრდომებს და ორ ზოგნარ პასუხის მოსმენისთანავე არქიელი და მამასახლისი წუმპეში აღმოჩნდებიან.*

*ქართული ფილმის ეს პასაჟი ფეხბურთის ფედერაციის, რკინიგზის დეპარტამენტის და თელასის წარმომადგენელთა უნაყოფო შეხვედრებმა მოგვაგონა.*

# იხდიან, მაგრამ არ იხდიან

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ გიჟუას ნამდვილად ვერ გაუტოლდება, მაგრამ მისი მოთხოვნა საფუძვლიან მოკლებული ნამდვილად არ არის. ვინ დაფარავს რუსეთის ნაკრების თბილისში მეორედ სტუმრობის ხარჯებს? — გენერალური მდივანი კონკრეტულ კითხვაზე ითხოვს პასუხს და, მისივე თქმით, სულაც არ აინტერესებს გასული წლის 12 ოქტომბრის უთამაშობაში ვინ დაიდო ლომის წილი.

თელასი და რკინიგზა რაღაცით მამასახლისს და არქიელს მოგაგონებთ, რომლებმაც იციან, რომ რუსთა სამასპინძლო თანხები მათი გასაღებია, მაგრამ დაახლოებით 180-200 ათასი ლარიც ძნელად გასამეტებელია. თანაც არც ერთ მათგანს არ სურს, 12 ოქტომბრის საქმეში მთავარი დამნაშავე იყოს.

ვალერი ჩოლარიას განცხადებით, თელასიცა და რკინიგზაც პრინციპში თანახმანი არიან ჯიბეზე ხელი გაიკრან, მაგრამ... აი, ის მაგრამ არ შორდება ამ საქმეს. აღნიშნულ სამეულს შესათანხმებლად ორი შეხვედრა აქვს უკვე და მესამედ უკვე დასახელებული ორგანიზაციების პირველი პირები უნდა მოუხსენდნენ საერთაშორისო მაგიდას. არც იმის გარანტია არსებობს, რომ მესამე შეხვედრა მოიტანს თანხმობას და ასე გაგრძელდება ვინ იცის, როდემდე.

გოგიას ჩვენი ეროვნული გუნდი ჩამოჰგავს, რომელიც საცოლისა რაღა მოგახსენოთ და შესარჩევ ჯგუფში არცთუ სახარბიელო ადგილს კი იპოვის.

ამჟამი უთამაშობისა და მავანთა დარდიმანდობის გადამკიდე კი წუმპეში ქართული ფეხბურთი აღმოჩნდება, რომელსაც პრობლემები ისედაც ახრჩობს. არც ის გამორიცხოთ, ქართულმა ფეხბურთმა რუსეთის გუნდი ნისიად იწვიოს და ხიმერთით მეორედ გრომბთ ვალი ნაწილ-ნაწილ გაისტუმროს.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში მისულმა ჟურნალისტებმა ყველაზე საინტერესო ის შევიტყვეთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი საქმის ვითარებით ვერთამაშ (დიდი ხანია არ ყოფილან) მეემე ჩაერიდნენ. მერაბ ჟორდანია ფიფას თავკაც იოზეფ ბლატერს ეწვევა და თბილისში სტუმრობის მის დაყოლიებას შეეცდება. ვალერი ჩოლარია ვერ უყურებ წარადგენს ანგარიშს, მერე თურქეთში გამოივლის და უეფას ხარჯით ეროვნული გუნდის ბაზისთვის აუცილებელ ინვენტარს შეუკვეთავს.

კიდევ ის გავიგეთ, რომ თბილისში ჩვენს გუნდთან ამხანაგურ შეხვედრის სურვილი საუდის არაბეთის ნაკრებს გამოუთქვამს. საუდეთთან თამაში წელიწლ 20 აგვისტოს, ანუ მომავალი წლის 9 თებერვალს შეიძლება შედგეს.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

# შემფა საზღვრებს გარეშე

## ბრაზილიიდან იაპონიამდე

ᲐᲮᲐᲚᲘ საუკუნე ინტერნეტის ხანაა. ის რაც ოდენ ფანტაზია იყო 10 წლის წინ, გასაოცარი რეალობაა დღეს.

დღეს შესაძლებელია, ინტერნეტით ქვეყნის ერთი ბოლო მეორეს წამიერად დაუკავშირდეს, ასევე სწრაფად მიწერ-მოწეროს და გამოსახულება გადასცეს. ინტერნეტით შესაძლებელია ორმა ან მეტმა მოსარგებლემ პირდაპირ რეჟიმში ილაპარაკოს, შეუყვარდეს და ვთქვათ პაემანიც დანიშნოს.

უინტერნეტოდ ვერც ფეხბურთი იქნება. ფეხბურთზე ინფორმაციის მიღებას ამარტივებს და აფართოებს ინტერნეტით სარგებლობა. ამ საერთაშორისო ქსელის მეშვეობით დღეს უკვე ბევრს მიუწვდება ხელი და თვალი, თუნდაც სამხრეთ ამერიკაში გამართული მატჩის პირდაპირ ვებ-რეპორტაჟზე. თუმცა ამ მხრივ ევროპულ ინტერნეტ-გვერდებს ბადალი არ ჰყავთ.

ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი უეფას ოფიციალური საიტია.

uefa.com, რომელიც უეფას შვილობილი ფირმა „უეფა ნიუ მედიას" პირმშოა, ევროპის 53 ქვეყნის შესახებ კრებს და ავრცელებს ინფორმაციას.

ინგლისურენოვანი uefa.com 2001 წლის აგვისტოდან მუშაობს. ხოლო დღეიდან უეფას ოფიციალური საიტი 7 ახალ ენაზე ოფიციალურად ალაპარაკდა. საკუთრივ კი 2002 წლიდან ფრანგული, გერმანული, იტალიური და ესპანური ვერსიები მოქმედებდა, რომლებსაც რამდენიმე კვირის წინ პორტუგალიური, რუსული და იაპონურიც დაემატა.

„ახალენოვან ვერსიათა გაშვება აქამდე არნახულ აუდიტორიას გვიქადის. ვიმედოვნებთ ეს იდეა, მთელი მსოფლიოს ქომაგებს დააინტერესებს" — განაცხადა „უეფა ნიუ მედიას" პრეზიდენტმა ალექსანდრ ფურტუამ.

uefa.com-ის მთავარი რედაქტორი დევიდ ფარელი კი მიიჩნევს, რომ ლინგვისტ-რედაქტორთა მძლავრი ჯგუფი და კორესპონდენტთა ევროპული ქსელი საშემოდგომოდ რამდენიმე ახალ ენაზეც „მოლაპარაკე" ვერსიასაც შემოგვთავაზებს.

„რუსული ენა უეფას წევრ 10 ქვეყანაშია გავრცელებული და 200 მილიონზე მეტი მცხოვრებისთვის მშობლიურია. ამათგან ყველაზე მეტი იმ რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეა, რომელთა ფეხბურთიც აღორძინების გზაზეა. ამ და სხვა ქვეყნების ქომაგებთან კარგად ნაცნობ ენაზე ლაპარაკი კი მნიშვნელოვანია" — ამბობს uefa.com-ის რუსული ვერსიის ქართველი რედაქტორი პავლე გოგნიძე.

რუსეთ-უკრაინის ამბავი გასაგებია, მაგრამ საქართველოს რაო, ალბათ, იკითხავთ:

რა და, რამდენიმე წლის წინ, ვთქვათ, ბრაზილიელისთვის ან იაპონელისთვის წარმოუდგენელი იყო ქართულ ფეხბურთზე ახალი ცნობების მოპოვება.

მაგალითად, „როიტერის" სააგენტომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატზე ინფორმაციის გავრცელება ყველაზე ადრე, მაგრამ მხოლოდ 2000 წელს დაიწყო. დღეს კი uefa.com იგივეს ერთდროულად 8 ენაზე გვთავაზობს.

ჯერჯერობით უცნობია, აპირებს თუ არა, უეფა საკუთარი ვებ-გვერდის გაქართულებას. თუმცა, რა ძნელი მისახვედრია, ეს სხვაზე მეტად ჩვენი ფეხბურთის წარმატებებსა და სწორ სვლა-გეზზეა დამოკიდებული.

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ**
*uefa.com-ის*
*კორესპონდენტი საქართველოში*




http://ru.uefa.com საქართველო — მოლდოვას ამასწინანდელ მატჩზე

# მსაჯები იკრიბებიან და დამტკიცებას ელიან

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ეტაპისთვის ემზადებიან მსაჯებიც. შაბათს დილით თემიდელები ბორჯომის გზას დაადგნენ ერთკვირიანი შეკრების გასავლელად. ბორჯომში ფეხბურთის ფედერაციის ხარჯით 30 მსაჯი წავიდა. მათ ათამდე ახალგაზრდაც შეემატათ, რომლებმაც საკუთარი ფინანსებით მიაშურეს ბორჯომს.

20 თებერვალს ანატოლი მილჩენკოს სამწყსოს ბელგიელი ალექს პონეც ეწვევა და ლექციებს წაუკითხავს. ბორჯომშივე მსაჯები გამოცდებს ჩააბარებენ თეორიაში, 21-ში საღამოს კი თბილისში დაბრუნდებიან.

ჩემპიონატის განახლებამდე თემიდელებს კიდევ ერთი „ტრადიციული" ნორმატივების ჩაბარება მოუწევთ.

აქვე მსაჯთა ასოციაციაზეც ვთქვათ. როგორც იცით, ფიფა-უეფას მოთხოვნით სფფ-ს მსაჯთა ასოციაციის შექმნა დაევალა. დამფუძნებელი კონფერენცია უკვე ჩატარდა და ახლა ასოციაციის დამტკიცებაღა დარჩა. ამას კი გუშინ არჩეული აღმასკომის წევრები პირველივე ყრილობაზე განიხილავენ.

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**



გურამ ლოლენჯაშვილის ფოტო

ანატოლი მილჩენკო

# იმერთა იმედი მამადი

## ტორპედო იწუნებს და იბრუნებს

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ" თურქულ ბელეკში მზადებას განაგრძობს. რიონისპირელები შეკრებაზე ორი თურქმენი ფეხბურთელით გაძლიერებულნი ჩავიდნენ, თუმც ალექსანდრ შტელინმა ბალდასარიანის სამსახურზე უკვე უარი თქვა.

— ბალდასარიანი ასაკითაც მხცოვანი იყო და ისედაც ვერ აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს, ამავეთან მუშაობა კი ნამდვილად ღირს. ის 18 წლისაა და საკმაოდ პერსპექტიულია — გვითხრა გუშინ „ტორპედოს" ერთ-ერთმა მწვრთნელმა ნოდარ ჭელიძემ.

ბალდასარიანის გარდა „ტორპედოს" კახა კვეტენაძეც დაშორდა, თუმც ის ოჯახური მიზეზების გამო დაბრუნდა სამშობლოში.

სამაგიეროდ, ქუთათურებს სევასტი თოდუა დაუბრუნდათ. შარშან ელისტის „ურალანში" განათხოვრებული თოდუა წლეულს რევაზ ძოძუაშვილმა ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში" თან წაიყვანა, თუმც ქართველმა ფეხბურთელმა ოსურ კლუბში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო. მისი ტრანსფერი ქუთათურებმა უკვე გამოითხოვეს.



გურამ ლოლენჯაშვილის ფოტო

სევასტი თოდუა

საქართველოს სამგზის ჩემპიონებს ნიგერიელი მამადი სანგარეს იმედიც აქვთ. უკრაინული ცსკა-ს მცველს სავიზო პრობლემები შექმნია და „ტორპედოს" შეკრების მერე, ქუთაისში შეუერთდება.

ამგვარად, ქუთათურები თანდათან ცდილობენ ქმოკლიძე-დიდავა-ასათიანის წასვლით დარჩენილი სიცარიელის შევსებას და ფარ-ხმალს ჯერაც არ ყრიან. ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე უარის თქმას სულაც არ ვაპირებთ, ასეთია ტორპედოელთა აზრი.

ბოლოს ალექსანდრ შტელინის სამწყსო სლოვენიის ერთ-ერთ კლუბთან 0:1 დამარცხდა, ხვალ კი კორეელებთან მოუწევს ძალების მოსინჯვა.

20 თებერვალს „ტორპედო" მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდება და სათასო მატჩებისთვის მზადებას იქვე, საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე გააგრძელებს.

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ**
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ
XXI ᲢᲣᲠᲘ
ᲐᲘᲜᲢᲠᲐᲮᲢᲘ 1:1 ᲙᲘᲝᲚᲜᲘ

**ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ**
ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ
III ᲔᲢᲐᲞᲘ. ᲒᲐᲓᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ
ᲡᲢᲠᲐᲜᲠᲐᲠᲘ 1:0 ᲤᲝᲠᲤᲐᲠᲘ

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ**
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
XXXII ᲢᲣᲠᲘ
ᲚᲔᲡᲢᲔᲠᲘ 1:1 ᲞᲝᲠᲢᲡᲛᲣᲗᲘ

**ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ**
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ
XXII ᲢᲣᲠᲘ
ᲒᲘᲛᲐᲠᲐᲔᲨᲘ 1:0 ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲐ

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ**
ᲡᲔᲠᲘᲐ C1/A. XXIV ᲢᲣᲠᲘ
ᲢᲠᲔᲕᲘᲖᲝ 0:2 ᲐᲚᲑᲘᲜᲝᲚᲔᲤᲔ

# ასათიანი სან სიროზე

## მილანის საქმე ქართველმა გააკეთა



**ხვალ** „სან სიროზე“ ჩემპიონთა ლიგა ბრუნდება — „მილანი“ მოსკოვის „ლოკომოტივს“ მასპინძლობს. ამ მატჩისადმი ჩვენი ინტერესი კი რკინიგზულ კლუბში მალხაზ ასათიანის გადასვლამ უფრო გააათმაგა. არა, ხვალ ასათიანის თამაში გამორიცხულია. ქართველი ნახევარმცველი წლეულს სულაც საერთოდ ვერ დაეხმარება მოსკოველებს ჩემპიონთა ლიგაში. ეს შანსი ასათიანს ამ სეზონში ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში ევროტურნირზე თამაშმა მოუსპო.

თუმც მალხაზ ასათიანი ხვალ მილანის „სან სიროზე“ მაინც იქნება, ოღონდ მხოლოდ მაყურებლის როლში.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ კვირას იტალიურ ჩოკოში საწვრთნელი შეკრება დაასრულა და გუშინ მილანს ესტუმრა. შეკრების ბოლო დღეს პირველად მიეცა თავის გამოჩენის შანსი ქართველ ახალწვეულს. მართალია, ასათიანი უკვე რამდენიმე დღეა, რკინიგზელებთან ვარჯიშობს, მაგრამ, ცხადია, „ლოკომოტივის“ მწვრთნელებს უმთავრესი ყურადღება საჩემპიონთალიგო სამზადისზე ჰქონდათ გადატანილი. საამისოდ კი იური სიომინმა შეკრება ორმხრივი თამაშით დაასრულა. 45-წუთიანი ბურთაობა ძირითად და სარეზერვო შემადგენლობათა შორის ფრედ 1:1 დამთავრდა. სარეზერვეოები თავიდან მაქსიმ ბუზნიკინის გოლით აგებდნენ, თუმც მატჩის მიწურულს მალხაზ ასათიანმა კოსტარიკელ უინსტონ პარკსს საგოლე პასი მიართვა და ანგარიშიც გათანაბრდა. რუს ჟურნალისტთა თქმით, მალხაზი ერთ-ერთი გამორჩეული ყოფილა მოედანზე.

**ძახა შალამბერიძე**



სად გააგრძელებს კახა ცხადაძე კარიერას?

# თეთრაძეს ცხადაძე დაღესტანში მიჰყავს

## გაჯიევმა ვეტერანებს თვალი შეავლო

**ომარ თეთრაძემ** თქვა: „მახაჩყალის „ანჟის“ თავკაცი გაჯი გაჯიევი ქართველი მცველის, კახა ცხადაძის გადაბირებას აპირებს. ამ ამბავს, ალბათ, წერტილი მალე დაესმება“.

ასეთი ცნობა გაავრცელეს გუშინ რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა. თბილისის „ლოკომოტივიდან“ წასვლის შემდეგ 35 წლის ცხადაძე დღემდე უგუნდოდ იყო. ბევრმა მისი კარიერა დასრულებულადაც ჩათვალა, თუმც თავად ფეხბურთელს ამის შესახებ ოფიციალურად არ განუცხადებია.

ახლა კი საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანს რუსულ პირველ ლიგაში თამაშის შანსი გაუჩნდა. ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია ეს, თუმც კვამლი ხომ უცეცხლოდ არ ჩნდება...

„ანჟიში“ თამაშის სურვილი ომარ თეთრაძემაც გამოთქვა. ვლადიკავკასის „სპარტაკ-ალანიადან“ რევაზ ძოძუაშვილის გამწვრთნელების შემდეგ წამოსული თეთრაძე გაჯი გაჯიევს დაითანხმდა და მალე, ალბათ, დაღესტნური კლუბის მაისურას მოირგებს. რუსეთის ნაკრების ყოფილი მცველი ოსებთან ფორმალური მხარეების მოგვარებას ელის. უფრო ზუსტად, დღეს რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტი მის საკითხს განიხილავს და, სავარაუდოდ, თავისუფალი აგენტის სტატუსს მიანიჭებს. სწორედ ამას ითხოვს თავად ფეხბურთელი.

**ძახა შალამბერიძე**

# კლიმენტი წიტაიშვილმა ჩერნომორეცი გაიფორმა

## ქართველი და ზანგი ბრაზილიელთა ალყაში



**ფოთის „კოლხეთიდან“** აბარგებული კლიმენტი წიტაიშვილი დიდხანს ეძებდა სასურველ კლუბს და ბოლოს ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ ამოყო თავი. კვიპროსული ვარიანტების ჩაშლის შემდეგ წიტაიშვილის გასინჯვის სურვილი რუსებმა გამოთქვეს და ქართველმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. ჩვენებურმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი ითამაშა „ჩერნომორეცის“ შემადგენლობაში და ახლახან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი.

გუშინწინ „ჩერნომორეცი“ კვიპროსულ შეკრებაზე წავიდა. გუნდს კუნძულზე, ცხადია, კლიმენტი წიტაიშვილიც გაჰყვა. ვალერი ჩეტვერიკის განკარგულებაში ჩვენებურის გარდა რუსეთში ცნობილი სხვა რამდენიმე ფეხბურთელიც მოხვდა — მეკარე მაქსიმ ლევიცკი, კამერუნელი ჩუისე, რომელიც მოსკოვის „სპარტაკს“ გაეცალა და თავდამსხმელი ოლეგ ტერიოხინი. ამათ გარდა ნოვოროსიისკელებს ახალ სეზონში ხუთი ბრაზილიელი ლეგიონერიც დაეხმარება.

„ჩერნომორეცი“ კვიპროსზე 2 მარტამდე ივარჯიშებს, მერე კი რუსეთში დაბრუნდება.

**ძახა შალამბერიძე**

# ქემოკლიძე ქოჯაელის ყბიდან ამოვარდა

## ქართველმა კარის წინ მორბენალი ბურთი ვერ შეჭამა



რევაზ ქემოკლიძე

„გუნდმა ბევრად უკეთ ითამაშა, ვიდრე „ბეშიქთაშთან“ — თქვა მატჩის შემდეგ „ქოჯაელისფორის“ მთავარმა მწვრთნელმა გიუვენჩ ქურთარმა — 4 ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და შეხვედრის ბოლოს მეტოქემ დაგვსაჯა. გატანილ გოლამდე მათ ერთი ხეირიანი მომენტიც კი არ შეუქმნიათ, რაც ჩვენი მცველების კარგ თამაშზე მეტყველებს. ახლა ყველანი მომავალ მატჩზე ვფიქრობთ. თუ ლიგაში დარჩენა გვსურს, „ბურსასფორი“ აუცილებლად უნდა დავამარცხოთ, რადგან მერე „გალათასარაი“ გვეწვევა“.

„ქოჯაელი“ ასეთ შავ დღეში დიდი ხანია არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ქომაგებს მწვრთნელისა და ფეხბურთელების სჯერა და მომავალ შაბათს ტრიბუნების შევსებას დაჰპირდნენ, რათა ჰაერივით საჭირო სამი ქულა როგორმე მოიპოვონ.

საგოლე მომენტებმა „სამსუნის“ კართან განსაკუთრებით მეორე ტაიმში იმატეს. ჯერ გია იმედაძემ გაიყვანა ბულგარელი გეორგიევი დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ გეორგიევმა უხეიროდ დაარტყა. ამის შემდეგ „სამსუნის“ მეკარემ რამდენჯერმე იხსნა გუნდი გოლისგან, მეთოხმეცე წუთზე კი იმ დღეს კარგად მოთამაშე რევაზ ქემოკლიძეს პირისპირ გასვლა რომ გამოეყენებინა, სრულიად იზმითი ერთი კვირის მანძილზე მასზე ილაქლაქებდა. მიუხედავად ამისა, იგი სტუმართაგან საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს, რადგან 90 წუთი ჯიგრიანად ითამაშა.

ერთადერთი გოლი 85-ეზე შეცვლაზე შესულმა ერთუღრულმა გაიტანა. ეს ბიჭი 1993-94 წლებში თურქული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა და მის გადასაბირებლად „გალათასარაიმ“ და „ბეშიქთაშმა“ კინაღამ ომიც დაიწყეს.

ქართველთა აქტივში უკვე პირველი ყვითელი ბარათიც გამოჩნდა. გივი დიდავა მეორე ტაიმში გააფრთხილეს, 83-ე წუთზე კი შეცვალეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბუხს! სულაც არ ქუხს...



ლევან ხომერიკი მოყვარულებმა შეიკედლეს

**როგორც ჩანს**, ჩემპიონებზე შემომჯდარი ლევან ხომერიკი მაისამდე სამოყვარულო „ბუხსს“ შეაფარებს თავს. შვეიცარიული მეორე ლიგის (ჩვენი საზომით რეგიონალლიგა) ბინადარ „ბუხსის“ მწვრთნელი ქართველ ფეხბურთელს ხელგაშლილი დახვდა, როლემდეც განდა ჩვენთან ითამაში. ხომერიკს ეს ვარიანტი სულაც არ ხიბლავს, თუმც, როგორც თავად გვითხრა, ფაქტობრივად, სხვა გზა არც დარჩენია:

— ახლა „ბუხსში“ ვვარჯიშობ. ამ კლუბის მწვრთნელთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებს და დახმარება შემომთავაზა. სხვა საქმეა, რომ „ბუხსის“ დონე სულაც არ მაკმაყოფილებს, მაგრამ უთამაშებლობას ისევ ეს ჯობია. ისე, ეს ამბავი გადაწყვეტილი ჯერაც არ არის. „ვოლენის“ ხელმძღვანელთა პასუხსაც ველოდები. ალბათ, ამ კვირაში ყველაფერს საბოლოოდ გადავწყვეტ. მაისამდე თავს როგორმე გავიტან, მერე კი თავისუფალი აგენტი გავხდები და ვფიქრობ, კლუბის მოძებნა არ გამიჭირდება“.

აქვე გეტყვით, რომ სამოყვარულო „ბუხსი“ ამ სეზონში მეტად შედეგიანად გამოვიდა შვეიცარიის თასზე. ქვედალიგელებმა ოთხი ეტაპის გადალახვა შეძლეს, მერე კი „ვილთან“ დამარცხდნენ პენალტების სერიაში.

**ძახა შალამბერიძე**


რეკლამა
სარბიელ—ში
**Tel: 39 40 08, 93 16 08;**
**Fax: 94 33 80**



REUTERS რომიდან

რომა — ბრეშა. დავიდე მიჩილომ ვინეჩენცო მონტელას ბურთი ფეხიდან ააცალა

# მეასე ანუ ვიერის ცხრამეტიანი

## იტალია

### სერია A. XXI ტური

### მილანი 2:2 ლაციო

0:1 სტანკოვიჩი (21), 0:2 ლოპესი (30პ), 1:2 ინძაგი (62), 2:2 რივალდო (70)
მილანი: დიდა, სიმიჩი (ბროკი 68), ნესტა, კოსტაკურტა, კალაძე (ლაურსენი 46), გატუზო (ფ. ინძაგი 46), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, რივალდო, შევჩენკო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლაციო: პერუცი, სტამი, ნეგრო (ოდო 74), მიხაილოვიჩი (პანკარო 68), ფავალი, ფიორე, ჯანიკედა, დ. სტანკოვიჩი (ლივერანი 79), სეზარი, კორადი, კ. ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ფიორე
მსაჯი: კოლინა
70 000 მაყურებელი

### კიევო 2:1 ინტერი

1:0, 2:0 კორინი (20პ, 35პ), 2:1 ვიერი (69)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა, ს. ლანა, ლუსიანო (დ. ფრანჩესკინი 66), კორინი, პეროტა, დელა მორტე (დ. ანდერსონი 76), ფ. კოსატო, პელისიერი (ბირჰოფი 68)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, ფ. კანავარო, გამარა, რეკობა (მორფეო 85), ოკანი, დი ბიაჯო (დალმა 60), კ. ძანეტი, ვიერი, ბატისტუტა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კანავარო, რეკობა, კორინი, დი ბიაჯო, ლუპატელი, კორინი
გაძევება: ოკანი (34), კორინი (90)
მსაჯი: რაკალბუტო
34 464 მაყურებელი

### პარმა 1:2 იუვენტუსი

0:1 დი ვაიო (13), 0:2 ტაკინარდი (30), 1:2 მუტუ (90)
პარმა: ფრეი, კარდონე, ბონერა, ფერარი, ე. ფილიპინი, ლამუში, ბარონე (ბრეშიანო 52), მატეო ბრიგი, ნაკატა (როზინა 83), ადრიანო (ჯილარდინო 56), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, კამორანეზი (კ. ძენონი 82), ნედვედი, ტრეზეგე (ზალაიეტა 86), დი ვაიო (პესოტო 75)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ფილიპინი, კამორანეზი, ზალაიეტა
მსაჯი: პელეგრინო
25 393 მაყურებელი

### რომა 0:0 ბრეშა

რომა: პელიცოლი, პანუჩი, დელასი, ალდაირი (სარტორი 85), ლიმა, კაფუ, ემერსონი, დაკური, დელვეკიო, ტოტი (ა. კასანო 46), მარაცინა (მონტელა 61)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ბრეშა: სერენი (მიჩილო 73), ჟ. მარტინეხი, პეტრუცი, მარეკო, სერიჩი (ბაკინი 46), პიზანო, მატუზალემი, აპია, გვარდიოლა (ა. ფილიპინი 46), რ. ბაჯო, ტონი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: დელასი, სერიჩი, მატუზალემი, ბაკინი, კასანო
მსაჯი: ტრეფოლონი
48 000 მაყურებელი

### ატალანტა 0:0 უდინეზე

ატალანტა: ტაიბი, სიგილია, ნატალი, სალა, ბელინი, ძაური, ბერეტა, დაბო, პინარდი, როსინი, ვუგრინეცი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
უდინეზე: დე სანტისი, კროლდრუპი, სენსინი, სოტილი, ბერტოტო (ჯემიტი 19), ალბერტო, პინცი, დ. პიზარო, იანკულოვსკი, ვარლეი (იანკერი 81), იაკინტა (როსიტო 89)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: სალა, ბერეტა
მსაჯი: მორგანტი
13 000 მაყურებელი

### პიაჩენცა 3:1 ბოლონია

1:0 უბნერი (18პ), 2:0 მარესკა (39), 3:0 დე ჩეზარე (61), 3:1 ბელუჩი (82)
*უბნერმა ვერ გაიტანა პენალტი (50, მეკარე)*
პიაჩენცა: ორლანდონი, კრისტანტე, მანგონე, ლამაკი, ტოსტო (გურენკო 55), დი ფრანჩესკო, მარესკა (ფერარეზე 81), ბაიოკო, მარკიონი, უბნერი (პატრასკუ 63), დე ჩეზარე
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო (დელა როკა 88), ფალკონე, მ. კასტელინი, ნერვო, ოლივე (კ. ამორუზო 52), ლ. კოლუჩი, შმიტი, ლოკატელი (ბელუჩი 52), ხ. კრუზი, სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: კასტელინი, კოლუჩი, კრისტანტე, ბაიოკო, ძაკარდო
მსაჯი: ფარინა
6 000 მაყურებელი

### ემპოლი 1:1 პერუჯა

0:1 ვრიზასი (5), 1:1 კარპარელი (6)
ემპოლი: მ. კასანო, ბელერი, კრიბარი, ლუკინი, კუპი, ჯამპიერეტი, ფიჩინი (ვანუკი 62), კარპარელი, გრელა (კაპელინი 89), დი ნატალე, ბორიელო (როკი 54)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
პერუჯა: კალაჩი, სოლიანო, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო (ლ. პალიუკა 76), ობოდო, ფუზანი, გროსო, მიკოლი, ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ლუკინი, დი ლორეტო, ჯამპიერეტი, მილანეზე, ვანუკი
მსაჯი: აიროლდი
5 781 მაყურებელი

### რეჯინა 4:1 კომო

0:1 კაჩა (11), 1:1, 2:1 კოცა (33, 38), 3:1 დიანა (79), 4:1 მოცარტი (88)
რეჯინა: ბელარდი, ცირანეკი, ტორიზი (ი. ფრანჩესკინი 64), ვარგასი, ფალზინი, დიანა, კოცა (მოცარტი 78), პარედესი, ნაკამურა (რ. ვერონი 81), ბონაცოლი, დი მიკელე
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
კომო: ბრუნერი, ჟუარესი, ტარანტინო, ტომაში, მუსიჩი (გრეგორი 40), კოე, კორენტი (პეკია 62), ბინოტო, კარბონე (მ. როსი 46), ნ. ამორუზო, კაჩა
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
გაფრთხილება: ტარანტინო, ცირანეკი, კორენტი
მსაჯი: კასარა
24 000 მაყურებელი

### ტორინო 1:1 მოდენა

0:1 მილანეტო (58), 1:1 ვერგასოლა (64)
ტორინო: მანინგერი, დელი კარი, ფატორი, მეცანო, დე აშენტისი, ვერგასოლა, დონატი, პ. კასტელინი, სომეზე (ომოლადე 74), ფერანტე, მაგალიანესი (მარინელი 46)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, უნგარი, სკოპონი (პონცო 71), მილანეტო, მარასკო, მაური (მორეტი 73), ბალესტრი, ვინიაროლი, ფაბრინი (სკული 70)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: სომეზე, მილანეტო, სკოპონი
მსაჯი: დე სანტისი
20 000 მაყურებელი

**„იუვენტუსს“** პარმაში ყოველთვის უჭირდა, მეტიც, „ტარდინის“ სტადიონზე ტურინელებს რვა წელიწადი არ ეგემათ გამარჯვება, მაგრამ, აი, დადგა 2002-03 წლების ჩემპიონატის 21-ე ტური და „ბებერმა ქალბატონმა“, რომელიც სხვათა შორის, ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ უნდა შეხვდეს, ყოველგვარი გართულების გარეშე გაიმარჯვა.

სტუმრები მე-13 წუთზევე დაწინაურდნენ და ეს სწორედ „პარმას“ ყოფილმა ფეხბურთელმა, მარკო დი ვაიომ გააკეთა. მას კუთხურიდან ბურთი პაველ ნედველმა ჩააწოდა.

შემდეგ, 30-ე წუთზე ტურინელებმა მეორეც გაიტანეს. საინტერესოა, რომ ეს გოლი პირველის ზუსტი ასლი გახლდათ. ოღონდ, შემსრულებლები იყვნენ სხვები: კუთხურის ნაცვლად საჯარიმოდან ედგარ დავიდსმა ჩააწოდა, ხოლო მაღალ ნახტომში თავური ალესიო ტაკინარდიმ დაარტყა.

მასპინძელთაგან მხოლოდ რუმინელი ადრიან მუტუ გამოირჩეოდა. 85-ე წუთზე მან საჯარიმო დარტყმით ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო ერთი ხნის შემდეგ გოლიც შეაგდო, მაგრამ თამაშის ბედის გადასარჩენად ეს გოლი გვიანი გამოდგა და „ბებერმა ქალბატონმა“ ბოლო რვა შეხვედრიდან მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა.

მატჩის შემდგომ „პარმას“ თავკაცმა, ჩეზარე პრანდელიმ მომხდარს ასეთი კომენტარი გაუკეთა:

„ჩვენ ძალიან დიდ გუნდთან წავაგეთ, რომელმაც, პირველ ტაიმში თავდადებით ითამაშა. სამარცხვინო კი ის არის, რომ თამაშის დასაწყისში სწორედ ის შეცდომები დავუშვით, რომელთა საწინააღმდეგო ხერხებს მთელი კვირის განმავლობაში გულდასმით ვამზადებდით“.

„იუვენტუსის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი: „დღეს კარგი „იუვენტუსი“ ვნახე. ჩემი ბიჭები ყურადღებით თამაშობდნენ და ბოლო წუთების გარდა გოლის გაშვების საშიშროება არც დაგვიშვია. რამდენიმე ეპიზოდში ჩვენი გუნდების პირველი დაპირისპირებაც გამახსენდა. გახსომებათ, მაშინ 0:2-ს ვაგებდით. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მოახლოებულ თამაშს, არა მგონია იქაც დღევანდელივით 4-4-2 განლაგებას მივმართოთ. ვნახოთ, ფიქრისთვის ჯერ კიდევ არის დღეები დარჩენილი“.

ერთი სიტყვით, „იუვენტუსმა“ მოიგო და ლიდერი გახდა, რასაც ხელი ვერონაში, „კიევოსთან“ „ინტერის“ მარცხმა შეუწყო. ეს ამბავი ერთი დღით ადრე, შაბათს მოხდა.

ვერონელები 22-ე წუთზე დაწინაურდნენ — „ინტერის“ მცველმა ფაბიო კანავარომ სერჯო პელისიერის დარტყმას, მსაჯის აზრით, საკუთარ საჯარიმოში ხელი შეაგება და პენალტი ეუჯენიო კორინიმ შეაგდო, შემდეგ დაახლოებით იგივე მოხდა: იგივე პელისიერი ხავიერ ძანეტიმ წააქცია და იმავე კორინიმ მეორე პენალტი გაიტანა, ხოლო თურქი ოკან ბურუქი პროტესტის გამოთქმისთვის მოედნიდან გააძევეს.

ერთი სიტყვით, მეორე ტაიმში მილანის გუნდი უმცირესობაში იყო, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ უკეთ თამაშობდა. 70-ე წუთზე კრისტიან ვიერიმ სეზონის მე-19 გოლიც შეაგდო — ეს გახლდათ ვიერის მე-100 გოლი სერია A-ში — რასაც, 89-ე წუთზე კინაღამ ერთიც მიაყოლა, მაგრამ ამის საშუალება „კიევოს“ მეკარემ კრისტიანო ლუპატელიმ არ მისცა.

მსაჯის წამატებულ წუთებში, მეორე ყვითლის გამო, მოედნიდან კორინიც დაიფრინეს.

რაც შეეხება „რომასა“ და „ბრეშას“ თამაშს („რომას“ მაინც ვერ ვუშვებით და მის ამბებს საგანგებოდ გაქოვყოფთ), იგი 0:0 დასრულდა.

„ჩვენ უნდა მოგვეგო — თქვა რომაელთა თავკაცმა ფაბიო კაპელომ — ბიჭებმა საძაგელ მოედანზე კარგად კი ითამაშეს, მაგრამ „ბრეშამ“ სივრცეები ოსტატურად ჩაკეტა და რამდენიმე კარგი კონტრშეტევაც ჩაატარა. მოკლედ, არ გაგვიმართლა“.

„ბრეშას“ მწვრთნელი კარლო მაცონე: „მადლობა — ზეცას, ამ შეხვედრას ქულა რომ გამოვგლიჯეთ. პირველი ტაიმი კარგი იყო, შესვენების შემდეგ კი სეზონის საუკეთესო თამაში ჩავატარეთ. თან, პეპ გვარდიოლას ტრავმამ ნახევარდაცვა დაგვისუსტა“.

„პიაჩენცამ“, რომელიც გავარდნის საშიშროების წინაშე იდგა და დგას, ასე სანატრელი და ფრიად მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა. მან „ბოლონიას“ 3:1 აჯობა, ხოლო „რეჯინამ“ „კომოს“ 4:1 სძლია და გასავარდნთა ზონას ასცდა.

**პაატუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 21 | 13 | 6 | 2 | 38:15 | 23 | 45 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:7 | 12 | 21 | 11 | 7 | 3 | 1 | 19:8 | 11 | 24 |
| 2 ინტერი | 21 | 14 | 3 | 4 | 42:22 | 20 | 45 | 10 | 8 | 1 | 1 | 20:4 | 16 | 25 | 11 | 6 | 2 | 3 | 22:18 | 4 | 20 |
| 3 მილანი | 21 | 13 | 4 | 4 | 38:16 | 22 | 43 | 11 | 9 | 2 | 0 | 22:5 | 17 | 29 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:11 | 5 | 14 |
| 4 ლაციო | 21 | 10 | 9 | 2 | 37:21 | 16 | 39 | 11 | 3 | 6 | 2 | 19:13 | 6 | 15 | 10 | 7 | 3 | 0 | 18:8 | 10 | 24 |
| 5 კიევო | 21 | 11 | 4 | 6 | 31:20 | 11 | 37 | 11 | 7 | 2 | 2 | 20:11 | 9 | 23 | 10 | 4 | 2 | 4 | 11:9 | 2 | 14 |
| 6 უდინეზე | 21 | 9 | 6 | 6 | 21:20 | 1 | 33 | 10 | 6 | 4 | 0 | 11:5 | 6 | 22 | 11 | 3 | 2 | 6 | 10:15 | -5 | 11 |
| 7 პარმა | 21 | 8 | 7 | 6 | 36:26 | 10 | 31 | 11 | 7 | 1 | 3 | 22:13 | 9 | 22 | 10 | 1 | 6 | 3 | 14:13 | 1 | 9 |
| 8 პერუჯა | 21 | 8 | 5 | 8 | 26:27 | -1 | 29 | 10 | 7 | 1 | 2 | 16:5 | 11 | 22 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:22 | -12 | 7 |
| 9 რომა | 21 | 7 | 7 | 7 | 32:29 | 3 | 28 | 10 | 4 | 4 | 2 | 19:12 | 7 | 16 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:17 | -4 | 12 |
| 10 ბოლონია | 21 | 7 | 7 | 7 | 25:25 | 0 | 28 | 10 | 7 | 1 | 2 | 18:10 | 8 | 22 | 11 | 0 | 6 | 5 | 7:15 | -8 | 6 |
| 11 ემპოლი | 21 | 6 | 6 | 9 | 25:29 | -4 | 24 | 11 | 2 | 5 | 4 | 13:16 | -3 | 11 | 10 | 4 | 1 | 5 | 12:13 | -1 | 13 |
| 12 ბრეშა | 21 | 5 | 9 | 7 | 24:28 | -4 | 24 | 10 | 2 | 5 | 3 | 11:11 | 0 | 11 | 11 | 3 | 4 | 4 | 13:17 | -4 | 13 |
| 13 ატალანტა | 21 | 5 | 7 | 9 | 23:32 | -9 | 22 | 11 | 3 | 4 | 4 | 13:16 | -3 | 13 | 10 | 2 | 3 | 5 | 10:16 | -6 | 9 |
| 14 რეჯინა | 21 | 6 | 4 | 11 | 22:37 | -15 | 22 | 11 | 5 | 3 | 3 | 18:14 | 4 | 18 | 10 | 1 | 1 | 8 | 4:23 | -19 | 4 |
| 15 მოდენა | 21 | 6 | 4 | 11 | 15:30 | -15 | 22 | 10 | 3 | 3 | 4 | 7:11 | -4 | 12 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:19 | -11 | 10 |
| 16 პიაჩენცა | 21 | 4 | 4 | 13 | 19:35 | -16 | 16 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:20 | -7 | 11 | 10 | 1 | 2 | 7 | 6:15 | -9 | 5 |
| 17 ტორინო | 21 | 2 | 7 | 12 | 13:36 | -23 | 13 | 11 | 2 | 3 | 6 | 5:17 | -12 | 9 | 10 | 0 | 4 | 6 | 8:19 | -11 | 4 |
| 18 კომო | 21 | 1 | 9 | 11 | 14:33 | -19 | 12 | 10 | 1 | 4 | 5 | 9:16 | -7 | 7 | 11 | 0 | 5 | 6 | 5:17 | -12 | 5 |

### XXII ტური

23 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| ლაციო | - | ატალანტა |
| მოდენა | - | კიევო |
| ბოლონია | - | ემპოლი |
| კომო | - | იუვენტუსი |
| ტორინო | - | მილანი |
| პერუჯა | - | პარმა |
| ინტერი | - | პიაჩენცა |
| ბრეშა | - | რეჯინა |
| უდინეზე | - | რომა |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 19 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 11 |
| მუტუ (პარმა) | 11 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 10 |
| ადრიანო (პარმა) | 9 |

### სერია C1/A

**24-ე ტური:** ჩეზენა — პრო პატრია 3:0; ჩიტადელა — ალძანო 0:2; ლუმეცანე — პადოვა 0:0; პიზა — პისტოიეზე 3:1; რეჯანა — ლუკეზე 0:0; სპალ — პრატო 3:0; სპეცია — კარარეზე 2:1; ვარეზე — არეცო 3:2. *ტრევიზო — ალბინოლეფე წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

### სერია C1/B

**24-ე ტური:** აველინო — ჯულიანოვა 1:0; კიეტი — ბენევენტო 0:0; პესკარა — ფერმანა 3:1; სამბენედეტეზე — კროტონე 1:1; ტორესი — აკილა 6:1; ტარანტო — ლანჩანო 3:2; ტერამო — პატერნო 2:2; პეზარო — სორა 1:2; ვიტერბეზე — მარტინა 2:4

# იტალიის ჩემპიონატი

## ოცდამეერთე ტურის მატჩი

## მილანი 2:2 ლაციო

კახა კალაძე: 45 წუთი, შეცვალეს

# ათამაშეთ ინძაგი და ყველაფერი კარგად იქნება

ასე დავიწყოთ:

„ლაციო“ თამაშში დიდებულად ჩაერთო. სანამ ჩვენი დაცვა მათი თავდამსხმელების გადაადგილებებს ალღოს აუღებდა, დრო გავიდა“ — თქვა „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ. „მილანისა“ და „ლაციოს“ შეხვედრა „სან სიროზე“ გაიმართა და მისი პირველი ნახევარი სტუმართა გამარჯვებით, 2:0 დასრულდა.

შემდეგ ანჩელოტიმ ბრძანა:

„თამაშის ნირი მეორე ტაიმში შეიცვალა. ასეთ დროს ან ნაწილ-ნაწილ იშლები, ან მთელ ენერგიას იკრებ, რათა ჩამორჩენა აღმოფხვრა. ჩვენ გვწამდა საკუთარი ძალისა და ორი საპასუხო გოლის გატანა შევძელით“.

უნდა ითქვას, რომ „ლაციომ“ მეორე გოლი ფრიად საეჭვო პენალტით გაიტანა. ეს გახლდათ ალესანდრო ნესტას შეჯახება ბერნარდო კორადისთან.

„პენალტი დიდი გადაჭარბებით დაინიშნა — თქვა ანჩელოტიმ — ასეთი ხელის კვრებით სავსეა ყოველი თამაში, ხოლო პენალტს თითქმის არც ერთი მსაჯი არ ნიშნავს“.

თამაში მილანელთა სასარგებლოდ მეორე ნახევარში შეიცვალა, როდესაც „შავ-წითელთა“ შემადგენლობაში ანდრეი შევჩენკოს მხარდამხარ ფილიპო ინძაგი გამოჩნდა.

„ინძაგის გამოჩენის შემდეგ უფრო შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ, ხოლო მისმა გოლმა ორმაგად წაგვახალისა. ვიმეორებ, როდესაც 0:2-ს აგებ, შესაძლოა ფსიქოლოგიური პრობლემები შეგექმნას, მით უმეტეს, რომ მეორე გოლი საეჭვო პენალტით გაგვიტანეს, მაგრამ ჩვენ არ გავტყდით და ბოლომდე ვიბრძოლეთ“.

„ლაციოს“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი კი უფრო სანახაობრივი მხარით იყო მოხიბლული:

„კმაყოფილი ვარ ქომაგებს სანახაობა რომ შევთავაზეთ. ერთადერთი, გუნება 2:0 უპირატესობის დაკარგვამ გაგვიფუჭა. შესვენების შემდეგ „მილანმა“ ფილიპო ინძაგი გამოიყვანა და თამაში ჩვენს ნახევარზე გადმოიტანა. მის გამო უკან დავიხიეთ. ინძაგიმ ნამდვილი ზეწოლა მოახდინა. „მილანს“ მესამე გოლის გატანაც რომ მოეხერხებინა, ამას უკვე პრობლემას დავარქმევდი, მაგრამ ასე არ მოხდა და მეტიც, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ „ლაციო“ ყველაფრის მიუხედავად მესამე გოლის გატანას ცდილობდა. დეიან სტანკოვიჩმა ძელსაც გაარტყა ბურთი. ცოტა მეტი ყურადღება რომ მოგვეკრიბა, მოვიგებდით“.

რაც შეეხება ქართველ მცველს, კახა კალაძეს, მან ამ შეხვედრაში მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, რის მერეც ტრავმის გამო შეცვალეს.

**პაპუნა კედია**



REUTERS მილანიდან

რომაელმა კლაუდიო ლოპესმა პენალტი ზუსტად შეასრულა


## სიახლე ბაკურიანში!



ფრანგმა ქალბატონმა სასტუმრო „საპაში“ ჩამოაყალიბა
ბავშვთა სათხილამურო სკოლა

❖ სასტუმროს ტერიტორიაზე მოქმედებს მინი საბაგირო გზა მუდმივი დენით;

❖ უზრუნველყოფა თანამედროვე სათხილამურო ინვენტარით;

❖ თხილამურებზე სრიალის სწავლება 2 წლის ასაკიდან ფრანგული მეთოდებით;

❖ ორ და სამადგილიანი კომფორტაბელური ნომრები;

❖ უფრო კვალიფიციურად სავარჯიშოდ მსურველები გაიგზავნებიან საფრანგეთის მუდმივთოვლიან კურორტ ვალდიზერში.

რაც მთავარია, შეღავათიანი ფასები

ბაკურიანი, ძოსტავას №25 ტელ.: 8 (99) 10-24-63; 8 (99) 91-57-60


## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXVIII ტური

**რეინჯერსი 1:0 ჰართსი**

1:0 სევერინი (41ს.კ.)

რეინჯერსი: შ. კლოსი, მუსკატი, მალკოლმი, ლ. ამორუზო, ნუმანი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა, კანიჯა (ლოვენკრანდსი 62), რ. დე ბური, მოლსი (შ. არველაძე 69)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: ანდერსონი

49 459 მაყურებელი

**აბერდინი 3:0 დანდი იუნ.**

1:0, 2:0 შირინი (39პ, 71), 3:0 მაკგირი (74)

**ჰიბერნიანი 1:3 დანფერმლაინი**

0:1 მეისონი (20), 0:2, 0:3 კროუფორდი (39, 55), 1:3 გ. ოკონორი (67)

**დანდი — ლივინგსტონი**

გადაიდო

**კილმარნოკი — პარტიკი**

გადაიდო

**მოზერუელი — სელტიკი**

გადაიდო

**უამინდობის** გამო შოტლანდიურ პრემიერლიგაში ტურის მხოლოდ სამი მატჩი ითამაშეს.

„რეინჯერსმა“ მოიგო, მაგრამ ერთი კი არა, ბლომად უნდა შეეყარა მეტოქის კარში.

პირველს კლაუდიო კანიჯას მართებდა გატანა, მაგრამ თავით კარგად ვერ დაუმიზნა „ჰართსის“ კარს.

შემდეგ ლორენცო ამორუზომ მოინდომა გოლი შორეულ დარტყმით და „ჰართსის“ ფინელმა მეკარე ტეპი მოილანენმა ოდენ თვალი გააყოლა ძელთან ჩაზუზუნებულ ბურთს.

„ჩაფართა“ კიდევ ერთმა მცველმა კევინ მუსკატმაც მოისურვა თავის გამოჩენა, მაგრამ მისი დარტყმულიც ასცდა მიზანს.

ზუსტი იყო რონალდ დე ბური, თუმცა გოლი არ ჩაითვალა — ჰოლანდიელი თამაშგარეში ამხილეს.

„რეინჯერსის“ ძალმომრეობამ, ბოლოს და ბოლოს, შედეგი მაინც მოიტანა — მიკელ არტეტამ ჯარიმა ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში, საჰაერო ბრძოლისას კი „ჰართსის“ ნახევარმცველმა სქოთ სევერინმა უშნოდ შეუშვირა ბურთს თავი და ავტოგოლიც მიითვალა.

მეორე ტაიმში ვერგამტანთა სეზონი მიხაელ მოლსმა გახსნა. მას მხარი აუბეს არტეტამ, ბარი ფერგიუსონმა და შეცვლაზე შესულმა შოთა არველაძემ.

ბოლოს კი დე ბურის ჯერი დადგა, მაგრამ როგორც BBC ირწმუნება, მოილანენმა ფანტასტიკური რეფლექსის წყალობით მოიგერია ბურთი.

**დავით თავართქილაძე**

# უშნო თავის ხეირი



რეინჯერსი — ჰართსი. კლაუდიო კანიჯამ (მარჯვნივ) მოედანი უგოლოდ დატოვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 28 | 24 | 3 | 1 | 76:20 | 75 |
| სელტიკი | 27 | 22 | 3 | 2 | 69:17 | 69 |
| ჰართსი | 28 | 13 | 7 | 8 | 47:42 | 46 |
| დანფერმლაინი | 27 | 12 | 3 | 12 | 43:49 | 39 |
| კილმარნოკი | 27 | 11 | 6 | 10 | 31:39 | 39 |
| ჰიბერნიანი | 27 | 10 | 4 | 13 | 38:43 | 34 |
| დანდი | 26 | 7 | 8 | 11 | 30:40 | 29 |
| პარტიკ თისლი | 27 | 6 | 9 | 12 | 27:42 | 27 |
| აბერდინი | 28 | 6 | 9 | 13 | 25:42 | 27 |
| ლივინგსტონი | 27 | 7 | 5 | 15 | 35:43 | 26 |
| მოზერუელი | 26 | 5 | 6 | 15 | 31:45 | 21 |
| დანდი იუნ. | 28 | 4 | 9 | 15 | 23:53 | 21 |

### პირველი დივიზიონი

27-ე ტური: ფოლკირკი — სტ. მირენი 3:1; სტ. ჯონსტონი — ინვერნესი 2:0. ალოა — არბროთი და კლაიდი — ეარი გადაიდო

### მეორე დივიზიონი

25-ე ტურის ყველა მატჩი უამინდობის გამო გადაიდო

### მესამე დივიზიონი

25-ე ტური: ელგინი — მორტონი 0:0; პიტერჰედი — ისტ სტირლინგი 6:0. ალბიონი — მონტროუზი, ისტ ფაიფი — გრეტნა და სტირლინგი — ქუინზ პარკი გადაიდო

## პორტუგალია

### I ლიგა. XXII ტური

**ბელენენსეში 4:1 ვარზიმი**

1:0 კ. ფერნანდეში (45), 2:0 ლუდემარი (54), 2:1 პაულუ ვიდა (68), 3:1, 4:1 ლუდემარი (73, 89)

**ჟილ ვისენტე 1:2 სანტა კლარა**

0:1 პალადინი (48), 1:1 ჟოზე ნუნეში (55), 1:2 ბ. რიბეირუ (90)

**ბეირა მარი 5:3 სეტუბალი**

0:1 რუი ლიმა (6), 1:1 ფ. ფერი (9), 2:1 ტ. ფერეირა (13), 3:1 რიკარდუ სოუზა (18პ), 4:1 ტ. ფერეირა (23), 4:2 რუი მიგელი (39პ), 5:2 ფ. ფერი (83), 5:3 მეიონგი (90)

**ლეირია 2:2 მორეირენსე**

1:0 დუალა (26), 2:0 კუნია (56), 2:1 ა. მარტინსი (64), 2:2 მონტანინი (90)

**სპორტინგი 2:0 ბრაგა**

1:0, 2:0 ჟარდელი (55, 62)

**ბენფიკა 2:0 ნასიონალი**

1:0, 2:0 ზაჰოვიჩი (23, 27)

**მარიტიმუ 2:1 პორტუ**

1:0 დერ გააგი (16), 1:1 დერლეი სილვა (63), 2:1 გაუშუ გომეში (70)

**ბოავიშტა 0:0 ფერეირა**

**გიმარაეში — აკადემიკა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# ტუ-ტუ-ტუ...

## პორტუმ 13 აკრიფა



REUTERS ფუნშალიდან

მარიტიმუ — პორტუ. ნუნუ კაპუშუ (ბურთით) და მისი თანაგუნდელები, როგორც იქნა, დაამარცხეს

**4 ნოემბერს** „ნასიონალს“ 5:2 რომ მოუგო, მას შემდეგ „პორტუმ“ ზედიზედ 12 მატჩში იმარჯვა და მიჯრით 13 დაუგროვდა. ეს „13“ გუნდისთვის ნავსიანი არ გამოდგა, მაგრამ საქმეში მეორე „13“ ჩაერია და ორი ცამეტიანის დაჯახებამ თავისი მაინც გაიტანა. ეს მეორე „13“ გახლავთ ქულათა სხვაობა „პორტუსა“ და მის მდევარ „ბენფიკას“ შორის. სწორედ ამდენით უსწრებდნენ პორტუელები ლისაბონელებს 22-ე ტურამდე. 22-ე ტურში კი, ანუ გასულ შაბათს, „მარიტიმუმ“ უძლეველს სძლია. „პორტუს“ წაუგებელი სერია შარშან გაზაფხულიდან დაიწყო და 28 ტურის განმავლობაში გრძელდებოდა.

პორტუელებს ეგებ მოეგოთ კიდეც „მარიტიმუსთვის“, პოსტივას შეხვედრის დასაწყისშივე ხელსაყრელი მომენტი რომ არ გაეცუდებინა. სამაგიეროდ, მასპინძელთა ჰოლანდიელმა ლეგიონერმა მიჩელ დერ გააგმა იყოჩაღა და მეთექვსმეტე წუთზე ზუსტი თავურით „მარიტიმუ“ დააწინაურა. გამვებულმა გოლმა პორტუელები ააფორიაქა, მათი შეტევები კი ქაოსური გახდა.

შესვენების შემდეგ „პორტუს“ მწვრთნელმა საიანადო ცვლილებები გააკეთა და სტუმრები გააქტიურდნენ. საპასუხო გოლამდე ბურთისთვის ბრძოლაში მარიტიმუელი პეპე და პორტუელი დეკო სოუზა წაკინკლავდნენ. მსაჯს გარჩევა არ მოუწევია, ორივე ფეხბურთელი მოედნიდან გაბრძანა. ტაიმის შუაწელში ბრაზილიელმა დერლეი სილვამ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, მაგრამ „პორტუს“ სიხარული არ დასცალდა — მასპინძელმა გაუშუ გომესმა ის გოლი გაიტანა, „პორტუს“ უძლეველობას წერტილი რომ დაუსვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 18 | 3 | 1 | 48:19 | 57 |
| ბენფიკა | 22 | 14 | 5 | 3 | 43:15 | 47 |
| სპორტინგი | 22 | 14 | 2 | 6 | 36:23 | 44 |
| გიმარაეში | 21 | 10 | 5 | 6 | 36:26 | 35 |
| ლეირია | 22 | 10 | 4 | 8 | 33:31 | 34 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 10 | 2 | 10 | 33:34 | 32 |
| ბელენენსეში | 22 | 8 | 5 | 9 | 29:31 | 29 |
| ვარზიმი | 22 | 8 | 4 | 10 | 27:29 | 28 |
| ბრაგა | 22 | 7 | 7 | 8 | 20:31 | 28 |
| ნასიონალი | 22 | 7 | 6 | 9 | 23:27 | 27 |
| ბოავიშტა | 22 | 6 | 8 | 8 | 20:20 | 26 |
| მარიტიმუ | 22 | 8 | 2 | 12 | 26:37 | 26 |
| ფერეირა | 22 | 6 | 6 | 10 | 20:32 | 24 |
| მორეირენსე | 22 | 5 | 8 | 9 | 25:30 | 23 |
| აკადემიკა | 21 | 5 | 7 | 9 | 24:33 | 22 |
| სეტუბალი | 22 | 4 | 9 | 9 | 23:26 | 21 |
| სანტა კლარა | 22 | 4 | 8 | 10 | 25:35 | 20 |
| ბეირა მარი | 22 | 4 | 7 | 11 | 25:37 | 19 |

### II ლიგა

22-ე ტური: რიუ ავე — მადეირა 3:1; სალგეიროში — ამადორა 0:0; ფარენსე — ლამაში 1:0; შავეში — მაია 3:1; ნავალი — ფელგეირაში 2:0; ალვერკა — პორტიმონენსე 1:0; ავეში — პენაფიელი 0:2; კოვილია — ლეცა 2:1; ოვაირენსე — მარკუ 1:1

# მიუნხენი დახუთეს
## მგელზე მგელი ჰამბურგი, სახუმარო ხუნდები და ბაშირუ მესაფლავე

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### XXI ტური

**მიუნხენი 0:5 ბაიერნი**

0:1, 0:2 შოლი (58, 69), 0:3 ლიზარაზუ (73), 0:4 პიზარო (78), 0:5 შოლი (80)
მიუნხენი: იენჩი, შტრანცლი, ვოტავა, ჰოფმანი, ჩერნი, კურცი, მაიერი, ბორიმიროვი, ვაისენბერგერი, ლაუტი (შუკერი 65), შროტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
ბაიერნი: კანი, ჰარგრივსი (სანიოლი 76), რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი, ბალაკი, შოლი, შვაინსტაიგერი (ზე რობერტო 61), ელბერი (დაისლერი 79), კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: კურცი, იერემისი
მსაჯი: ფროილიხი
64 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 4:1 ბოხუმი**

0:1 ბაკლი (8), 1:1 რეინა (33), 2:1 კოლერი (42), 3:1, 4:1 ფრინგსი (45პ, 67პ)
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი, ვიორნსი, დედე, შ. როიტერი, ევანილსონი (მადუნი 65), ფრინგსი, როსიცკი (რიკენი 71), ევერტონი, ჯ. რეინა, კოლერი (ჰერლიხი 80)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი (ვრიეზდე 65), რაისი, გუდიონსონი, ოლისე (ბემბენი 13), ვოში, ფრაიერი, ბაკლი, კრისტიანსენი (მაშემიანი 46)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ჰერლიხი, რაისი, ვან დუინოვენი, ვოში, ფრაიერი
მსაჯი: აუსტი
66 000 მაყურებელი

**შალკე 2:0 შტუტგარტი**

1:0 მპენზა (3), 2:0 ჰაიტო (45)
შალკე: ფ. როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, უდე კამპუისი, ვან კერკჰოვენი, პოულსენი, კმეტში (როდრიგესი 87), ბიომე, ვერმანტი (ტროიანი 90), აგალი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, გერბერი (ზაიცი 78), სოლდო, მაისნერი (განია 46), გლები, ბალაკოვი, კურანი, ამანატიდისი (ტიფერტი 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ვან კერკჰოვენი, აგალი, კმეტში, ჰინკელი
მსაჯი: მაიერი
60 678 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:0 ვერდერი**

1:0 მიულერი (41)
ნიურნბერგი: კამპა, პეტკოვიჩი, ნიკლი, ვოლფი, ფრაი, ჟუნიორი, ლარსენი (კოში 86), ლ. მიულერი, იაროლიმი, დრილერი (კრჟინოვეკი 77), კაკაუ (მიხალკე 80)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ვერდერი: ვიერხოვსკი, სტალტერი, ვერლაატი (ლისტეში 73), კრსტაიჩი, ტიკუზუ, ბანოვიჩი, ფ. ერნსტი, სკრიპნიკი (შულცი 46), მიკუ, დაუნი, აილტონი (ხარისტიასი 63)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: მიულერი, ჟუნიორი, კრსტაიჩი, ერნსტი, ვერლაატი, ბანოვიჩი, სტალტერი, მიკუ
გაძევება: დაუნი (57)
მსაჯი: კემლინგი
17 500 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 0:2 ჰერტა**

0:1, 0:2 ალვეში (9, 14)
მიონხენგლადბახი: შტილი, ასანინი, ვიტეჩეკი (ულიხი 46), პლეტში, მიუნხი, ჰაუსვაილერი, კლუგე, დემო, აიდოო (სკუბო 72), ფორსელი, ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, მარქსი (მადლუნგი 85), გოორი, მარსელინიო (ლუიზაო 88), ალვეში (მლადენოვი 76), პრეცკი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
მსაჯი: კრუგი
24 200 მაყურებელი


REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — ბოხუმი. სტუმარი სლავო ფრაიერი მასპინძელთა ბრაზილიელ ევერტონს გადააფრინდა

**ჰამბურგი 2:0 ვოლფსბურგი**

1:0 კარდოზო (39), 2:0 ბენჟამინი (90)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, იუჟყალუში, ჰოლერბახი, ბენჟამინი, მალტრიცი, მაჰდავიკია, კარდოზო (მეიერი 77), ტაკაჰარა, ბარბარესი (ვიკი 87)
მწვრთნელი: კურტ იარა
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, შარპეი, ფრანცი, შნოორი, ვაიზერი, ტიამი (მადსენი 63), ეფენბერგი, დ. მუნტიანუ (პრეგერი 63), პონტე, გ. პეტროვი (კარჰანი 42), ტ. მარიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: მარიჩი, მალტრიცი, შნოორი, ეფენბერგი, მარიჩი
გაძევება: პონტე (36), მარიჩი (89)
მსაჯი: კინჰოფერი
34 057 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:2 ჰანზა**

0:1 სალუ (35), 1:1 ბაბიჩი (38), 1:2 სალუ (41)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟივკოვიჩი, რამელო (კლაინი 46), კრისი, პლასენტე, კალუენი, ბაბიჩი, ბ. შნაიდერი, ნოივილი, ბერბატოვი (შოოფი 46), ბიროფკა
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ჰანზა: შობერი, ვიმერი (დი სალვო 29), იაკობსონი, ჰილი, მაული, ლანცი, პერსონი, რიდლევიჩი, ვიბრანი, მეგლე (ადუბე 89), სალუ (ჰირში 85)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
მსაჯი: ალბრეხტი
22 500 მაყურებელი

**არმინია 1:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ლოკვენცი (27), 1:1 რაინჰარდტი (35)
არმინია: ჰაინი, რაუვე, რაინჰარდტი, ჰანსენი, დაბროვსკი, კაუფი, მურავსკი (პორკელიო 55), ბრინკმანი, ჩა, ჰაინცი (დიაბანგი 78), ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი, ჰ. კოხი, კნავსი, ჩატო, ჰ. რამზი, ბიელიცა, ანფანგი, ლინკოლნი (მიფსუდი 81), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ჰაინი, კაუფი, ჩატო, კლოზე
მსაჯი: კოოპი
19 237 მაყურებელი

**კოტბუსი 3:0 ჰანოვერი**

1:0 და სილვა (74), 2:0 რეგეკამპფი (77), 3:0 ტოპიჩი (82)
კოტბუსი: ლენცი, შრიოტერი, და სილვა, ბერჰალტერი, ლიოვი, რეგეკამპფი (როჟგონი 88), ტ. როსტი, ლატუნდი, გებჰარდტი (კობილანსკი 72), ტოპიჩი, ვაგნერი (იუსკოვიაკი 72)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ჰანოვერი: ტრემელი, შტეფული, პოპესკუ, ვინიციუსი, შულერი (დე გუზმანი 83), ლალა, ხაიმე (კაუფმანი 78), კრუპნიკოვიჩი, სტაინერი (შტენდელი 83), იდრისუ, ბობიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: რეგეკამპფი, შრიოტერი, ლატუნდი, ლიოვი, კრუპნიკოვიჩი, სტაინერი
გაძევება: ბობიჩი (89)
მსაჯი: ვაკი
14 000 მაყურებელი

ბულდოზერი ყოფილა „ბაიერნი“, არ დაინდო თანაქალაქელი გუნდი, მეჰმეთ შოლმა კი სულაც ფაქტიურად დაწიწკნა ეგ თქვენი „ცისფერი“ თუ პროლეტარი „ლომები“.

და „მიუნხენ 1860“ — ასეთი ზლაზვნით ამ გუნდს ევროპაში ნაღდად არაფერი ესაქმება — პეტერ პაკულტის სამწყსომ ოდენ ერთი ტაიმი ითამაშა, შესვენების შემდეგ კი „ოლიმპიაშტადიონზე“ მხოლოდ ოტმარ ჰიცფელდის ბიჭები თამაშობდნენ ფეხბურთს.

შოლის ჰეთ თრიქს ბიქსენტ ლიზარაზუმ და ამ მატჩში ნახევარმცველად გამწესებულმა კლაუდიო პიზარომაც დაამატეს თითო — ეს 197-ე მიუნხენური დერბი გახლდათ, რომელშიც „ბაიერნმა“ 102-ე გამარჯვება მოინაგრა. ხუთბურთიანი სხვაობით კი „ბაიერნს“ 1980 წლის აქეთ არ მოეგო — მაშინ „1860“-მა 1:6 წააგო.

დიდი ანგარიშით მოიგო ბაიერნელთა მდევარმაც — „დორტმუნდი“ ჯერ აგებდა, მაგრამ მალევე შემობრიალდა თამაშიც და „ბოხუმიც“.

მათიას ზამერმა გრიპშეყრილი ტორსტენ ფრინგსი მაინც შეუშვა მინდორზე, თავდადებისთვის ფრინგსი გულუხვადაც დასაჩუქრდა — მას ორი თერთმეტმეტრიანის დარტყმა ანდეს. ხვალ კი ზამერელებს ვერაგ გრიპზე უვერაგესი ელით — „სანტიაგო ბერნაბეუ“ და „რეალი“.

ანტიეფენბერგისტები გულს კარგად მოიფხანდნენ. შტეფანი მშობლიურ ქალაქ ჰამბურგში სტუმრობდა თავის „ვოლფსბურგთან“ ერთად, ხოლო გერმანული პრესა ეფენბერგის „ჰამბურგში“ შესაძლო ტრანსფერითაა გატლეკილი. „ჰამბურგის“ ფანებს კი ასეთი პერსპექტივა აგიჟებთ — ბურთთან ყოველი შეხებისას „ეფეს“ სტვენა და გინება არ მოჰკლებია.

34 წლის როდოლფო კარდოზომ პონტეს გაძევებიდან სამ წუთში დააწინაურა „ჰამბურგი“. სტუმრები მაინც მაგრად იდგნენ, მაგრამ 84-ე წუთისთვის ცხრანი დარჩნენ — მარკ ფრანცი ისე დაშავდა, მოედნიდან გასაყვანი შეიქნა, „ვოლფსბურგმა“ კი ხამიჯე შეცვლა გაეხარჯა. ხუთი წუთის შემდეგ მინდორზე სულაც რვა „მგელი“ დარჩა — ტომისლავ მარიჩი მეორე „ყვითელის“ გამო გააგდეს. ამის მერე „ჰამბურგმა“ მეორე გოლიც გაიტანა.

ლევერკუზენის „ბაიერმა“ კი ზედიზედ მეხუთე ბუნდესლიგური მატჩი წააგო და კლაუს ტოპმიოლერის ჭირიც წაიღო — საბრალო კლაუსი მატჩიდან მეორე დღესვე წავიდა გუნდიდან.

ტოპმიოლერის მესაფლავე ბაშირუ სალუ გამოდგა - ამ ზორბა ზანგმა კარსტენ რამელოს ბდღვირი ადინა კონტრშეტევაზე და „ჰანზაც“ იმად დაწინაურდა. ხორვატმა მარკო ბაბიჩმა გამათანაბრებელი კი შეაგდო, მაგრამ ისევ ეს სალუ გამოტყვრა და შესვენებამდე გამოჭრა ყელი კლაუსის „ლევერკუზენს“. არადა, თითქმის მთელი 90 წუთი მასპინძლები უტევდნენ.

ზედიზედ ოთხი ბუნდესლიგური გამარჯვების შემდეგ როგორც იქნა, დაამუხრუჭეს ფელიქს მაგათი და „შტუტგარტი“ — ჰუუბ სტევენსის „შალკეს“ მართლაც კაი ხარისხის ხუნდები აღმოაჩნდა. „ხუმარებთან“ მარცხის შემდეგ „შტუტგარტს“ არანაკლებ მძიმე ბრძოლა ელის — ხუთშაბათს უეფას თასის მატჩი აქვს სათამაშო გლაზგოში „სელტიკთან“.

ბეწვზე ეკიდა მეორე კლაუსის ბედიც — აუგენტალერის „ნიურნბერგს“ ზამთრის არდადეგების შემდეგ ქულა არ აელო და შინ მოწინავე „ვერდერი“ დასცა — გამარჯვებისა ლარს მიულერმა შეაგდო.

ალექს ალვეშის ჩუბინობით „ჰერტამ“ მე-7 ადგილიდან ორი საფეხურით აინაცვლა, „გლადბახმა“ კი ერთით ჩაინაცვლა.

იყოჩაღა კოტბუსის „ენერგიმ“ — აღმოსავლეთგერმანელებმა გოლების გატანა მატჩის ბოლოს დაიწყეს — 8 წუთში სამი გოლი წმინდა ბუნდესლიგური მულამია.

„კაიზერსლაუტერნის“ ჩაუქობა სტუმრად სამქულიანი არ გამოდგა — ბილეფელდში ერიკ გერეტსის ბიჭებმა მეტოქეზე უკეთ ითამაშეს, მაგრამ მიროსლავ კლოზემ რამდენიმე საგოლე მომენტი გააცუდა და „ლაუტერნიც“ ოდენ ფრეს გამორჩა.

**დავით თავართქილაძე**

## მეორე ბუნდესლიგა
### XXI ტური

**ლიუბეკი 2:0 ფრაიბურგი**

1:0 ზანდი (51), 2:0 კუნცე (89)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, შუმანი, ცხადაძე, ტიტიშვილი, კობიაშვილი, ბაირამოვიჩი (ჰერმელი 80), ა. ცაიერი, კულიბალი, გუიე-მიენი (ვ. ბუტი 68), იაშვილი, ტანკო (რამდანე 63)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
6 800 მაყურებელი

**ბრაუნშვაიგი 0:1 ზანქტ პაული**

0:1 კრისი (32)

**დუისბურგი 2:0 კარლსრუე**

1:0 ვოსი (18), 2:0 ბონიგი (43)

**ალენი 3:0 ფიურტი**

1:0 რატი (16), 2:0 ბელა (17), 3:0 ჩინკინიუ (68)
*ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე სარეზერვო გუნდშია*

**ალემანია 2:3 ბურგჰაუზენი**

1:0 შმიზაკი (19), 1:1 იუნგა-მუანი (22), 2:1 ივანოვიჩი (28), 2:2, 2:3 იუნგა-მუანი (45, 48)

**ტრირი 2:2 ვალდჰოფი**

0:1 პლასნეგერი (16), 1:1 კელერი (41), 2:1 აზიზი (65), 2:2 კერნი (84)

**მაინცი 2:1 ობერჰაუზენი**

1:0 აუერი (48), 2:0 ვორონინი (74), 2:1 კარტუსი (76)

**უნიონი — როიტლინგენი**

*გადაიდო*

**აინტრახტი — კიოლნი**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 19 | 11 | 8 | 0 | 41:21 | 41 |
| მაინცი | 21 | 12 | 3 | 6 | 36:20 | 39 |
| აინტრახტი | 20 | 11 | 5 | 4 | 30:15 | 38 |
| ფრაიბურგი | 20 | 11 | 4 | 5 | 31:18 | 37 |
| ტრირი | 21 | 9 | 6 | 6 | 36:27 | 33 |
| ალემანია | 20 | 8 | 7 | 5 | 37:29 | 31 |
| დუისბურგი | 20 | 8 | 7 | 5 | 29:25 | 31 |
| ფიურტი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:22 | 30 |
| ობერჰაუზენი | 20 | 8 | 6 | 6 | 25:23 | 30 |
| ბურგჰაუზენი | 21 | 6 | 8 | 7 | 31:27 | 26 |
| ლიუბეკი | 21 | 8 | 2 | 11 | 32:33 | 26 |
| როიტლინგენი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:30 | 25 |
| უნიონი | 20 | 5 | 8 | 7 | 24:37 | 23 |
| ალენი | 21 | 6 | 4 | 11 | 26:36 | 22 |
| კარლსრუე | 21 | 4 | 9 | 8 | 19:31 | 21 |
| ვალდჰოფი | 21 | 4 | 5 | 12 | 25:44 | 17 |
| ზტ. პაული | 21 | 4 | 4 | 13 | 29:46 | 16 |
| ბრაუნშვაიგი | 19 | 2 | 5 | 12 | 19:39 | 11 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 21 | 14 | 5 | 2 | 45:15 | 30 | 47 | 11 | 8 | 3 | 0 | 28:10 | 18 | 27 | 10 | 6 | 2 | 2 | 17:5 | 12 | 20 |
| 2 დორტმუნდი | 21 | 11 | 6 | 4 | 35:17 | 18 | 39 | 10 | 6 | 4 | 0 | 18:7 | 11 | 22 | 11 | 5 | 2 | 4 | 17:10 | 7 | 17 |
| 3 შტუტგარტი | 21 | 10 | 6 | 5 | 33:26 | 7 | 36 | 10 | 6 | 3 | 1 | 19:9 | 10 | 21 | 11 | 4 | 3 | 4 | 14:17 | -3 | 15 |
| 4 შალკე | 21 | 9 | 8 | 4 | 29:21 | 8 | 35 | 10 | 4 | 5 | 1 | 14:8 | 6 | 17 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:13 | 2 | 18 |
| 5 ვერდერი | 21 | 10 | 4 | 7 | 37:33 | 4 | 34 | 11 | 7 | 2 | 2 | 25:16 | 9 | 23 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:17 | -5 | 11 |
| 6 ჰამბურგი | 21 | 9 | 6 | 6 | 27:26 | 1 | 33 | 10 | 7 | 2 | 1 | 14:8 | 6 | 23 | 11 | 2 | 4 | 5 | 13:18 | -5 | 10 |
| 7 ჰერტა | 21 | 9 | 5 | 7 | 28:25 | 3 | 32 | 10 | 5 | 3 | 2 | 18:12 | 6 | 18 | 11 | 4 | 2 | 5 | 10:13 | -3 | 14 |
| 8 მიუნხენი | 21 | 9 | 4 | 8 | 31:32 | -1 | 31 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:16 | -2 | 14 | 11 | 5 | 2 | 4 | 17:16 | 1 | 17 |
| 9 ბოხუმი | 21 | 8 | 5 | 8 | 37:36 | 1 | 29 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:15 | 3 | 17 | 10 | 3 | 3 | 4 | 19:21 | -2 | 12 |
| 10 ჰანზა | 21 | 7 | 6 | 8 | 24:25 | -1 | 27 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:15 | -4 | 10 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:10 | 3 | 17 |
| 11 ვოლფსბურგი | 20 | 8 | 2 | 10 | 23:26 | -3 | 26 | 10 | 7 | 0 | 3 | 15:8 | 7 | 21 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:18 | -10 | 5 |
| 12 არმინია | 21 | 6 | 7 | 8 | 24:29 | -5 | 25 | 10 | 5 | 3 | 2 | 14:7 | 7 | 18 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:22 | -12 | 7 |
| 13 ნიურნბერგი | 21 | 7 | 3 | 11 | 27:34 | -7 | 24 | 11 | 4 | 1 | 6 | 14:17 | -3 | 13 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:17 | -4 | 11 |
| 14 ჰანოვერი | 21 | 6 | 5 | 10 | 29:40 | -11 | 23 | 11 | 2 | 4 | 5 | 17:23 | -6 | 10 | 10 | 4 | 1 | 5 | 12:17 | -5 | 13 |
| 15 ლევერკუზენი | 21 | 5 | 5 | 11 | 26:36 | -10 | 20 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:22 | -10 | 8 | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 0 | 12 |
| 16 კოტბუსი | 21 | 5 | 5 | 11 | 21:39 | -18 | 20 | 11 | 3 | 1 | 7 | 11:20 | -9 | 10 | 10 | 2 | 4 | 4 | 10:19 | -9 | 10 |
| 17 გლადბახი | 20 | 5 | 4 | 11 | 20:26 | -6 | 19 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:6 | 7 | 15 | 11 | 1 | 1 | 9 | 7:20 | -13 | 4 |
| 18 ლაუტერნი | 21 | 4 | 6 | 11 | 23:33 | -10 | 18 | 11 | 4 | 2 | 5 | 13:12 | 1 | 14 | 10 | 0 | 4 | 6 | 10:21 | -11 | 4 |

### XXII ტური

23 თებერვალი

ვერდერი — კოტბუსი
ბაიერნი — ნიურნბერგი
ვოლფსბურგი — მიუნხენ 1860
ლაუტერნი — ჰამბურგი
ჰერტა — არმინია
შტუტგარტი — გლადბახი
ჰანზა — ბოხუმი
ჰანოვერი — ლევერკუზენი
შალკე — დორტმუნდი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 14 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 12 |
| ელბერი (ბაიერნი) | 11 |
| შროტი (მიუნხენი) | 11 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 11 |
| კურანი (შტუტგარტი) | 10 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 10 |
| ლაუტი (მიუნხენი) | 10 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 10 |

# აივაზ შილტინგეიმელი

## ქვემოუბნელები თასს შემოუსხდნენ



REUTERS შილტინგემიდან

შილტინგემი — ტულუზი. სტუმართა რბევა გარიპ აივაზმა (ბურთით) დაიწყო

ტია, თასის მეოთხედფინალში არ გასულა და ეს ამჟამინდელმა მწვრთნელმა, როლან გრანსარტმა მოახერხა. მესუტ ბილიკის ადრეულ გოლს ტაგრი ბალაგიმ პირველი ტაიმის დასრულებამდე მეორეც მიამატა, რაზეც სტუმართა ალექსანდრ ფრუტოსმა ოლენ ერთით უპასუხა.

არანაკლებ შთამბეჭდავი იყო მეხუთე დივიზიონის მკვიდრ „შილტინგეიმის" გამარჯვება „ტულუზთან". „"შილტინგეიმის" სტადიონი „აარი" ზედალიგელების სასაფლაოდ გადაიქცა. მოყვარულებმა ამავე სტადიონზე ჯერ „ტრუა" იმსხვერპლეს, მერე „ბოვუა" და ახლა „ტულუზიც" მიაყოლეს. მართალია, სტუმრებმა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დაასვენეს, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს დამხვდურთა გამარჯვებას.

„აარზე" პირველი გოლი აივაზმა მეორე წუთზევე შეაგდო. შესვენების შემდეგ შილტინგემელებმა კიდევ ორი გაიტანეს და დიდი გამარჯვება იზეიმეს.

„ოსერის" მხცოვანმა მწვრთნელმა გი რუმ „ბურჟთან" მთავარი ბიჭები დაასვენა. მასპინძლებმა პირველი ტაიმის შუაწელში იხეირეს ჟან კრისტოფ დურანის გოლით, მაგრამ მატისმა მალე გაათანაბრა.

მეორე ნახევარში „ოსერმა" ტემპს მოუმატა და შედეგმაც არ დააყოვნა. ბენჯანი მვარუვარიმ სტუმრები დააწინაურა, შეხვედრის მიწურულს კი შეცვლაზე შესული ჯიბრილ სისეს პასით იან ლაშუერმა მესამეც გაიტანა.

მთელი მატჩის განმავლობაში „ლორიანი" „ლილს" სჯობდა, მაგრამ უპირატესობა გოლად ვერ აქცია. მოედანზე პატრის ლოკოს შესვლიდან 16 წუთში კი საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა წევრმა „ლილის" მეკარე გრეგორი მალიკი მაინც დაამწუხრა და გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა.

„ლავალმა" პსჟ-ს ნახევრად მოყინულ მინდორზე უმასპინძლა და ფაბრის ფიორეზეს კინკილა გოლით დამარცხდა. პარიზელები ლიონელ ლეტიზის უნდა უმადლოდნენ გამარჯვებას, რადგან რომ არა იგი, მათ საჯარიმოში მეორე ტაიმში ჩაწოდებული 12 კუთხურიდან რომელიმე გოლად გადაიქცეოდა.

მეტოქის ძლევა არ გასჭირვებია „ბორდოს", თუმცა ვიროდელებს მაშინ დასცხათ, ჟიფრეი დერნიმ 70-ეზე ერთი რომ გაქვითა და ანგარიში 2:1 გახადა. დაახლოებით თოთხმეტი წუთის განმავლობაში ელი ბოამ ცოტაოდენი ინერვიულა, მაგრამ პედრო პაულეტამ და ჟან კლოდ დარშევილმა შეხვედრის ბოლოს გატანილი გოლებით მწვრთნელი დაამშვიდეს.

ვაჟა ხუციშვილი

## საფრანგეთი

### თასის 1/8 ფინალი

**ბურჟ-პერონი 1:3 *ოსერი***

1:0 დურანი (25), 1:1 მატისი (34), 1:2 მვარუვარი (55), 1:3 ლაშუერი (79)

***მარტიგი* 2:1 მეცი**

1:0 ბილიკი (11), 2:0 ბალაგი (38), 2:1 ფრუტო (45)

***შილტინგემი* 3:0 ტულუზი**

1:0 აივაზი (2), 2:0 ვებერი (63), 3:0 ლემარკანი (73)

***ანგულემი* 0:0(პენ. 2:0) გენგამი**

**ლიბურნ სენ-სერენი 0:3 *რენი***

0:1 ფრეი (11), 0:2 მერაბტი (59), 0:3 მაულიდა (88)

***ლორიანი* 1:0 ლილი**

1:0 ლოკო (88)

**ლავალი 0:1 *პსჟ***

0:1 ფიორეზე (54)

***ბორდო* 4:1 ვასკეალი**

1:0 დარშევილი (9), 2:0 პაულეტა (25), 2:1 დერნი (65), 3:1 პაულეტა (85), 4:1 დარშევილი (89)

**საფრანგეთის** თასის მერვედფინალში მესამედივიზიონელმა „ანგულემმა" ივაჟკაცა. „ლებონის" სტადიონზე შეკრებილმა 6 ათასმა ქომაგმა „გენგამის" ძლევით და მეოთხედფინალში გაღწევით გაიხარა. „ანგულემის" თასის ნახევარფინალი 1979 წელსაც დაუჭაშნიკებია და საამისოდ კიდევ იბრძოლებს.

ბოლო ჟამს უხეიროდ მოთამაშე „გენგამს" „ლებონზე" თავი არაფრით გამოუჩენია. მას შემდეგაც კი, რაც მასპინძლებს 68-ე წუთზე კაცი გაუძევეს, დარჩენილებმა „გენგამის" გადამწყვეტ იერიშს გაუძლეს და საქმე თერთმეტმეტრიანებზე მიდგა. აქ უკვე „ანგულემის" მეკარემ სტეფან ლუკასმა იყოჩაღა, რომელმაც სამი დარტყმა მოიგერია და გულშემატკივრები გადარია.

მესამე დივიზიონის ცხრილში „ანგულემის" მეზობელია „მარტიგი". ისინი მეცამეტე-მეთოთხმეტე ადგილებზე არიან. „მარტიგმა" „მეცი" დაიფრინა. მასპინძელი გუნდი უკვე 20 წელზე მეტია, თასის მეოთხედფინალში არ გასულა...

# ანხელ, რატომ ვყურყუტებ შუაში?

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ნანტი 0:1 სოშო**

0:1 მეტიუ (55)

ანხელ მარკოსის „ნანტი" მოგების შემთხვევაში გვარიან ნახტომს გააკეთებდა ცხრილში. „ბოჟუარზე" მასპინძლები „სოშოს" გასაბღლვნელად გავიდნენ, გაწეწეს კიდეც მეტოქე, მაგრამ მეკარე რიშერს ვერაფერი დააკლეს. „ნანტის" ბოსები მწვრთნელისგან გამარჯვებებს ითხოვენ. მათ ყვერთასებზე თამაში ამოუჭრიათ გულში და გუნდის ცხრილის შუაგულში ყოფნას ვერ ეგუებიან.

მასპინძლებმა ისე დაიწყეს, 30 ათასმა მაყურებელმა იფიქრა, სტუმრებისგან მტვერილა დარჩებაო. პირველ ტაიმში ვიორელ მოლდოვანმა სამი, მარამა ვაირუამ კი ერთი აშკარა საგოლე მომენტი გააცუდა.

შესვენების შემდეგ მატჩის ხასიათი არ შეცვლილა. „სოშო" თავგანწირულად იცავდა კარს, „ნანტი" კი გასაღებს ეძებდა. ზუსტად მაშინ, როცა „სოშოს" გატეხვას ცოტაღა უკლდა, მასპინძლებს სწრაფი კონტრშეტევა გაეპარათ და მატიემ ლანდროს გაუტანა. ანხელ მარკოსმა მოლდოვანის ნაცვლად მაკუკულა შეუშვა, ეგებ რამე მოახერხოსო, მაგრამ ამაოდ.

ვაჟა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 27 | 14 | 6 | 7 | 30:23 | 48 |
| მონაკო | 27 | 12 | 10 | 5 | 40:21 | 46 |
| ნიცა | 27 | 11 | 10 | 6 | 31:21 | 43 |
| ოსერი | 26 | 12 | 7 | 7 | 26:21 | 43 |
| ლიონი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:32 | 42 |
| სოშო | 26 | 11 | 8 | 7 | 28:22 | 41 |
| ბასტია | 27 | 12 | 5 | 10 | 30:29 | 41 |
| ბორდო | 26 | 11 | 7 | 8 | 37:28 | 40 |
| პსჟ | 27 | 10 | 9 | 8 | 33:25 | 39 |
| ლანსი | 26 | 9 | 11 | 6 | 31:26 | 38 |
| ნანტი | 26 | 11 | 5 | 10 | 29:28 | 38 |
| გენგამი | 26 | 10 | 4 | 12 | 35:38 | 34 |
| სტრასბური | 26 | 9 | 7 | 10 | 30:37 | 34 |
| ლე ავრი | 27 | 8 | 8 | 11 | 21:30 | 32 |
| რენი | 27 | 7 | 7 | 13 | 22:29 | 28 |
| ლილი | 24 | 7 | 7 | 10 | 20:30 | 28 |
| აიაჩო | 26 | 6 | 9 | 11 | 20:31 | 27 |
| სედანი | 26 | 7 | 6 | 13 | 28:42 | 27 |
| მონპელიე | 26 | 5 | 9 | 12 | 24:34 | 24 |
| ტრუა | 26 | 4 | 8 | 14 | 15:26 | 20 |

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები: კრეტეი — შატორუ 0:2; კლერმონი — ბოვე 1:0; ისტრი — სენტ ეტიენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 25 | 15 | 5 | 5 | 37:15 | 50 |
| მეცი | 25 | 12 | 7 | 6 | 32:20 | 43 |
| ლე მანი | 25 | 12 | 7 | 6 | 31:25 | 43 |
| ლორიანი | 26 | 12 | 7 | 7 | 30:25 | 43 |
| შატორუ | 25 | 12 | 6 | 7 | 30:23 | 42 |
| გრენობლი | 26 | 9 | 10 | 7 | 30:17 | 37 |
| ამიენი | 24 | 9 | 7 | 8 | 18:17 | 34 |
| ნიორი | 26 | 9 | 7 | 10 | 28:29 | 34 |
| ვალანსი | 25 | 9 | 5 | 11 | 27:28 | 32 |
| კლერმონი | 26 | 9 | 5 | 12 | 28:37 | 32 |
| ლავალი | 24 | 8 | 6 | 10 | 25:27 | 30 |
| ნანსი | 24 | 8 | 6 | 10 | 20:27 | 30 |
| კრეტეი | 23 | 6 | 11 | 6 | 26:25 | 29 |
| ბოვე | 25 | 7 | 7 | 11 | 12:16 | 28 |
| გენიონი | 22 | 7 | 6 | 9 | 20:22 | 27 |
| ისტრი | 26 | 6 | 9 | 11 | 21:41 | 27 |
| რეიმსი | 24 | 5 | 11 | 8 | 20:25 | 26 |
| ვასკეალი | 24 | 5 | 11 | 8 | 16:21 | 26 |
| კაენი | 25 | 5 | 11 | 9 | 26:32 | 26 |
| სენტ ეტიენი | 24 | 5 | 10 | 9 | 18:23 | 25 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XX ტური

**პსვ ეინდჰოვენი 6:0 ზვოლე**

1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (1), 2:0, 3:0 კეჟმანი (3, 9), 4:0 ვან ბომელი (12), 5:0 კეჟმანი (25), 6:0 რობენი (59)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ჰაინცე (ი. ლი 46), ბუმა, ფაბერი, ოიერი, რომედალი (ჯ. პარკი 46), ფოგელი, ვან ბომელი, რობენი (ბრუგინკი 67), კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

*გოგა გახოკიძე სათადარიგო იყო*

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

28 500 მაყურებელი

**ვალვაიკი 1:0 ვიტესი**

1:0 ვან დიემენი (42)

**გრააფსხაპი 1:5 ჰერენვენი**

1:0 არვიდ სმიტი (18), 1:1 დენებოომი (40), 1:2 ჯ. დე იონგი (47), 1:3 სიბონი (51), 1:4 დენებოომი (64), 1:5 სელაკოვიჩი (90)

**ტვენტე 1:2 ნაიმეგენი**

0:1 დ. ჰესპი (13), 0:2 ჰერსი (39), 1:2 პოლაკი (79)

**აიაქსი 2:1 გრონინგენი**

1:0 ვან დერ მეიდე (38), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (59), 2:1 შონმაკერსი (74)

**ტილბურგი 5:0 როდა**

1:0 სესაი (21), 2:0 ქვინი (27), 3:0 ლანძაატი (48), 4:0, 5:0 შუკოფი (63, 74)

**ბრედა 2:1 ექსელსიორი**

1:0 ენგელაარი (21), 1:1 ჰოლმანი (72), 2:1 შრიუდერი (77)

**ალკმაარი 1:4 ფეიენოორდი**

0:1 ვან პერსი (13), 0:2 ვან ჰოიდონკი (16), 0:3 კალუ (19), 0:4 ვან ჰოიდონკი (31), 1:4 კრომკამპი (81)

**როზენდალი 0:1 უტრეხტი**

0:1 კუიტი (20)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 20 | 16 | 3 | 1 | 52:10 | 51 |
| აიაქსი | 20 | 14 | 5 | 1 | 53:20 | 47 |
| ფეიენოორდი | 20 | 12 | 4 | 4 | 49:24 | 40 |
| ტილბურგი | 20 | 9 | 4 | 7 | 34:29 | 31 |
| ვალვაიკი | 20 | 9 | 4 | 7 | 21:24 | 31 |
| ბრედა | 19 | 7 | 9 | 3 | 25:16 | 30 |
| ნაიმეგენი | 20 | 8 | 6 | 6 | 26:27 | 30 |
| როდა | 19 | 8 | 5 | 6 | 32:31 | 29 |
| უტრეხტი | 19 | 7 | 7 | 5 | 26:23 | 28 |
| ჰერენვენი | 20 | 7 | 6 | 7 | 35:31 | 27 |
| ტვენტე | 20 | 5 | 8 | 7 | 24:30 | 23 |
| ალკმაარი | 19 | 6 | 3 | 10 | 28:49 | 21 |
| ექსელსიორი | 19 | 4 | 7 | 8 | 23:33 | 19 |
| როზენდალი | 20 | 5 | 4 | 11 | 21:33 | 19 |
| ვიტესი | 19 | 4 | 4 | 11 | 17:23 | 16 |
| გრონინგენი | 20 | 3 | 5 | 12 | 17:31 | 14 |
| ზვოლე | 19 | 3 | 4 | 12 | 16:39 | 13 |
| გრააფსხაპი | 19 | 3 | 4 | 12 | 19:45 | 13 |

### II დივიზიონი

მე-20 ტური: ვენლო — ემენი 1:1; დენ ბოსხი — ჰელმონდი 3:0; დოორდრეხტი — ოსი 1:2; ეინდჰოვენი — კამბური 1:0; სიტარდი — ჰერაკლესი 0:3; ჰაარლემი — ვოლენდამი 0:1; მაასტრიხტი — ტელსტარი 1:2; სპარტა — დენ ჰააგი 1:2

## თურქეთი

მე-20 ტური: მალათია — დენიზლი 2:1; სამსუნი — ქოჯაელი 1:0; ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი 2:0; ადანა — გიოზთეფე 1:2; ალთაი — ტრაბზონი 1:4; ელაზიგსფორი — ანკარაგიუჯიუ 1:0; გენჩლერბირლიგი — დიარბაქირი 3:1; ბეშიქთაში — ისთანბული 2:1; ბურსა — გალათასარაი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 20 | 15 | 5 | 0 | 36:10 | 50 |
| გენჩლერი | 20 | 13 | 4 | 3 | 53:22 | 43 |
| გალათასარაი | 19 | 13 | 3 | 3 | 32:17 | 42 |
| ფენერბაჰჩე | 20 | 11 | 6 | 3 | 41:21 | 39 |
| ტრაბზონი | 20 | 9 | 7 | 4 | 27:16 | 34 |
| გაზიანთეფი | 20 | 9 | 6 | 5 | 34:24 | 33 |
| მალათია | 20 | 8 | 7 | 5 | 34:26 | 31 |
| დენიზლი | 19 | 6 | 6 | 7 | 21:22 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 20 | 7 | 3 | 10 | 23:28 | 24 |
| დიარბაქირი | 20 | 6 | 5 | 9 | 20:27 | 23 |
| ალთაი | 20 | 6 | 3 | 11 | 28:43 | 21 |
| ელაზიგსფორი | 20 | 5 | 5 | 10 | 20:29 | 20 |
| ისთანბული | 20 | 5 | 4 | 11 | 23:33 | 19 |
| გიოზთეფე | 20 | 4 | 7 | 9 | 19:31 | 19 |
| ბურსა | 20 | 4 | 7 | 9 | 25:38 | 19 |
| ადანა | 20 | 4 | 7 | 9 | 20:33 | 19 |
| სამსუნი | 20 | 5 | 4 | 11 | 20:37 | 19 |
| ქოჯაელი | 20 | 4 | 1 | 15 | 20:39 | 13 |

### მეფის თასი 2003
### I ტური

**ჩრდ. კორეა 2:2 ტაილანდი**

**შვედეთი 3:2 ყატარი**

*დღეს: ტაილანდი — ყატარი; შვედეთი — ჩრდ. კორეა*

### ამხანაგური მატჩები

**ბენინი 1:0 განა**

1:0 გასპოზი (17)

**გამბია 0:1 ნიგერია**

0:1 ოკეჩუკვუ (10)

## ბელგია

### I დივიზიონი. XXII ტური

**ბრიუგე 4:2 სტანდარდი**

1:0 მენდოსა (26), 2:0 სიმონსი (30), 3:0 ნ. ჩეპი (31), 3:1 აარსტი (32), 4:1 ვერჰეინი (50), 4:2 მეისენი (89)

**ბეერსხოტი 2:0 ლუვიე**

1:0, 2:0 კპაკა (26, 28)

**ლიერსი 3:0 მეხხელენი**

1:0 ჰიუსგემსი (17), 2:0 კონე (69), 3:0 სნოექსი (89)

**ლოკერენი 1:2 ბევერენი**

0:1 კიპრე-კაიპერი (34), 1:1 ბანგურა (89), 1:2 კიპრე-კაიპერი (90)

**ლომელი 1:3 გენკი**

0:1 ვანდენბერგი (13), 1:1 დე კონდე (42), 1:2, 1:3 დაგანო (65, 89)

**მონსი 0:1 გენტი**

0:1 კაკლამანოსი (10)

**სენტ ტრუიდენი 1:0 ვესტერლო**

1:0 ბოფინი (16)

**ანდერლეხტი 4:1 ანტვერპენი**

1:0 იესტროვიჩი (14), 2:0 ტიჰინენი (22), 3:0 იესტროვიჩი (45), 3:1 გოოტსი (54), 4:1 იესტროვიჩი (58)

**შარლერუა 5:0 მუსკრონი**

1:0 და სილვა (30), 2:0 დუფერი (42), 3:0, 4:0, 5:0 ბოეკა-ლისასი (53, 57, 70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 21 | 19 | 1 | 1 | 70:19 | 58 |
| ანდერლეხტი | 21 | 14 | 2 | 5 | 49:25 | 44 |
| ლიერსი | 21 | 13 | 5 | 3 | 35:19 | 44 |
| ლოკერენი | 21 | 12 | 4 | 5 | 43:31 | 40 |
| სენტ ტრუიდენი | 21 | 11 | 5 | 5 | 48:29 | 38 |
| გენკი | 21 | 11 | 5 | 5 | 50:35 | 38 |
| გენტი | 21 | 10 | 2 | 9 | 33:31 | 32 |
| სტანდარდი | 21 | 8 | 6 | 7 | 35:29 | 30 |
| მუსკრონი | 21 | 8 | 5 | 8 | 39:41 | 29 |
| ანტვერპენი | 21 | 8 | 4 | 9 | 33:38 | 28 |
| მონსი | 21 | 8 | 3 | 10 | 27:29 | 27 |
| ბევერენი | 21 | 7 | 2 | 12 | 26:47 | 23 |
| ვესტერლო | 21 | 7 | 1 | 13 | 18:34 | 22 |
| ბეერსხოტი | 21 | 6 | 3 | 12 | 35:40 | 21 |
| ლუვიე | 21 | 5 | 5 | 11 | 22:30 | 20 |
| ლომელი | 21 | 4 | 3 | 14 | 19:39 | 15 |
| შარლერუა | 21 | 3 | 6 | 12 | 26:48 | 15 |
| მეხელენი | 21 | 2 | 4 | 15 | 15:59 | 10 |

### II დივიზიონი

23-ე ტური: დენდერლეუ — ეუპენი 0:1; ვიგორი — პატრო 0:2; რუზელარე — ვიზეტი 0:1; გეელი — დესელი 1:0, დაინცე — სერკლი 0:1; ვირტონი — რონსე 2:1; ლიეჟი — ვარეგემი 2:0; სტრომბეკი — ტინენი 7:0

## საბერძნეთი

მე-19 ტური: ირაკლისი — პანიონიოსი 3:1; აკრატიტოსი — ოლიმპიაკოსი 2:5; ეგალეო — პანაჰაიკი 4:0; პაოკ — ოფი 2:0; იანინა — არისი 0:1; პროდეფტიკი — კალითეა 1:1; პანათინაიკოსი — იონიკოსი 1:0; აეკ — ქსანთი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 19 | 14 | 2 | 3 | 27:12 | 44 |
| ოლიმპიაკოსი | 19 | 12 | 6 | 1 | 45:13 | 42 |
| პაოკ | 19 | 12 | 3 | 4 | 40:20 | 39 |
| აეკ | 19 | 10 | 5 | 4 | 36:20 | 35 |
| პანიონიოსი | 19 | 10 | 4 | 5 | 23:15 | 34 |
| არისი | 19 | 9 | 5 | 5 | 21:20 | 32 |
| ირაკლისი | 19 | 8 | 4 | 7 | 26:21 | 28 |
| ქსანთი | 19 | 6 | 8 | 5 | 22:17 | 26 |
| ოფი | 19 | 6 | 6 | 7 | 22:21 | 24 |
| ეგალეო | 19 | 5 | 8 | 6 | 18:22 | 23 |
| პროდეფტიკი | 19 | 5 | 7 | 7 | 18:19 | 22 |
| კალითეა | 19 | 3 | 7 | 9 | 18:27 | 16 |
| იონიკოსი | 19 | 3 | 6 | 10 | 11:27 | 15 |
| იანინა | 19 | 3 | 5 | 11 | 14:25 | 14 |
| აკრატიტოსი | 19 | 3 | 3 | 13 | 17:41 | 12 |
| პანაჰაიკი | 19 | 1 | 5 | 13 | 7:45 | 8 |

## ჩეხეთი

მე-16 ტური: სინოტი — იაბლონეცი 1:0; ჟიჟკოვი — ბლშანი 1:0; სლავია — პრადეც კრალოვე 4:0; ბანიკი — ზლინი 2:2; ბრნო — პრჟიბრამი 1:1; ლიბერეცი — სიგმა 2:1; ბუდეიოვიცე — ბოჰემიანსი 3:3; ტეპლიცე — სპარტა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 16 | 11 | 3 | 2 | 26:6 | 36 |
| სლავია | 16 | 10 | 5 | 1 | 33:9 | 35 |
| ტეპლიცე | 16 | 10 | 1 | 5 | 23:18 | 31 |
| ლიბერეცი | 16 | 9 | 2 | 5 | 26:19 | 29 |
| ჟიჟკოვი | 16 | 8 | 3 | 5 | 22:21 | 27 |
| ბანიკი | 16 | 7 | 4 | 5 | 25:18 | 25 |
| სინოტი | 16 | 7 | 4 | 5 | 19:18 | 25 |
| პრჟიბრამი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:15 | 20 |
| ბუდეიოვიცე | 16 | 6 | 2 | 8 | 23:30 | 20 |
| ბრნო | 16 | 5 | 4 | 7 | 18:19 | 19 |
| ბლშანი | 16 | 5 | 3 | 8 | 13:18 | 18 |
| იაბლონეცი | 16 | 4 | 6 | 6 | 16:24 | 18 |
| ზლინი | 16 | 4 | 5 | 7 | 17:25 | 17 |
| სიგმა | 16 | 2 | 5 | 9 | 13:20 | 11 |
| ჰრადეც კრალოვე | 16 | 1 | 8 | 7 | 13:27 | 11 |
| ბოჰემიანსი | 16 | 2 | 4 | 10 | 22:37 | 10 |

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XXII ტური

#### ბეტისი 3:2 სოსიედადი

1:0 ფერნანდო (11), 1:1, 1:2 ნიჰათი (73, 77), 2:2 ფილიპესკუ (86), 3:2 ფერნანდო (90პ)
ბეტისი: პრატსი, მ. ასუნსაო (კანიასი 87), ვარელა, ფერნანდო, კაპი, იტო, ფილიპესკუ, არზუ, მელი, დენილსონი (დანი 69), ხოაკინი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
სოსიედადი: ვესტერფელდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ბორისი, ხაურეგი, ბარკერო (გაბილონდო 89), კარპინი, მიკელ ალონსო (ტაიფუნი 63), კოვაჩევიჩი, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: იტო, ფილიპესკუ, მელი, ბარკერუ, არანსაბალი, ხაურეგი, ხაურეგი
გაძევება: ხაურეგი (90)
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
40 000 მაყურებელი

#### ოსასუნა 1:0 რეალი

1:0 მანფრედინი (37)
ოსასუნა: სანსოლი, იანგუსი, მატეო, ხოსეჩო, ანტონიო ლოპესი, კ. მანფრედინი (განსედო 74), ალფრედო (პალასიოსი 82), პუნიალი, მუნიოსი, ივან როსადო, ალონზი (მორალესი 90)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
რეალი: კასილიასი, სალგადო, ი. ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, ფ. კონსეისაო (გუტი 60), ზიდანი (მორიენტესი 73), რაული, რონალდო
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ზიდანი, ფიგუ, ალფრედო, მუნიოსი
გაძევება: ფიგუ (63)
მსაჯი: მედინა კანტალეხო
18 766 მაყურებელი

#### ვალენსია 2:0 მალაგა

1:0 პელეგრინო (54), 2:0 ხუან სანჩესი (74)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, მარჩენა, კარბონი, რეველიერი, ბარახა (ალბელდა 71), რუფეტე (ანგულო 61), ხუან სანჩესი, ვისენტე (კილი გონსალესი 76), მისტა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მალაგა: კონტრერასი, როხასი, როტეტა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, მუსამპა, რომერო (კანაბალი 66), მანუ, სანდრო (ლეკო 86), დელი ვალდესი (გეხო 86)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: კარბონი, ბარახა, როტეტა, სანსი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
35 000 მაყურებელი

#### ვალიადოლიდი 0:1 დეპორტივო

0:1 მაკაი (58)
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, მუსტაფა, კოლსა, ჩემა (ოლივერა 66), ხესუსი, ფ. სალესი, აგანსო (პაჩონი 77), ოსკარი (დ. ჩირიჩი 83)
მწვრთნელი: პეპე მორე
დეპორტივო: ხუანმი, რომერო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, ექტორი, მაურო სილვა (დონატო 61), სკალონი, სერხიო, დუშერი (აკუნია 87), მაკაი (ამავისკა 83), ლუკე
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: მარკოსი, მუსტაფა, ხესუსი, ტორეს გომესი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
10 000 მაყურებელი

#### სელტა 4:1 უელვა

1:0, 2:0 ედუ (38, 56), 3:0, 4:0 ხესული (64, 71), 4:1 სილვინიო (90ს.კ.)
სელტა: კავალიერო, ველასკო (ვაგნერი 78), სილვინიო, კასერესი, ანხელი, სერხიო, მოსტოვოი (კატანია 71), ხოსე იგნასიო, ედუ, ლუქსენი, გუსტავო ლოპესი (ხესული 62)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
უელვა: ლუკე, მერინო (ესპინოლა 33), პერნია, ხავი გარსია, არპონი (ხისკო 46), იკერ ბეგონია, ლორენი, ვიკეირა, კამაჩო, რაულ მოლინა (ჟაოზინიო 68), ბერმეხო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
მსაჯი: ესკინას ტორესი
15 000 მაყურებელი

# თამაში დეტექტივი
## ანტიჩმა ბარსელონა გაპუტა


REUTERS საინფორმაციოდან

რასინგი — რაიო. ძველმა რეალელმა პედრო მუნიტისმა მადრიდელ პატრისიო გრაფს ბურთი არ დაანება

#### ატლეტიკო 2:1 მალიორკა

1:0 მოვილია (15), 1:1 ნოვო (20), 2:1 ლუის გარსია (60)
ატლეტიკო: ესტებანი, კონტრა, კოლოჩინი, პიბიჩი, სერხი, მოვილია, ალბერტინი, ლუის გარსია (ხორხე 63), ხოსე მარი (დანი კარვალიუ 50), ფ. ტორესი (კორეა 74), ხავი მორენო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ფ. ნინიო, კორტესი, ლუსენჰოფი, იბაგასა (კამპანო 76), ნოვო (კარლოსი 83), მარკოსი, აროლდ ლოზანო, ეტოო, პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ლუსენჰოფი, პანდიანი, კორტესი, მარკოსი, ალბერტინი, კორეა, ნინიო
გაძევება: აროლდ ლოზანო (32)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
50 000 მაყურებელი

#### ბილბაო 2:0 სევილია

1:0 ეჩებერია (60), 2:0 ესკერო (89პ)
ბილბაო: არანსუბია, ოსკარ ვალესი, ლუის პრიეტო, აიტორ ოსიო, იესტე (არიაგა 23), ხავი გონსალესი, ალკისა, დელ ორნო (ფელიპე 90), ტიკო (ლარასაბალი 90), ესკერო, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, გალიარდო (ხუანმი 72), ე. სალასი (ანტონიტო 64), ხ. რედონდო, კასკერო, ტორადო, ტოედტლი (მახლასი 64)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ტიკო, რედონდო, ხავი ნავარო
გაძევება: ფრედი (63), დავიდ კასტედო (80)
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
32 000 მაყურებელი

#### ესპანიოლი 0:2 ბარსელონა

0:1 კოკუ (40), 0:2 ხავი (42)
ესპანიოლი: ტ. ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, ტორიჩელი (მორალესი 89), დომორო, ველამასანი (ტამუდო 46), როხერი, მაქსი, დე ლა პენია (ოსკარი 75), მილოშევიჩი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი, ფ. დე ბური, პუიოლი, სორინი, ხავი, კოკუ, მენდიეტა (მოტა 56), სავიოლა (რიკელმე 71), კლუივერტი, ოვერმარსი (როჩემბაკი 47)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ლოპო, ბონანო, პუიოლი, ტამუდო, დომორო
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
39 000 მაყურებელი

#### ალავესი 1:0 ვილიარეალი

1:0 ტომიჩი (76)
ალავესი: დუტრუელი, კარმონა, ჟელი, ლორენსი, აბელარდო, ი. ტომიჩი (მარა 89), ედუ ალონსო, ლ. ელგერა, რუბენ ნავარო (კრუიფი 77), მაგნო (ტურიელი 83), ივან ალონსო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო, ფარინოსი (ხისკო 83), პალერმო, ვიქტორი, გიარე (კალეხა 67)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: ხორხე ლოპესი, ტომიჩი, არუაბარენა, ბელეტი, ბალესტეროსი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
13 123 მაყურებელი

#### რასინგი 2:0 რაიო ვალეკანო

1:0 ხავი გერერო (16), 2:0 ბენაიუნი (29)
რასინგი: ლემენსი, კორომინა, ნერუ, ნაფტი, მორა, ხუანმა, მატეო, ბენაიუნი (სარაბია 70), ჩიკი (მატაბუენა 83), ხავი გერერო (დიეგო ალონსო 67), მუნიტისი
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დე კინტანა, გრაფი, მორა (ასკოიტია 48), ონოპკო, მარიო, კევედო, ლუის სემბრანოსი (ბოლიჩი 63), ხულიო ალვარესი (ფ. მარკესი 46), პერაგონი, ბოლო
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: კევედო, ნაფტი, ლუის სემბრანოსი, კევედო, კორომინა, ხავი გერერო, მატეო
გაძევება: კევედო (55)
მსაჯი: რამირეს დომინგესი
15 384 მაყურებელი

**ესპანეთში** ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება — ტურის არც ერთი შეხვედრა ფრედ არ დასრულებულა, ხოლო კვირა დღის შვიდივე მატჩი მასპინძლებმა მოიგეს.

ლიდერმა „რეალ სოსიედადმა“, პირველი წრე დაუმარცხებლად რომ განვლო, ბოლო სამ ტურში მეორედ წააგო, მაგრამ წაგებაცაა და წაგებაც. „ბეტისთან“ ბასკთა თამაში კარგი დეტექტივივით იყო — რომ გგონია, გამოვიცანი მკვლელი ვინც არისო და ბოლო აბზაცში რომ ირკვევა: მკვლელი სულ სხვა ვინმე ყოფილა.

მართლა ასეთი თამაში იყო: ოთხწუთიან მონაკვეთში სტუმართა თურქმა ნიჰათმა სევილიელთა ადრიანად გატანილი გოლი ჯერ გაქვითა, მერე კი თავისიანებიც დააწინაურა. ამ დროისთვის თამაშის დასრულებამდე 12 წუთიღა რჩებოდა და აბა, ვინ იფიქრებდა, ნირწამხდარი მასპინძლები რამეს თუ გააწერხებდნენ. მაგრამ მასპინძლები არც ისე ნირწამხდარნი ყოფილან, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. იულიან ფილიპესკუმ სანდერ ვესტერფელდს თავზე გადაუგდო ბურთი და გაათანაბრა — შეხვედრის ბოლომდე ოთხი წუთიღა რჩებოდა და ახლა მაინც აღარაფერი შეიცვლებაო, კვლავ იფიქრებდით. სულ ტყუილად — 90 წუთს ერთიც რომ გადასცა, „სოსიედადი“ პენალტით დაისაჯა, რომელიც პირველი გოლის ავტორმა ფერნანდომ „ბეტისის“ გამარჯვების გოლად აქცია. ბასკებს კი ნუგეშად ისღა დარჩათ, რომ „რეალმაც“ წააგო და ლიდერობა ვერ ჩამოართვა.

პამპლონის „ელ სადარზე“ მანფრედინის პირველი ტაიმის მიწურულს გატანილმა გოლმა „რეალს“ სეზონში მეორე მარცხი აგემა და 16-მატჩიანი წაუგებელი სერია შეაწყვეტინა. პამპლონაში ციოდა, ტემპერატურა მინუს 1 გრადუსი იყო, მაგრამ იკერ კასილიასის კართან პირველივე წუთიდან დათბა და თანდათანობით ჩამოცხა კიდეც. ამის მიზეზი მასპინძელთა მჭიდრო პრესინგი გახლდათ, რის გამოც „რეალს“ მოედნის ცენტრში ბურთის შენარჩუნება უჭირდა და „ოსასუნას“ იერიშების ერთი მეორეს მიყოლებით წამოწყების საშუალებას აძლევდა. ოღონდ პასებში წუნიც ბევრი იყო, რის ერთ-ერთ მიზეზად გაზონის უვარგისობა ითქვა.

...მანფრედინიმ მიჩელ სალგადო ჩამოიტოვა, საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა და მახვილი კუთხიდან გაუტანა მომხვდურებს — 1:0.

შესვენების მერე მადრიდელები ტრადიციულად გამოცოცხლდნენ. ტრადიციულად, რადგან, ბოლო მატჩებია, „რეალი“ მეტოქეებს ფორას აძლევს და მერე მაინც ამარცხებს. ამას ისიც დაერთო, რომ „ოსასუნამ“ ანგარიშის შენარჩუნებაზე გააგრძელა თამაში. ფაქტობრივად, შესვენების მერე მასპინძლებს მხოლოდ ორი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ როგორი! ჯერ ალოიზიმ, მერე კი მუნიოსმა ძელს გაარტყეს. „რეალი“ კაცნაკლულიც დარჩა. ლუიშ ფიგუმ ისე ჩაწიხლა ფრანსისკო პუნიალი, ნაღდად გასაგდები იყო. ვისენტე დელ ბოსკე, სხვა რა დარჩენოდა, ვაბანკზე წავიდა, რაულს და რონალდოს გუტი და მორიენტესიც დაახმარა და ოთხი ფორვარდით შეეცადა ფონს გასვლას. „რეალს“ არ გაუმართლა, „ოსასუნა“ მთელი გუნდით კარგად იცავდა თავს, თუმცა ისიცაა, რომ ერთ-ერთი შტურმისას მორიენტესის დარტყმულმა მაინც გადაკვეთა კარის ხაზი, ოღონდ, სანამ მსაჯი შენიშნავდა, ლეონელ განსედომ ბურთი თავით თამაშში დააბრუნა.

ამასობაში რადომირ ანტიჩის „ბარსელონამ“ მოიგო.

ბარსელონელებმა დილიდან აიკლეს ქალაქის ქუჩები — დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს და NO A LA GUERRA!-ს გაჰკიოდნენ, ანუ ომი არ გვინდაო. მერე დემონსტრანტებს ფეხბურთის ქომაგები გამოეყვნენ და მონჟუიკის ბორცვს აუყვნენ, რომლის თავზეც ამავე სახელის მქონე სტადიონია და საიდანაც ხელისგულივით ჩანს ხმელთაშუაზღვის სანაპირო.

რადომირ ანტიჩმა ოთხი მცველით და ორი უკან დახეული საყრდენი ნახევარმცველით — კოკუ და ხავი — ითამაშა, „ბარსელონას“ ორივე გოლიც სწორედ საყრდენთა ანგარიშზეა. არც გასაკვირია, რომ ანტიჩი პირველ გამარჯვებას ესწრაფოდა და ლამაზ ფეხბურთს მაქსიმალური რაციონალიზმი ამჯობინა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მენდიეტას აშკარად ეზარებოდა უკან ჩასვლა, კლუივერტი პიჟონობდა, სავიოლა და რიკელმე კი მეტწილად სოლოეფექტების შექმნას ლამობდნენ. საბოლოოდ კი, „ბარსამ“ მაინც უფრო მაღალი კლასის შემსრულებელთა წყალობით იმარჯვა, თორემ სავო მილოშევიჩს და რაულ ტამუდოს არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ.

„ბარსამ“ მოიგო და სამარცხვინო მე-15 ადგილსაც ასცდა, თუმცა გულშემატკივართა გულები მაინც ვერ დაიპყრო. PUTA BARCA! HEI, EI, EI! გაჰკიოდა გუნდის ქომაგთა მოზრდილი ნაწილი, რის გადმოთარგმნასაც სჯობს, მოვერიდოთ. ისე, ამ შეძახილებს „ბარსელონას“ ფეხბურთელებისთვის გული არ მოუკლავს, რადგან ტაბლოზე მათი გამარჯვება ციმციმებდა.

**გიორგი დარჯანია**

### სეგუნდადივიზიონი
### XXIII ტური

#### კომპოსტელა 1:1 ფეროლი

1:0 ლიმა (37), 1:1 კუელიარი (40)

#### ხეტაფე 3:1 მურსია

1:0 ედგარი (4), 2:0 ვივარ დორადო (78), 2:1 დ. კარანკა (84), 3:1 ვივარ დორადო (90)

#### ოვიედო 0:2 ტენერიფე

0:1 ივან ანია (15), 0:2 ხესუსი (40)

#### ალმერია 1:3 კორდობა

0:1 სერბანი (23), 1:1 რამოსი (54), 1:2 მონტენეგრო (63), 1:3 გორკა გარსია (87)

#### ლას პალმასი 4:0 ხერესი

1:0, 2:0 რეგი (7, 17), 3:0 პედრო ვეგა (55), 4:0 კარმელო (79)

#### ტერასა 2:0 პოლი ეხიდო

1:0 სანტი (40), 2:0 კეკო (60)

#### სარაგოსა 1:0 ლევანტე

1:0 ტოლედო (2)

#### ელჩე 1:1 სპორტინგი

0:1 მანელი (32), 1:1 არმენტანო (90)

#### ეიბარი 1:1 სალამანკა

0:1 რაულ სანჩესი (43), 1:1 აიტორი (54)

#### ბადახოსი 0:3 ალბასეტე

0:1 ხესუს პერერა (7), 0:2 ხანდრო (56), 0:3 ხესუს პერერა (60)

#### ნუმანსია 2:1 ლეგანესი

1:0 ნუნიესი (7), 1:1 ფედე-ბაონი (8), 2:1 როსუ (28)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სარაგოსა | 23 | 11 | 8 | 4 | 25:18 | 41 |
| მურსია | 23 | 11 | 6 | 6 | 30:12 | 39 |
| ალბასეტე | 23 | 9 | 12 | 2 | 30:17 | 39 |
| ლევანტე | 23 | 10 | 9 | 4 | 32:22 | 39 |
| ლას პალმასი | 23 | 8 | 9 | 6 | 31:26 | 33 |
| ხერესი | 23 | 9 | 6 | 8 | 25:27 | 33 |
| ტენერიფე | 23 | 6 | 13 | 4 | 29:20 | 31 |
| ელჩე | 23 | 7 | 10 | 6 | 28:20 | 31 |
| ტერასა | 23 | 6 | 13 | 4 | 23:21 | 31 |
| სპორტინგი | 23 | 7 | 10 | 6 | 22:20 | 31 |
| ეხიდო | 23 | 7 | 10 | 6 | 20:20 | 31 |
| სალამანკა | 23 | 7 | 9 | 7 | 15:14 | 30 |
| ნუმანსია | 23 | 7 | 8 | 8 | 24:27 | 29 |
| ხეტაფე | 23 | 7 | 6 | 10 | 30:32 | 27 |
| ლეგანესი | 23 | 5 | 11 | 7 | 24:26 | 26 |
| ალმერია | 23 | 6 | 8 | 9 | 25:37 | 26 |
| კომპოსტელა | 23 | 5 | 10 | 8 | 24:28 | 25 |
| ეიბარი | 23 | 5 | 10 | 8 | 16:21 | 25 |
| ბადახოსი | 23 | 7 | 4 | 12 | 16:34 | 25 |
| კორდობა | 23 | 5 | 9 | 9 | 18:21 | 24 |
| ფეროლი | 23 | 5 | 9 | 9 | 19:31 | 24 |
| ოვიედო | 23 | 5 | 6 | 12 | 19:31 | 21 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სოსიედადი | 22 | 12 | 8 | 2 | 38:27 | 11 | 44 | 10 | 6 | 4 | 0 | 19:12 | 7 | 22 | 12 | 6 | 4 | 2 | 19:15 | 4 | 22 |
| 2 რეალი | 22 | 11 | 9 | 2 | 46:23 | 23 | 42 | 10 | 7 | 3 | 0 | 29:10 | 19 | 24 | 12 | 4 | 6 | 2 | 17:13 | 4 | 18 |
| 3 ვალენსია | 22 | 12 | 6 | 4 | 36:17 | 19 | 42 | 12 | 8 | 2 | 2 | 22:6 | 16 | 26 | 10 | 4 | 4 | 2 | 14:11 | 3 | 16 |
| 4 დეპორტივო | 22 | 11 | 6 | 5 | 31:25 | 6 | 39 | 10 | 5 | 3 | 2 | 15:10 | 5 | 18 | 12 | 6 | 3 | 3 | 16:15 | 1 | 21 |
| 5 სელტა | 22 | 11 | 3 | 8 | 28:20 | 8 | 36 | 12 | 6 | 3 | 3 | 17:9 | 8 | 21 | 10 | 5 | 0 | 5 | 11:11 | 0 | 15 |
| 6 ბეტისი | 22 | 10 | 6 | 6 | 34:29 | 5 | 36 | 12 | 7 | 2 | 3 | 18:11 | 7 | 23 | 10 | 3 | 4 | 3 | 16:18 | -2 | 13 |
| 7 ატლეტიკო | 22 | 8 | 8 | 6 | 35:28 | 7 | 32 | 12 | 6 | 4 | 2 | 20:12 | 8 | 22 | 10 | 2 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 10 |
| 8 ბილბაო | 22 | 8 | 5 | 9 | 34:37 | -3 | 29 | 12 | 6 | 2 | 4 | 18:13 | 5 | 20 | 10 | 2 | 3 | 5 | 16:24 | -8 | 9 |
| 9 ვილიარეალი | 22 | 7 | 7 | 8 | 21:23 | -2 | 28 | 10 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 2 | 17 | 12 | 2 | 5 | 5 | 9:13 | -4 | 11 |
| 10 ალავესი | 22 | 7 | 7 | 8 | 27:33 | -6 | 28 | 11 | 5 | 4 | 2 | 14:8 | 6 | 19 | 11 | 2 | 3 | 6 | 13:25 | -12 | 9 |
| 11 ბარსელონა | 22 | 7 | 6 | 9 | 31:30 | 1 | 27 | 10 | 4 | 4 | 2 | 20:14 | 6 | 16 | 12 | 3 | 2 | 7 | 11:16 | -5 | 11 |
| 12 მალაგა | 22 | 6 | 9 | 7 | 28:28 | 0 | 27 | 11 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 7 | 19 | 11 | 1 | 5 | 5 | 9:16 | -7 | 8 |
| 13 ოსასუნა | 22 | 7 | 6 | 9 | 24:27 | -3 | 27 | 12 | 6 | 1 | 5 | 13:11 | 2 | 19 | 10 | 1 | 5 | 4 | 11:16 | -5 | 8 |
| 14 ვალიადოლიდი | 22 | 8 | 3 | 11 | 21:25 | -4 | 27 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:12 | 1 | 17 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:13 | -5 | 10 |
| 15 მალიორკა | 22 | 8 | 3 | 11 | 25:37 | -12 | 27 | 10 | 3 | 2 | 5 | 10:20 | -10 | 11 | 12 | 5 | 1 | 6 | 15:17 | -2 | 16 |
| 16 სევილია | 22 | 6 | 8 | 8 | 17:18 | -1 | 26 | 10 | 3 | 5 | 2 | 10:7 | 3 | 14 | 12 | 3 | 3 | 6 | 7:11 | -4 | 12 |
| 17 რასინგი | 22 | 8 | 2 | 12 | 26:29 | -3 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 16:10 | 6 | 17 | 11 | 3 | 0 | 8 | 10:19 | -9 | 9 |
| 18 ესპანიოლი | 22 | 6 | 4 | 12 | 24:33 | -9 | 22 | 12 | 5 | 2 | 5 | 18:16 | 2 | 17 | 10 | 1 | 2 | 7 | 6:17 | -11 | 5 |
| 19 რაიო | 22 | 6 | 4 | 12 | 22:32 | -10 | 22 | 11 | 3 | 3 | 5 | 14:15 | -1 | 12 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:17 | -9 | 10 |
| 20 უელვა | 22 | 3 | 6 | 13 | 18:45 | -27 | 15 | 11 | 2 | 4 | 5 | 12:19 | -7 | 10 | 11 | 1 | 2 | 8 | 6:26 | -20 | 5 |

### XXIII ტური
23 თებერვალი

რაიო ვალეკანო — ვალენსია
მალაგა — სელტა
უელვა — ატლეტიკო
მალიორკა — ბილბაო
სევილია — ესპანიოლი
ბარსელონა — ბეტისი
სოსიედადი — ოსასუნა
რეალი — ვალიადოლიდი
დეპორტივო — ალავესი
ვილიარეალი — რასინგი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 16 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 12 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 11 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 11 |
| პანდიანი (მალიორკა) | 10 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 10 |


Zeus Company
Billjardal
ბილიარდის მაგიდები
და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების

saluc
Master
კონსულტაციები, გარანტია
ტ. 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46




მანჩესტერი — არსენალი. სტუმართაგან საგოლედ პირველად ბრაზილიელმა ედუმ (შუაში) გაისროლა

# ერთი ფრონტი გაირღვა

## ინგლისი

### ასოციაციის თასი 1/8 ფინალი

**მანჩესტერი 0:2 *არსენალი***

0:1 ედუ (34), 0:2 ვილტორდი (52)

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი, ბექემი (ბათი 83), სქოულზი, როი კინი, გიგზი (ფორლანი 71), ვან ნისტელროი, სოლსკიაერი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

არსენალი: სიმენი, ლორენი, კოული, ს. კემპბელი, ეშლი კოული, პარლოუ, ვიეირა, ედუ, პირესი (ვან ბრონკჰორსტი 84), ვილტორდი (კ. ტურე 90), ჯეფერსი (ანრი 73)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: სქოულზი, ვან ნისტელროი, ვიეირა, კინი

მსაჯი: უინტერი

67 209 მაყურებელი

**კრისტალ პალასი 1:2 *ლიდსი***

0:1 გ. კელი (33), 1:1 გრეი (35), 1:2 კოუელი (73)

**ფულემი 1:1 ბარნლი**

0:1 ა. მური (4), 1:1 მალბრანკი (45)

**სტოკი 0:2 *ჩელსი***

0:1 ჰასელბაინკი (52), 0:2 გრონკიაერი (76)

***ვულვერჰემპტონი* 3:1 როჩდეილი**

1:0 ნდა (32), 1:1 მელაფი (52), 2:1 კ. მილერი (79), 3:1 პრუდლოკი (90)

***შეფილდ იუნ.* 2:0 უოლსოლი**

1:0 ტ. მუნი (37), 2:0 ნდლოვუ (56)

***საუთჰემპტონი* 2:0 ნორვიჩი**

1:0 ა. სვენსონი (71), 2:0 ტესემი (74)

**სანდერლენდი 0:1 *უოტფორდი***

0:1 ტ. სმიტი (65პ)

ინგლისის ასოციაციის თასის მერვედფინალის ყველაზე ხმაურიანი თამაში „ოლდ ტრეფორდზე" იყო, სადაც „არსენალმა" 2:0 მოუგო „მანჩესტერს" და მსოფლიოს უძველესი შეჯიბრის მეოთხედფინალში გავიდა.

მძიმეწონოსანთა ომი ნერვიულად დაიწყო და პირველ ექვს წუთში სამი ყვითელიც აფრიალდა. მსაჯმა ჯეფ ვინტერმა კაპიტნები განზე გაიხმო და სიწყნარისკენ მოუწოდა. ყვითელი ბარათები კი მაინც არ შეწყვეტილა, იგი თავად როი კინმაც მიიღო მოგვიანებით.

პირველი მომენტი მასპინძლებს ჰქონდათ: ოლე გუნარ სოლსკიაერმა ოდნავ ააცილა.

თამაშის ნახევარი საათის თავზე, რაიან გიგზმა მოატყუა დევიდ სიმენი და სოლ კემპბელი და ბურთი თავისი უვარგისი მარჯვენათი ზემოდან გადააცილა კარს. ეს დარტყმა გიგზის „ცხოვრების ხაიად" მოინათლა და ირონიაც იმაში იყო, რომ ოთხი წლის წინათ, ათკაცა „მანჩესტერმა" სწორედ გიგზის ბრწყინვალე გოლით გამოთიშა თასს „არსენალი".

ამის შემდეგ ედუს მიერ ჯარიმიდან დარტყმული დევიდ ბექემის მხრიდან აიჭრა და ანგარიში გაიხსნა. ბექემს საერთოდაც უიღბლო საღამო ჰქონდა, თამაშის ბოლოს ფეხიც იტკინა და მერე, სულ სხვა ვითარებაში თავიც გაუტყდა, რასაც ორი ნაკერი დასჭირდა.

„მეთოფეებს" თამაში ხელიდან აღარ გაუშვიათ, შესვენების შემდეგ სილვიან ვილტორდმა გაიტანა რობერ პირესის პასით. „მანჩესტერს" ცდა არ დაუკლია თამაშის ალმა დასატრიალებლად, მაგრამ ცხადი იყო, რომ ფსიქოლოგიური სიმტკიცე სტუმრებს არ დაეწუნებოდათ და უფრო დაწყობილადაც ირჯებოდნენ.

„თამაში ხელში გვეჭირა და ბრწყინვალედ გამოვავლინეთ თავი" — თქვა არსენ ვენგერმა.

„მათ მსაჯი შეჭამეს. ძალიან იმოქმედეს მსაჯზე" — თქვა სერ ალექს ფერგიუსონმა, რომელიც ამ თამაშს მეტად მნიშვნელოვან ბრძოლად მიიჩნევდა და სახასიათო მნიშვნელობასაც ანიჭებდა პრემიერლიგურ ამბავში, სადაც მისი გუნდი 3 ქულით ჩამორჩება ლიდერ „არსენალს" — „მეორეს მხრივ კი, ჩვენი მიზანი უფრო იოლი შეიქნა, ოთხის ნაცვლად სამ შეჯიბრში დავრჩით".

ასე იყო თუ ისე, ფერგი გაამხეცა ამ მარცხმა.

შვიდი მეოთხედფინალისტის ვინაობა კი უკვე გაირკვა. მერვეს, ბარნლის „ტარფ მუტზე" მოწყობილი გადათამაშება გამოავლენს, რადგან „ფულემმა" შინ ვერაფერი დააკლო პირველდივიზიონელ „ბარნლის". აქვე მოგახსენებთ, რომ შვიდ გუნდში სამი პირველდივიზიონელია: „ვულვერჰემპტონი", „შეფილდ იუნაიტედი" და „უოტფორდი", რომელმაც სტუმრად აჯობა „სანდერლენდს". იოლად გააღწიეს მეოთხედფინალში „ჩელსიმ" და „საუთჰემპტონმა", „ლიდსს" კი მეტად გაუჭირდა და ეგებ მსაჯ დერმოტ გალაჰერსაც უნდა უმადლოდეს მეოთხედფინალში გასვლას. პირველი ტაიმის ორწუთიან ეპიზოდში ლიდსელებმა და მათმა მასპინძელმა „კრისტალ პალასმა" გოლები გაცვალეს. ტაიმი მომთავრებული არ იყო, როცა ტომი ბლეკმა სტუმართა კარისაკენ დაარტყა. ბურთი ხელზე მოხვდა ლიდსელ მაიკლ დაბერის და კარის ხაზიც გადაჰკვეთა, მაგრამ გალაჰერმა არც პენალტი დანიშნა და არც გოლი აღიარა.

„მათ გოლი გაიტანეს. მგონი იღბალმა შემომხედა" — თქვა ტერი ვენეიბლზმა მატჩის შემდეგ, რადგან ჰარი კიუელის ბრწყინვალე გარღვევამ ეს მატჩი მოაგებინა. ლონდონელთა მენეჯერი ტრევორ ფრენსისი კი ნაწყენი იყო: „მსაჯმა თამაში ჩაგვიშალა. რა ანგარიშითაც უნდა მოგვეგო, იმ ანგარიშით წავაგეთ".

**ირაკლი გამყრელიძე**

### მეოთხედფინალის წილისყრა

უოტფორდი — ბარნლი ან ფულემი; საუთჰემპტონი — ვულვერჰემპტონი; არსენალი — ჩელსი; შეფილდ იუნაიტედი — ლიდსი

*მატჩები გაიმართება 8-9 მარტს*

### I დივიზიონი. XXXII ტური

**დერბი ქაუნთი 2:2 შეფილდ უენსდეი**

0:1 ბარტონი (16ს.კ.), 1:1, 2:1 ბოლდერო (63, 70), 2:2 კრეინი (83)

დერბი ქაუნთი: გრანტი, ჯექსონი, უ. ბარტონი, რ. ელიოტი, ზავანო (ს. მილსი 31), ბოლდერო, ლი, ბოერტიენი, ქინქლაძე, ლ. მორისი (ტუდგეი 89), მაკლეოდი (რავანელი 46)

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

გაფრთხილება: ელიოტი, მორისი, ლი

გაძევება: ბარტონი (27)

მსაჯი: რაიანი

26 311 მაყურებელი

**ბრედფორდი 0:1 ბრაიტონი**

0:1 ზამორა (28)

**ჯილინგემი 3:0 გრიმსბი**

1:0, 2:0 უოლესი (6, 14), 3:0 ჰოპი (45)

**მილუოლი 0:2 რედინგი**

0:1 ფორსტერი (45), 0:2 ჰენდერსონი (83)

**როტერჰემი 1:0 ქოვენთრი**

1:0 ბიფილდი (33)

**ლესტერი — პორტსმუთი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 31 | 19 | 9 | 3 | 65:31 | 66 |
| ლესტერი | 31 | 19 | 7 | 5 | 51:29 | 64 |
| შეფილდი | 29 | 15 | 7 | 7 | 44:30 | 52 |
| რედინგი | 31 | 16 | 4 | 11 | 38:30 | 52 |
| ნოტინგემი | 31 | 14 | 9 | 8 | 49:32 | 51 |
| როტერჰემი | 32 | 13 | 8 | 11 | 51:43 | 47 |
| ნორვიჩი | 30 | 12 | 10 | 8 | 43:30 | 46 |
| ვულვზი | 30 | 12 | 9 | 9 | 50:34 | 45 |
| უოტფორდი | 31 | 13 | 6 | 12 | 37:47 | 45 |
| იფსვიჩი | 30 | 12 | 8 | 10 | 47:38 | 44 |
| ქოვენთრი | 32 | 11 | 10 | 11 | 36:35 | 43 |
| მილუოლი | 32 | 12 | 7 | 13 | 39:47 | 43 |
| კრ. პალასი | 30 | 10 | 12 | 8 | 43:33 | 42 |
| ჯილინგემი | 30 | 11 | 9 | 10 | 40:41 | 42 |
| დერბი | 32 | 12 | 6 | 14 | 42:47 | 42 |
| ბარნლი | 30 | 11 | 8 | 11 | 44:55 | 41 |
| უიმბლდონი | 30 | 10 | 9 | 11 | 50:50 | 39 |
| პრესტონი | 31 | 9 | 11 | 11 | 47:50 | 38 |
| ბრედფორდი | 31 | 9 | 8 | 14 | 37:52 | 35 |
| უოლსოლი | 31 | 9 | 6 | 16 | 42:50 | 33 |
| გრიმსბი | 32 | 7 | 7 | 18 | 36:62 | 28 |
| ბრაიტონი | 32 | 6 | 8 | 18 | 33:51 | 26 |
| სტოკი | 31 | 5 | 10 | 16 | 34:56 | 25 |
| უენსდი | 32 | 5 | 10 | 17 | 31:56 | 25 |

### II დივიზიონი

32-ე ტური: კოლჩესტერი — მენსფილდი 1:0; ბარნსლი — ჩესტერფილდი 2:1; ბლეკპული — ბრენტფორდი 1:0; ჰადერსფილდი — ჩელტენემი 3:3; ლუთონი — ნორთჰემპტონი 3:2; ნოტსი — ბრისტოლი 2:0; პლიმუთი — ტრანმერი 0:1; ქუინზ პარკი — პორტ ვეილი 4:0; სტოკპორტი — ოლდემი 1:2; სუინდონი — უიკომბი 0:3. *ქრიუ — უიგანი და პიტერბორო — კარდიფი გადაიდო*

### III დივიზიონი

32 ტური: როვერსი — ბორნმუთი 0:0; ბერი — ლეიტონი 0:1; ექსეტერი — ბოსტონი 0:2; კიდერმინსტერი — ტორკი 2:0; ლინკოლნი — დარლინგტონი 1:1; სკანთორპი — ჰალი 3:1; სუონსი — კემბრიჯი 2:0; რექსემი — საუთენდი 3:0; იორკი — ჰარტლპული 0:0. *ოქსფორდი — კარლაილი და შრიუსბერი — მაკლსფილდი გადაიდო*





სერ ალექსი ისე გაცხარდა, ვერ მოზომა და დევიდ ბექემი შინ წარბგაგლეჯილი წავიდა

# თავო ჩემო, ფერგი არ გიწერია

აი, რა მოხდა მანჩესტერში, სტადიონ „ოლდ ტრეფორდის" ახლოს შაბათ საღამოს: დევიდ ბექემი ქუდჩამოფხატული გამოვიდა სტადიონიდან და თავის მანქანაში ჩაჯდა, სადაც მას ცოლი ვიქტორია და ვაჟი ბრუკლინი ელოდნენ. მერე მან დაქოქა და წავიდნენ.

ამის მეტი ბექჰის გუნება-განწყობილების თაობაზე არაფერია ცნობილი.

მას სქელი ქუდი ისედაც ახურია ხოლმე, მაგრამ ამჯერად ქუდი თავზე დადებულ ნაკერებს მალავდა.

„არსენალთან" სათასო მარცხის შემდეგ წაგებულ მასპინძელთა გასახდელში მენეჯერი სერ ალექს ფერგიუსონი შევარდა და ჩვეულად შეახურა შეგირდები. ჩვეული შეხურება, ჩვეულებრივ, ისტერიკასთან ახლო მოტრიალე რამ არის მხცოვანი მწვრთნელისთვის. შეხურება იმით დასრულდა, რომ გაცეცხლებულმა მენეჯერმა იქვე მიყრილ ბუცებს მოავლო ხელი და მღელვარედ გაისროლა ჩამომსხდარი ფეხბურთელებისკენ.

ბუცი ბექემს მოხვდა თავში და სისხლიც გადინდა, ისე, რომ გუნდის ექიმებმა ორი ნაკერი დაადეს. ბექჰი გასახდელში აღარ შებრუნებულა, პირდაპირ შინ წავიდა.

დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ფერგიუსონს დამიზნებით არ უსვრია, მხოლოდ გაცეცხლებით ისროლა. ბექემს კი ორმაგი ტრავმა გამოუვიდა, მოედანზე მარჯვენა ფეხი დაიშავა, რის გამოც შეცვალეს და თავიც გაუტყდა.

სახელის გატეხვას თავის გატეხვა ჯობიაო, დიახ.

შემთხვევითობაა თუ დამიზნება, ამ ამბავმა შეიძლება დაჩრდილოს „მანჩესტერის" საბრძოლო სეზონი. ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მატჩია „იუვენტუსის" წინააღმდეგ და იქ ბექემის თამაში ისედაც საეჭვო იყო ნახსენები ტრავმის გამო. მედია ფიქრობს, რომ ფერგი აუცილებლად უნდა ესაუბროს ბექჰს და ამით გუნდში განწყობა გამოაკეთოს. ამის შესახებ პირდაპირ თქვა ძველმა ვარსკვლავმა ჯიმი გრივსმა: „ბუცის სროლა მაფიქრებინებს, რომ ფერგი არ დაბერებულა და იბრძვის. სიტუაცია აღარ უნდა გაღრმავდეს, თორემ გუნდი აირევა".

„მანჩესტერის" პრესმდივანმა კი განაცხადა: „ის, რაც გასახდელში ხდება, ძალიან პირადი, გუნდური საქმეა".

საერთოდ კი სერ ალექსი გამორჩეულად მკაცრია ბექჰის მიმართ:

1999 წლის ივლისში მან თავულობის თვის შეკვეცა მოთხოვა ბექემს, რათა ვარჯიშები არ გაცდენოდა. იმავე წლის ოქტომბერში მან ორი კვირის ხელფასი დაუქვითა ბექემს, რომელიც ცოლთან ერთად ფართიზე წავიდა და ერთი დღის დაგვიანებით შეუერთდა გუნდს ავსტრიაში, ევროთასის თამაშზე. იმავე წლის ზამთარში ბექჰს კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში არ სურდა და მაინც წაიყვანეს.

2000 წლის თებერვალში ბექემი ლამის წასული იყო გუნდიდან, როცა შვილის სიცხიანობის გამო ვარჯიშზე არ მივიდა, ხოლო ფერგიმ „ლიდსის" წინააღმდეგ გადამწყვეტ თამაშში სკამზე დასვა. მერე მენეჯერი ალაშვოთა ბექემის ნათქვამმა, „ბარსელონაში" თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდიო.

2001 წელს ფერგიუსონმა კიდევ ერთხელ დატოვა ბექემი განაცხადს გარეთ, როცა ამ უკანასკნელმა უთხრა, ნაკრებში თამაშის შემდეგ დაღლილი ვარო.

ამჟამად მილუოლის მენეჯერმა მარკ მაკგიმ, რომელსაც ფერგის ხელქვეით უთამაშია „აბერდინში" თქვა: „ბევრ ფეხბურთელს დასტეხია მისი რისხვა. მარითლა გტკენს ხოლმე".

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. III ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ბარსელონა — ინტერი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| ბარსელონა | ინტერი |
|---|---|
| ბონანო, გაბრი, პუიოლი, დე ბური, რაიციგერი, ოვერმარსი, ხავი, კოკუ, მენდიეტა, კლუივერტი, სავიოლა | ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, კორდობა, კოკო, ოკანი, დი ბიაჯო, კ. ძანეტი, დალმა, ვიერი, რეკობა |

ბარსელონა. „კამპ ნოუ". მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *ბარსელონა:* არავინ; *ინტერი:* არავინ

### ლევერკუზენი — ნიუკასლი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| ლევერკუზენი | ნიუკასლი |
|---|---|
| ბუტი, ჟივკოვიჩი, კლაინი, კრისი, ოჯიგვე, კალუჟნი, ბალიტჩი, ბაბიჩი, ბაშთურქი, ბიროფკა, ფრანცა | გივენი, ჰიუზი, ბრემბლი, ობრაიენი, ბერნარი, ჯენასი, დაიერი, სპიდი, რობერი, ლუა ლუა, ამეობი |

ლევერკუზენი. „ბაიარენა". მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

დისკვალიფიცირებულნი: *ლევერკუზენი:* არავინ; *ნიუკასლი:* კრეიგ ბელამი (2 მატჩი), ალან შირერი (1 მატჩი)



სორინის უძლურებამ მიხაელ რაიციგერს (მარცხნივ) „ბარსელონას" სასტარტო შემადგენლობისკენ გზა გაუკაფა

# დიდთან დიდის სარეკორდო თამაში

## სასწაულს კი პატარები ელიან

ესეც განახლებული ლიგა და მისი A ჯგუფი, სადაც ყველაფერი ისე დაგვხვდა, როგორც დავტოვეთ და თუ როგორ დავტოვეთ, გახსენება ურიგო არ უნდა იყოს. პირველ ტურში, შარშანდელი ნოემბრის ბოლო თიხმაბათს, „ლევერკუზენმა" შინ 1:2 წააგო „ბარსელონასთან" — ეს ის მატჩია, რომან რიკელმემ პენალტი რომ გააფუჭა, ხოლო „ნიუკასლი" ასევე შინ, 1:4 დამარცხდა „ინტერთან". მეორე ტურში, დეკემბერში, კვლავ პირველ ტურში გამარჯვებულებმა იყოჩაღეს, „ინტერმა" შინ 3:2 მოუგო „ლევერკუზენს", „ბარსელონამ" კი 3:1 „ნიუკასლს". იმასაც შეგახსენებთ, რომ „ბარსა" — „ნიუკასლი" ერთი დღის დაგვიანებით გაიმართა, რადგან დათქმულ დღეს „კამპ ნოუ" წვიმისგან დატბორილი იყო.

ამ ასე, მესამე ტურში ლიდერები ცალკე არკვევენ ურთიერთობას, ძაჩანჩალებიც ცალკე.

ლუის ვან გაალმა, პრიმერადივიზიონისა რა მოგახსენოთ და, ჩემპიონთა ლიგაში დაუმარცხებელი გუნდი დაუტოვა რადომირ ანტიჩს. „ბარსელონამ" ზედიზედ ათი თამაში მოიგო და „ინტერიც" თუ დაამარცხა, ჩემპიონთა ლიგის (თასის) ერთპიროვნული რეკორდსმენი შეიქნება.

მოგეხსენებათ, კატალონიელთა ახალწვეულს, ხუან პაბლო სორინს ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს, რადგან ამ სეზონში ევროსარბიელზე „ლაციოში" ყოფნისას უკვე ითამაშა. დაშავებულია ტიაგო მოტაც, ანუ მარცხენა ფლანგზე გუნდს პრობლემები აქვს. სორინის არყოფნა ნიშნავს, რომ დაცვაში ითამაშებს მიხაელ რაიციგერი, რომელიც გაბრისთან ერთად ფლანგებს გააკონტროლებს, ფრანკ დე ბური და კარლეს პუიოლი კი ცენტრალურ მცველობას გასწევენ. ისე, შესაძლოა, შვედი პატრიკ ანდერსონიც გამოჩნდეს, რომელსაც რა ხანია, არ უთამაშია და ახლაღა მომჯობინდა.

თამაშაკრძალული ფეხბურთელი „ინტერსაც" ჰყავს — ეს გაბრიელ ბატისტუტაა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა „რომასთან" ერთად უკვე დააჭაშნიკა. ერნან კრესპოს ტრავმის ამბავიც მოგეხსენებათ და ჰექტორ რაულ კუპერს შეტევაში მწირი არჩევანი აქვს — ალვარო რეკობა და კრისტიან ვიერი, თუმცა, ცხადია, ეს ის შემთხვევაა, როცა მწირობა ცუდ არჩევანს არ ნიშნავს. ჰო, გასაკვირია, მაგრამ ვიერის ამ სეზონის ლიგაში გოლი ჯერ არ გაუტანია.

ლევერკუზენის „ბაიარენაზე" დამარცხებული გუნდი კი, სასწაული უნდა მოხდეს, ჯგუფიდან რომ გავიდეს. ხოლო სასწაულები, მოგეხსენებათ, ძალიან იშვიათად ხდება. რაც ლიგა არსებობს, ერთადერთხელ მოხდა, რომ პირველი სამი მატჩის წამგები გუნდი შემდეგ ეტაპზე გავიდა. ამ სეზონის ამბავია, პირველი ჯგუფური ეტაპისა და ეს გმირობა „ნიუკასლმა" ჩაიდინა. მაგრამ ახლაც იგივე განმეორდეს, როგორი დასაჯერებელია.

კლაუს ტოპმოლერისგან გუშინწინ საღამოს გამოთავისუფლებულ სკამზე თომას ჰორსტერი დაჯდა და პირველი მატჩი მაინცდამაინც სალიგო ელის. ეგებ უკეთესიც იყოს — „ლევერკუზენს" ლიგაში დიდი მიზნები არ აქვს და დლევანდელ შეხვედრას ბუნდესლიგის მომდევნო ტურისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს. ჰორსტერის გადაწყვეტილებით, „ნიუკასლის" წინააღმდეგ არ ითამაშებენ ბერნდ შნაიდერი, დიეგო პლასენტე და ოლივერ ნოივილი, რომლებსაც ბოლო ორ კვირაში ჩატარებულმა ხუთმა მატჩმა არაქათი გააცალა.

„ნიუკასლს" კი დაშავებული ჰყავს პერუელი ნოლბერტო სოლანო, ხოლო ალან შირერი და კრეიგ ბელამი, შეგახსენებთ, დისკვალიფიკაციას იხდიან. ამის გამო ინგლისელთა შეტევის ხაზი ერთობ უცნაურად გამოიყურება — შოლა ამეობი და ლომანა ლუა ლუა. ეგებ შეცვლაზე ითამაშოს ყმაწვილმა კარლ კორტმაც, რომელიც ბობი რობსონს, ყველა რომ გამოაკლდება, იმ შემთხვევებისთვის ჰყავს შემონახული.

წლეულს პირველად ითამაშებს ნაოპერაციები უელსელი გარი სპიდი, ინგლისის ნაკრების დებიუტანტ ჯერმინ ჯენასს კი დღეს 20 წელი უსრულდება. რობსონი დაცვის ცენტრში ტიტუს ბრამბლს უპირებს თამაშს, რომელიც ოქტომბერში კიევის „დინამოსთან" მატჩისას დაშავდა და მას მერე მკურნალობდა. ჯონათან ვუდგეიტი კი გუნდს ვერაფერში წაადგება, რადგან უეფას თასზე „ლიდსის" შემადგენლობაში ითამაშა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ლევერკუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

## B ჯგუფი

### არსენალი — აიაქსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

| არსენალი | აიაქსი |
|---|---|
| სიმენი, ლორენი, კიოუნი, კემპბელი, კოული, ვილტორდი, ვიეირა, ჟილბერტო | ლობონტი, ტრაბელსი, კივუ, პასანენი, დე იონგი, მაქსველი, გალაშეკი, პიენაარი, |

ლონდონი. „ჰაიბერი". მსაჯი: ლუსილიუ ბატისტა კორტესი (პორტუგალია)

დისკვალიფიცირებულნი: *არსენალი:* არავინ; *აიაქსი:* არავინ

### რომა — ვალენსია

**სავარაუდო შემადგენლობები**

| რომა | ვალენსია |
|---|---|
| პელიცოლი, პანუჩი, დელასი, ალდაირი, კანდელა, კაფუ, ტომაზი, ლიმა, კასანო, | კანისარესი, რეველიერი, პელეგრინო, აიალა, აურელიო, რუფეტე, ალბელდა, |

რომი. „სტადიო ოლიმპიკო". მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

დისკვალიფიცირებულნი: *რომა:* ემერსონი (1 მატჩი), ვალტერ სამუელი (1 მატჩი); *ვალენსია:* მიგელ ანხელ ანგულო (3 მატჩი)



ჟილბერტო სილვა არსენ ვენგერმა „აიაქსისთვის" შემოინახა

# აბა, ვის აკლია?

ფრედი ლიუნგბერგს და ოლეგ ლუჟნის ვერ ვიხილავთ, თორემ დანარჩენი „არსენალი" იქ იქნება, ამსტერდამის „აიაქსის" წინააღმდეგ.

ამბობენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშისგან განსხვავებით, დღეს, ლონდონელების ძირითად შემადგენლობაში ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟილბერტო და ჰოლანდიელი თავდამსხმელი დენის ბერხკამპი გამოჩნდებიან. ისინი „მეთოფეთა" თავკაცმა არსენ ვენგერმა „ოლდ ტრეფორდზე" განზრახ არ ათამაშა, ისევე როგორც განგებ დაასვენა მთელი 73 წუთის განმავლობაში პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი ტიერი ანრი.

რას გამოიწვევს სასტარტო შემადგენლობაში ჟილბერტოს გამოჩენა? ეს, რობერ პირესს ჩვეულ ადგილას, მარცხენა ფრთაზე დააბრუნებს. მარჯვნივ სილვან ვილტორდს ვიხილავთ.

„აიაქსის" თავკაცს, რონალდ კუმანს კი, ამასობაში, წინ ტრავმირებულთა სია უდევს. იქ წერია მცველის, ჯონ ობრაიენის, ნახევარმცველის, რაფაელ ვან დერ ვაარტის, გამთამაშებლის, იარი ლიტმანენის და თავდამსხმელის, აშლე ჰოსამის გვარები. რაც შეეხება მცველს, ანდრე ბერგდოლმოსა და ნახევარმცველ რიხარდ ვიტშგეს, ისინი ზემოხსენებული სიიდან ახალი ამოშლილები ბრძანდებიან და „არსენალისთვის" ემზადებიან.

კუმანი, ბუნებრივია, კარგად ხვდება, რომ განსაკუთრებული ხიფათი ანრისგან, ბერხკამპისგან და პირესისგან ელის და ასე ამბობს:

„ჩვენ „არსენალს" ვეთამაშებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მატჩში დაცვა საგანგებო დავალებას მიიღებს, თუმცა, თუ მოედნის შუაში ჩვენებურად თამაში მოვახერხეთ, საგოლე მომენტებსაც შევქმნით. მინდა გითხრათ, რომ ჩემი გუნდისგან ბევრს ველი".

„არსენალისა" და „აიაქსის" შეხვედრის გარდა, B ჯგუფში „რომასა" და „ვალენსიას" მატჩიც გაიმართება. ამ მატჩში „რომას" თავკაცს, ფაბიო კაპელოს შესუსტებული ნახევარდაცვა ეყოლება. მიზეზი: ბრაზილიელი ემერსონი დისკვალიფიცირებულია, ხოლო ფრანგი ოლივიე დაკური ამ სეზონში, უეფას თასზე, „ლიდს იუნაიტედის" შემადგენლობაში თამაშობდა, წესის თანახმად კი ერთსა და იმავე ადამიანს, ერთ სეზონში, ევროთასებზე სხვადასხვა გუნდის სახელით თამაშის ნება არ აქვს. „რომას" ნახევარდაცვის ცენტრში დამიანო ტომაზი და ფრანსისკო ლიმა იქნებიან.

ორი კვირის წინ დაშავებული ფრანგი ვენსან კანდელა მოედანს უბრუნდება, რაც კაპელოს გუნდის დაცვას უთუოდ გააძლიერებს, თუმცა არგენტინელი ვალტერ სამუელის დისკვალიფიკაციას, რაღა თქმა უნდა, საპირისპირო ეფექტი ექნება.

თავდასხმაში ვინჩენცო მონტელას ბარძაყნატკენი ფრანჩესკო ტოტი ვერ დაეხმარება.

„ვალენსიას" შემადგენლობაში კი დებიუტანტს ვიხილავთ. ეს გახლავთ „რენისგან" ნაყიდი ფრანგი მცველი ანტონი რეველიე. სავარაუდოდ, იგი იმ კურო ტორესის ადგილს დაიკავებს, რომელმაც მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ამ გაზაფხულზე ვეღარ ითამაშებს.

დისკვალიფიცირებულია მიგელ ანხელ ანგულო. ანგულოობას ამ შეხვედრაში შაბათს, „მალაგასთან" თავგამოჩენილი ფრანსისკო რუფეტე იკისრებს, მაგრამ რაც შეეხება მალაგელთა კარში გატანილი ერთი გოლის ავტორს, ხუან სანჩესს, იგი სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

სათადარიგოთა სკამს შეემატება არგენტინელი გარემარბი კილი გონსალესიც. იგი შაბათს დაშავდა და მე-20 წუთზე შეცვალეს.

**პაატუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| აიაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვალენსია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

## საქართველოს ჩემპიონატი

# ყბები, ცხვირები, მუშტები, წიხლები...
## და სიტყვები: როგორ დაგარტყა, ბიძაჩემო

**ეროვნული** ჩემპიონატი კვირას განახლდა, თუმცა ვაი ასეთ განახლებას. პირველივე „აკადემია“ — „დინამოს“ შეხვედრაში სისხლი დაიღვარა, ტრიბუნაზე მჯდარი მოხუცი გულშემატკივარი კი, რომელიც მოშუღართ ძველბიჭობის ნაცვლად თამაშისკენ მოუწოდებდა, „დინამოს“ მავანი ქომაგისგან ცემას ბეწვზე გადაურჩა, თუმცა გვარიანად გალანძღული და შეურაცხყოფილი დარჩა.

ამ მატჩის ბოლო მეოთხედში მომხდარი ამბავი კრივის მოყვარულთათვის კარგი სანახავი იქნებოდა. დინამოელმა ტომას ვენსკუნასმა აკადემიელ რევაზ ათანელაშვილს გამოზომილი ჰუკი უთავაზა, საპასუხოდ კი მძლავრი აპერკოტი მიიღო. ათანელაშვილს ცხვირიდან სისხლი წასკდა და აშკარად დაიჩაგრებოდა, რომ არა სათადარიგოდან წამომხტარი აკადემიელები. სანამ გამშველებლები მოუსწრებდნენ, მათ ერთი-ორი წიხლი ჩაახილეს ბუნტისთავ ლიტველს. მოედანზე ვნებათაღელვას რომ აცხრობდნენ, ტრიბუნაზე ერთი კაცი დასაბმელი გახდა. მხცოვანმა გულშემატკივარმა დინამოელებს ურჩია, ჩხუბს გიჯობთ, პატიოსნად ითამაშოთო, რამაც „დინამოს“ ერთი ქომაგი გააცეცხლა. მოხუცთან მიჭრილ „დინამოელს“ ბოლო წამს გაუნათდა გონება და უმწეო ბერიკაცს აღარ დაარტყა, თუმცა უგინებელი მკვდარ-ცოცხალი არ დაუტოვა.

დავბრუნდეთ მოედანზე: მსაჯებმა ვენსკუნასიცა და ათანელაშვილიც, რა თქმა უნდა, გააძევეს. მათ მინიმუმ სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა ელით.

ვენსკუნასთან ერთად დინამოელები მომავალ მატჩებში ალბათ მეორე ლეგიონერს, არმენ ოგანესიანსაც მოისაკლისებენ. ახმახმა სომეხმა პირველ ტაიმში მუხლი იტკინა და თამაში ველარ გააგრძელა. არადა, ეს მატჩი ნაღდად არ ეღირდათ დინამოელებს ამდენ დავიდარაბად, ისინი ხომ აუტსაიდერს ხვდებოდნენ და ყველა შემთხვევაში მოუგებდნენ, რაც მოახერხეს კიდეც — 85:72.

ამის შემდეგ ერთობ უინტერესო მატჩი გაიმართა. „სტუ-ჯეოსელმა“ პირველი მეოთხედი 40:16 მოუგო უსუსტეს „ქუთაისს“ და დარჩენილ დროში მაყურებელი ტექნიკოსთა დროდადრო ეფექტურად ჩატენილი ბურთებით თუ ხალისობდა. საბოლოოდ სტუ-მ 111:62 დაამარცხა ქუთათურები და დღის მატჩის ჯერიც დადგა თსუ — „ბასკო“.

ამ თამაშს სატურნიროსთან ერთად ის ინტრიგაც ახლდა, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ლევან ქარაბაკი სწორედ თსუ-დან გადაიბირეს ბათუმელებმა. ისე კი, თბილისელებსაც ჰყავდათ ერთი ბასკოელი. ზღვისპირელების დაწუნებულმა ლუკა შანიძემ თავშესაფარი თსუ-ში ჰპოვა და, სხვათა შორის, არცთუ უხეიროდ ებრძოლა თავის ყოფილ გუნდს.

„ბასკოში“ გამოჩნდა ამერიკელი გამთამაშებელი როლანდ ჯონსი, რომელიც თითქმის ერთი წლის უთამაშებელია და თსუ-სთან ვერაფრით გამოიჩინა თავი. ჯონსი კი არა, მთელი პირველი ტაიმი ვერცერთმა ბასკოელმა ააწყო თამაში. ქარაბაკი და ბაბიაშვილი შეტევაში გამუდმებით ცდებოდნენ, არც „ბასკოს“ უკანა ხაზს ულხინდა. ბათუმელთა თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა რა არ იღონა, შეცვლას შეცვლაზე ეშურებოდა, მაგრამ არც ერთ ბასკოელს არ აღმოაჩნდა ფხა. თსუ-ში კი „ძველი გვარდია“ მძლავრობდა — ორმოცაძე და ტურაშვილი, რომლებსაც შედარებით ახალგაზრდა ვალერი კილაძეც ეხიდებოდა ხოლმე. ისინი იოლად კვეთდნენ ბასკოელთა დაცვას და მესამე მეოთხედის დასაწყისში 20-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს.

„ბასკო“ ალბათ სამარცხვინოდ წააგებდა, ლევან ქარაბაკი ჩვეულად რომ არ ათამაშებულიყო. ლევანი მესამე ათწუთელის შუაწელში მოვიდა იშტაზე და მეფარე მეწყვილე კახა შენგელიაც აიყოლია. მათ უკანიდან გიორგი ნიკოლაძე და დავით ბერიშვილი უმაგრებდნენ ზურგს, ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ბოლო მეოთხედის წინ „ბაკომ“ 11 ქულამდე შეამცირა სხვაობა.

თსუ აშკარად დაიღალა, გაკაჟებულ ბათუმელებს კი ბოლო მეოთხედში მოეძალათ ენერგია. შენგელია-ქარაბაკის შემჩერებელი არავინ მოიძებნა თსუ-ელთაგან და საქმეს ისეთი პირი გამოუჩნდა, თამაშის ბედს ბოლო წამები გადაწყვეტდა. ასეც მოხდა, ფინალი დრამატული და სტუმართათვის უიღბლო გამოდგა.

როცა თსუ-ელმა მამუკა ტურაშვილმა თამაშის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე თავისი გუნდის სასარგებლოდ ანგარიში 76:69 გახადა, თბილისელთა გამარჯვებაში ალბათ აღარავის ეპარებოდა ეჭვი. ბათუმელებმა კი იმდენი მოახერხეს, რომ საქმე ბოლო სროლამდე მიიყვანეს, რომლის ჩაგდების შემთხვევაში თამაში ოვერტაიმში გადავიდოდა... ყველაფრის თავიდათავი კახა შენგელიაა, რომლის აქტიურობით „ბასკომ“ 4 ქულა მიითვალა და საფინალო სირენამდე ათიოდ წამით ადრე ბათუმელები 3 ქულით მიუახლოვდნენ მეტოქეს. თსუ-ს თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ თბილისელებმა ბურთი უხეიროდ შეიყვანეს თამაშში და... ბოლო შეტევა ისევ შენგელიამ ითავა და სირენამდე ოთხი წამით ადრე საჯარიმო ხაზზე აღმოჩნდა. გამოსავალი ერთი იყო: პირველი სროლა უნდა ჩაეგდო, მეორე კი განზრახ აეცილებინა იმ იმედით, რომ თანაგუნდელნი ფარქვეშ იყოჩაღებდნენ. ასეც მოხდა: ზუსტი სროლით კახამ სხვაობა ორამდე შეამცირა და აცილებული ბურთი თავად მოხსნა, თუმცა გადამწყვეტი სროლა გაუცუდდა და მატჩის გმირი ვერ გახდა.

კვირის ბოლო მატჩში კი მხოლოდ პირველ ტაიმში ვიხილეთ ბრძოლა. „მაკაბიმ“ მაქსიმუმი გაიღო და მომძლავრებულ „აზოტთან“ ტაიმი მხოლოდ 3 ქულით წააგო. დანარჩენისთვის თბილისელებს ძალა არ ეყოთ. მაკაბელი ირაკლი ბერიშვილი ხშირად ხეირობდა, მაგრამ მხოლოდ მისი ილაჯით ვერაფერს გახდნენ თბილისელები. გოგობერიშვილმა და ჯაფარიძემ მესამე მეოთხედიდან საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და „აზოტი“ რუსთავში 23-ქულიანი გამარჯვებით გაბრუნდა.



გუგა ... ფოტო

ყმაწვილი სტუ-ელი გიორგი მარხვაშვილი მოურიდებლად შეიჭრა „ბასკოს“ ფარქვეშეთში

# მწარე ვაშლი
## ბასკო თბილისში ორჯერ გაჭრეს

**ვცდილობთ,** მაგრამ ვერაფრით ვიხსენებთ ბასკოელთა ასეთ უხეირო თბილისურ ვოიაჟს. ბათუმელებმა თსუ-სთან საკვირაო მარცხს გუშინ ტექნიკურ უნივერსიტეტელებთან წაგებაც მიაყოლეს და შინ გვარიანად შერცხვენილნი ბრუნდებიან.

წაგებაცაა და წაგებაც: თუ თსუ-სთან ორქულიანი დამარცხებისთვის ბათუმელებს არავინ დაძრახავს, გუშინდელი წარუმატებლობით გამოწვეულ სირცხვილს ზღვისპირელები ალბათ კარგა ხანს ვერ ჩამოირეცხენ — „ბასკომ“ 23 ქულით წააგო, თუმცა მთავარი ალბათ ისაა, რომ ჩემპიონებმა მესამე მეოთხედში დაკარგეს წარმატების იმედი.

„ბასკო“ — სტუ-ს პირველი ტაიმი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდათ წინა დღის „ბასკო“ — თსუ-ს პირველ ნახევარს. ბათუმელები ქაოტურად მოქმედებდნენ და ჯიუტად ცდილობდნენ ფარზე უპირატესობის მოპოვებას, რაც არაფრით გამოსდიოდათ. სტუ-ს მაღლებს უფრო საკუთარ ფარქვეშ უხდებოდათ ბრძოლა, ვიდრე „ბასკოს“ ზონაში, რადგან ტექნიკოსთა უკანახაზელები კონტრშეტევებით იოლად იხვეჭდნენ ქულებს. ისე კი, სტუ-ს ცენტრი დავით მუშკუდიანი სამქულიანებით უფრო გამოირჩა, ვიდრე „ბასკოს“ მეფარეებთან ფარქვეშა ჯაჯგურით. მეორე მეოთხედში სტუ სწორედ მუშკუდიანის მეორე სამქულიანის შემდეგ დაწინაურდა გვარიანად — 31:16.

ბასკოელებმა ფარქვეშა მიდამოებიდან ხეირის ძიება ალბათ მათი უკანახაზელების უგერგილობის გამო გადაწყვიტეს. „აკადემიიდან“ შემატებულ ახალგაზრდა გიორგი ცინცაძესა და დავით ბერიშვილს თავიდან თამაში არ წაუვიდათ. მეორე მეოთხედის შუაწელში ამ დუეტმა პოზიციები გაიმყარა და ბათუმელებმაც ანგარიშის შემცირება იწყეს. ბერიშვილმა ორჯერ ზუსტად სტყორცნა სამქულიანი, ცინცაძემ კი რამდენჯერმე ჩაჭრა ბურთი და თავადაც ხომ ხეირობდა, გამოზომილი პასებით, თანაგუნდელებსაც ტოვებდა ხელსაყრელ პოზიციაში.

დიდი შესვენებიდან ბასკოელები 9-ქულიანი ჩამორჩენით დაბრუნდნენ და უმალ გაიხარეს — მუშკუდიანმა მე-5 პერსონალური მიიღო. წესით, ტექნიკოსთა ცენტრის გავარდნას ბასკოს მეფარეთა გალაღება უნდა მოჰყოლოდა, თითქოს ასეც მოხდა, ბაბიაშვილმა ერთი-ორი შედეგიანი გარღვევა განახორციელა და სტუ-ს უპირატესობა 5 ქულამდე შეკვეცა, თუმცა ლევან ქარაბაკის ტექნიკურის შემდეგ ბასკოელთათვის ყველაფერი თავდაყირა დადგა. ტყუილად დამაჯარიმეო, ქარაბაკი დავით ბერეკაშვილს შემოსწყრა და... კოტე ტულუშის სამ ზუსტ საჯარიმო სროლას ლაშა ლორსაბერიძემ სამქულიანი მიაყოლა და ბათუმელთათვის ჯოჯოხეთიც ამით დაიწყო. ლორსაბერიძემ მარცხენა ფლანგი გაიგემრიელა და კონტრშეტევებით ტუქსავდა ბათუმელებს. აქეთ ტულუში, ტუჯანი და ოთიურიძე არტყამდნენ მიზანში და მესამე მეოთხედის ბოლო 6 წუთი ტექნიკოსებმა 26:6 მოიგეს... 24 ქულით ჩამორჩენილ „ბასკოს“ ბურთაობას ბოლო ათწუთეულში მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობაღა ჰქონდა.

დღის დარჩენილი ორი მატჩი საინტერესო იყო, ოღონდ სატურნირო თვალსაზრისით, თორემ „აკადემია“ — „მაკაბისა“ და სსუ — „ქუთაისის“ მაცქერალი დიდად ვერ ისიამოვნებდა. მიუხედავად ცხრილში მეზობლობისა, ქუთათურებმა იოლად მოუთავეს საქმე სოხუმელებს, „მაკაბის“ კი მხოლოდ საწყისი მეოთხედი ეყო აკადემიელთა წელში გასატეხად.

**ირაკლი პერტაია**

### სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 18 | 15 | 3 | + 397 | 33 |
| ბასკო | 18 | 13 | 5 | + 369 | 31 |
| დინამო | 17 | 14 | 3 | + 368 | 31 |
| თსუ | 17 | 13 | 4 | + 106 | 30 |
| აზოტი | 17 | 10 | 7 | + 55 | 27 |
| მაკაბი | 18 | 5 | 3 | -308 | 23 |
| ქუთაისი | 18 | 4 | 14 | -272 | 22 |
| სსუ | 17 | 4 | 13 | -346 | 21 |
| აკადემია | 18 | 1 | 17 | -259 | 19 |

16 თებერვალი. ვერის ბაღი

### აკადემია 72:85 დინამო

16:25, 15:26, 21:14, 20:20

**აკადემია:** გამყრელიძე (12), ლეჟავა (9), საყვარელიძე (22), გვიმრაძე (11), ჯანეზაშვილი (13); ჩხატარაშვილი (6), გიორგობიანი (5), დერიუგინი (2), ათანელაშვილი (2), გურასპაული

**დინამო:** ხოშტარია (18), აბრამიძე (8), ბეჟანიშვილი (12), მინაშვილი (8), ოგანესიანი (7); ნინიაშვილი (16), ვენსკუნასი (6), ნაცვლიშვილი (4), მუპე (4), ჩხეიძე (2), თორთლაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

### სტუ 111:62 ქუთაისი

40:16, 23:9, 21:17, 27:20

**სტუ:** ტულუში (12), დავითულიანი (9), ლორსაბერიძე (12), ოთიურიძე (10), მუშკუდიანი (14); მარხვაშვილი (13), ახალკაცი (12), ტუჯანი (9), ხეცურიანი (8), ნოზაძე (8), ლაფანაშვილი (4)

**ქუთაისი:** ნინუა (5), კვიმსაძე (12), პირტახია (3), მ. ბოლქვაძე (14), იმნაძე (15); მაისურაძე (5), ა. ბოლქვაძე (4), შავლაყაძე (2), დარახველიძე (2), შანიძე, დოლიძე

**მსაჯები:** დავით მაჭავარიანი, ლიკა ქაჯაია

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

### მაკაბი 83:106 აზოტი

22:23, 27:29, 7:33, 27:21

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (32), ანდღულაძე (5), ფიცხელაური (6), ვაშაკიძე (12), სუხიშვილი (13), კონჯარია (2); ქოქოსაძე (9), ბერია (4), ტატუნაშვილი, ერგემლიძე

**აზოტი:** ღლენტი (9), არწივიძე (3), გოგობერიშვილი (23), ტყეშელაშვილი (12), ჯაფარიძე (15); კოკოლიშვილი (15), ბერუაშვილი (10), ჯიმშელეიშვილი (8), დანელიანი (6), ლიპარტელიანი (5), მაჭარაძე

**მსაჯები:** დავით მაჭავარიანი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

### თსუ 76:74 ბასკო

20:14, 21:12, 22:26, 13:22

**თსუ:** მაისურაძე (12), ტურაშვილი (21), შანიძე (7), ორმოცაძე (8), კილაძე (17), არსიაშვილი (8), ბ. ბერიშვილი (3), კორძაძე

**ბასკო:** ჯონსი, დ. ბერიშვილი (1), კეოდია (8), ქარაბაკი (24), შენგელია (26); ბაბიაშვილი (11), წოწელია (3), ცინცაძე (24), ნიკოლაძე (1), როდუმტა

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

17 თებერვალი. ვერის ბაღი

### სტუ 97:74 ბასკო

26:14, 25:28, 27:12, 19:20

**სტუ:** ტულუში (16), დავითულიანი (6), ლორსაბერიძე (15), ტუჯანი (9), მუშკუდიანი (16); ახალკაცი (14), ხეცურიანი (10), ოთიურიძე (10), მარხვაშვილი (6), ახალკაცი (4), ლაფანაშვილი (3), ნოზაძე (2)

**ბასკო:** დ. ბერიშვილი (12), ცინცაძე (5), კეოდია (4), ქარაბაკი (10), შენგელია (16); ბაბიაშვილი (18), წოწელია (4), როდუმტა (3), კეშელავა (2), ნიკოლაძე

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

### აკადემია 90:99 მაკაბი

25:24, 17:26, 16:22, 32:27

**აკადემია:** ლეჟავა (32), გამყრელიძე (5), საყვარელიძე (31), გვიმრაძე (2), ჯანეზაშვილი (6); ჩხატარაშვილი (14), დერიუგინი

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (29), ვაშაკიძე (21), ტატუნაშვილი (2), ფიცხელაური (2), სუხიშვილი (25); ანდღულაძე (10), კონჯარია (10), ქოქოსაძე

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

### სსუ 75:94 ქუთაისი

16:21, 28:30, 17:16, 14:27

**სსუ:** სორდია (14), კვაჭაძე (9), აბულაძე (18), კანკია (13), ურიდია; ქვილითაია (5), ჩიტაშვილი (3), ბენდიაშვილი (3), მურჯიკნელი, ლუკავა, ხოშტარია, ბარბაქაძე (10)

**ქუთაისი:** ნინუა (11), კვიმსაძე (18), პირტახია (16), ბოლქვაძე (26), იმნაძე (21); შანიძე (2)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, დავით მაჭავარიანი

**კომისარი:** როლანდ გელოვანი



REUTERS

ამ უქმეებზე ვლადიმერ სტეფანიას დიდი ბრძოლები გადახდა

# ლომი სტომატოლოგთან

## უშაკილო ლეიკერსს კბილები სტკივა

**კალათბურთის** გულშემატკივართ ამ უქმეებზე მოსაწყენად არ ეცალათ, რამდენიმე ბურთაობა ზღაპრულად კარგი გამოდგა, შედეგებიც საინტერესოა: „სან ანტონიომ" მოიგო ორი თამაში (დაამარცხა „ლეიკერსი" და „საკრამენტო"), ხოლო ჩემპიონის შესაბამისი სიდიადით წამომდგარმა და ზედიზედ შვიდი მეტოქის დამტორავმა ლომმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ორჯერ მოიდრიკა ქედი: „სან ანტონიოს" გარდა ამბიციებდამჯდარ „ნიუ იორკსაც" დაუთმო.

„ლეიკერსს" „ნიუ იორკთან" ჭიდილში ვერაფერს შველოდა შაკილ ონილი, მას ძველ ტრავმათაგან ერთ-ერთმა შეახსენა თავი. შაკი ალბათ მალე მომჯობინდება...

„ნიუ იორკთანაც" იყოჩაღა კობი ბრაიანტმა, უშაკილო ჩემპიონებს ტრადიციისამებრ ბევრი ქულა მიახმარა, თავის წილად 40 ჩააგდო, მაგრამ მაინც დაიჩრდილა სხვისგან. „ნიქსის" ალან ჰიუსტონმა, რომელიც კობივით ელეგანტური დრიბლიორი ვერაა, მაგრამ ბურთის სროლა კი შეუძლია, ლოსანჯელესელებს 53 ქულა ჩაუგდო და ბრაიანტს ამას წინათ „დენვერთან" დამყარებული რეკორდი (51 ქულა) აართვა. კობის ისღა დარჩენოდა, რომ ალალად ეღიარებინა, ალანი ჩემზე ჩუბინი მსროლელიაო. სასხვათაშორისოდ გეტყვით, რომ ბრაიანტს ბოლო ცხრა თამაშში საშუალოდ 42 ქულა მოაქვს „ლეიკერსისთვის". ასევე სასხვათაშორისოდ — ალან ჰიუსტონი მეხუთე ნიუიორკელია, ვისაც თამაშში 50 და მეტი ქულა გაუკეთებია, პირველი პატრიკ იუინგის („ნიქსში" 1985-2000 წლებში თამაშობდა) შემდეგ.

# ბზდელიკი ნათესავებთანაც შერცხვა

14 თებერვალი

**ჰიუსტონი 89:94 მაიამი**

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (27), მობლი (10), პოუზი (6), გრიფინი (14), მინგი (10); ტეილორი (6), კატო (5), მორისი (3), ნორისი (1), ჰოკინსი

**მაიამი:** ბესტი (15), ჰაუსი (12), კ. ბატლერი (24), გრანტი (4); ჯეიმსი (15), რ. ბატლერი (5), **სტეფანია** (20 წუთი, 5 ქულა, 8 მოხსნა, 1 დაფარება), ელისი

15 თებერვალი

**დალასი 98:92 მაიამი**

**დალასი:** ნეში (19), ფინლი (17), ნახერა (9), ნოვიცკი (25 ქულა, 12 მოხსნა), ლაფრენცი (6); ვან ექსელი (17), გრიფინი (3), ეშმეიერი (2), ბრედლი, ბელი, უილიამსი

**მაიამი:** ბესტი (21), ჰაუსი (13), კ. ბატლერი (14), ალენი (6), გრანტი (4 ქულა, 11 მოხსნა); ელისი (10), რ. ბატლერი (10), **სტეფანია** (8 ქულა, 14 მოხსნა), ჯეიმსი (6)

15 თებერვალი

**ჩიკაგო 88:69 დენვერი**

**ჩიკაგო:** უილიამსი (9), როუზი (27), რობინსონი (4), მარშალი (6), ჩანდლერი (19 ქულა, 22 მოხსნა); ბაქსტერი (13), კარი (5), ჰესელი (4), ჰოობერგი (1)

**დენვერი:** ვიტნი (6), იარბრო (11), ჰარვი (8), ჰოვარდი (18 ქულა, 13 მოხსნა), ილარიო (9); კემბი (6), **ცქიტიშვილი** (21 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი), ვაიტი (3), ჰარინგტონი (2), ანდერსენი (2), ბოუენი, ბლუნტი

16 თებერვალი

**ნიუ ორლეანი 100:92 დენვერი**

**ნიუ ორლეანი:** ვესლი (20), ლინჩი (11), მაშბურნი (24), ბრაუნი (16 ქულა, 11 მოხსნა), მალუა (13 ქულა, 10 მოხსნა); მოისო (4), პეკი (4), ტრეილორი (4), კემპბელი (2), ალექსანდერი (2), პასტონი, ოგმონი.

**დენვერი:** ვიტნი (15), იარბრო (9), ჰარვი (14), ჰოვარდი (25), ილარიო (7); ვაიტი (9), ჰარინგტონი (6), ანდერსენი (4), **ცქიტიშვილი** (17 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა), ბოუენი (1), ბლუნტი

ჯეფ ბზდელიკი შესაძლოა, ერთადერთი დენვერელი იყო, ვისაც 15 თებერვალს ჩიკაგოს „იუნაიტედ სენტერში" გამარჯვება მართლა ეწადა. „დენვერს" თავკაცი ჩიკაგოს ერთ-ერთმა გარეუბანმა გაუზარდა ბზდელიკს ახლაც იქა ჰყავს ახლო ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები, რომელთა მთელი არმია მივიდა იმ თამაშის სანახავად, ასე, ორმოცამდე კაცი. ცხადია, ისინი თავად ბზდელიკმა დაპატიჟა, ბილეთის შოვნა ახლა ისე ძნელი არაა, როგორც დიდი „ჩიკაგოს" დროს. აღარც რიგი დგება სალაროებთან. ამ დაკნინებული „ხარების" სანახავად აბა, ვინ გაათევს ღამეებს?

ბზდელიკზე ვყვებოდით... მატჩის წინ მან საგანგებოდ დამოძღვრა მეგობრები, „ხარები" ჩიკაგოში ასე ადვილად წამოსაქცევნი არ არიან, როგორც დენვერში, მაგრამ ნურც უძლეველებად ჩათვლით და ჩვენ ჩვენი ვქნათო.

სცადეს, როგორ არა, ბევრი იჯახირეს და საბოლოოდ კატასტროფული სხვაობით არწაგებალა შეძლეს, სტუმრად 19 ქულით „დენვერი" არც პირველად აგებს და არც უკანასკნელად.

„დენვერმა" ოდნავ მეტად დაუფასა გამარჯვება ერთი დღის შემდეგ „ნიუ ორლეანს", მასთან მხოლოდ 8 ქულით წააგო. სამაგიეროდ, ამ მატჩში ზოგადად პროგრესირებული თანაგუნდელების ფონზე რეგრესი განიცადა ნიკა ცქიტიშვილმა. „ჩიკაგოსთან" მან 4 ქულა გააკეთა (7 სროლიდან 2 ჩაგდება), ორლეანელებთან კი ორს დასჯერდა (6-დან 1 ჩაგდება).

შესამჩნევად უკეთ წაუვიდა საქმე ნბა-ს გადახვეწილ მეორე ქართველს, ვლადიმერ სტეფანიას, როგორც პირად, ასევე ზოგადგუნდურ ასპექტში. მისმა „მაიამიმ" ორი თამაშიდან ერთი მოიგო, თან რიგიანი გუნდის მოედანზე. სტეფანიამ კი მოგებულ თამაშში 5-ქულიანი და 8-მოხსნიანი წილი დადო. საპატიო მონაგარია, მით უმეტეს, თუ მას მეურვე-ოპონენტად ვეება ჩინელი იაო მინგი ჰყავდა.

წაგებულ შეხვედრაში ვოვა ვინძლო ერთ-ერთი საუკეთესოც იყო თავისიანთაგან, მან 8 ქულა ჩაუგდო და 14 ბურთი მოუხსნა მიმდინარე ჩემპიონატის ზემდგომ „დალას მავერიკსს". „მაიამიმ" „ჰიუსტონს" კინაღამ ეს მეორე ტეხასური გუნდიც არ მიაყოლა.

**ირაკლი ფირაშვილი**

14 თებერვალი

**ინდიანა 98:97 ატლანტა**

ძირითადი დრო 87:87

**ინდიანა:** რ. მილერი (26)

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (21 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 90:72 ჩიკაგო**

**ნიუ ჯერსი:** კიტლზი (21)

**ჩიკაგო:** უილიამსი (13)

**ფილადელფია 99:98 ორლანდო**

**ფილადელფია:** კოულმენი (22)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (37)

**იუტა 109:77 ვაშინგტონი**

**იუტა:** მელოუნი (23 ქულა, 11 მოხსნა)

**ვაშინგტონი:** ჰიუზი (14)

**საკრამენტო 110:81 სიეტლი**

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (24)

**სიეტლი:** პეიტონი (20)

**ტორონტო 114:118 გოლდენ სტეიტი**

ძირითადი დრო 102:102

**ტორონტო:** ლენარდი (26)

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (32)

**მინესოტა 114:93 ნიუ ორლეანი**

**მინესოტა:** გარნეტი (23)

**ნიუ ორლეანი:** ვესლი (21)

**მემფისი 103:110 დალასი**

**მემფისი:** გასოლი (25)

**დალასი:** ნოვიცკი (31)

**მილუოკი 96:86 დეტროიტი**

**მილუოკი:** ტომასი (21)

**დეტროიტი:** ჰამილტონი (28)

**ფინიქსი 115:116 ნიუ იორკი**

**ფინიქსი:** მარბერი (43)

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (26)

**ლეიკერსი 95:103 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (44)

**სან ანტონიო:** დანკანი (28 ქულა, 20 მოხსნა)

15 თებერვალი

**პორტლენდი 101:96 სიეტლი**

**პორტლენდი:** ვოლესი (27)

**სიეტლი:** დრობნიაკი (23)

**კლიპერსი 84:92 ბოსტონი**

**კლიპერსი:** ბრენდი (26)

**ბოსტონი:** პირსი (35)

16 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 83:90 ფილადელფია**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (21)

**ფილადელფია:** აივერსონი (32)

**მილუოკი 95:101 მემფისი**

**მილუოკი:** ალენი (23)

**მემფისი:** გასოლი (19)

**საკრამენტო 101:104 სან ანტონიო**

**საკრამენტო:** დივაცი (22)

**სან ანტონიო:** დანკანი (34 ქულა, 12 მოხსნა)

**ფინიქსი 101:92 ბოსტონი**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (25)

**ბოსტონი:** პირსი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**ტორონტო 99:97 ორლანდო**

**ტორონტო:** ე. უილიამსი (22)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (36 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)

**ატლანტა 99:86 ინდიანა**

**ატლანტა:** ტერი (26)

**ინდიანა:** ტინსლი (21)

**კლივლენდი 95:90 დეტროიტი**

**კლივლენდი:** დევისი (19)

**დეტროიტი:** ჰამილტონი (23)

**მინესოტა 109:102 გოლდენ სტეიტი**

**მინესოტა:** გარნეტი (37 ქულა, 22 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** არენასი (31)

**ლეიკერსი 110:117 ნიუ იორკი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (40)

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (53)

# ევროლიგა

Euroleague

მეორე ჯგუფური ეტაპი | ტური 27-28 თებერვალს

**D ჯგუფი**
ცსკა
ეფესი
უნიკახა
ციბონა

**E ჯგუფი**
პანათინაიკოსი
ულქერი
სკიპერი
სიენა

**F ჯგუფი**
ბენეტონი
ტაუ
ფორტიტუდო
მაკაბი

**G ჯგუფი**
ბარსელონა
ოლიმპია
ოლიმპიაკოსი
ვილერბანი



ევროლიგაში მოყოჩაღებული „ბენეტონის" № 13 მანუჩარ მარკოიშვილია

ევროპის ერთა თასი 2003. პირველი ტური

**პორტუგალია 34:30 საქართველო**

16 თებერვალი. ლისაბონი. «ნასიონალი»

# ხუთი თითი ბორჯღალოსნების სახეზე

„პორტუგალიამ შოკში ჩააგდო საქართველო" — ასე ეხმაურება პოპულარული სარაგბო საიტი PLANET-RUGBY პორტუგალია — საქართველოს მატჩს.

ჩვენ კი ასე. ვთქვათ, ერთა თასის მაჩანჩალამ პორტგალიამ ალიყური აჭამა ფავორიტ საქართველოს.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ბორჯღალოსნები რომ წააგებდნენ, ამის საფუძველი არსებობდა. დავიწყოთ იმით, რომ ჩვენები პორტუგალიას თავისი დონის გუნდად არ თვლიდნენ და ნახევარი ძალით აპირებდნენ თამაშს. არადა, კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ მეტოქის შეუფასებლობა ბეწვის ხიდზე გავლის ტოლფასია.

ზოგადად ჩვენებს ძალიან უჭირთ პორტუგალიასთან სტუმრად თამაში. ქართველები აქამდე სამჯერ ესტუმრნენ „ლობოსებს" (პორტუგალიის ნაკრების მეტსახელია) და ყველა მატჩში ბრძოლა ბოლო წუთამდე იყო. ამ სამი შეხვედრიდან ჩვენებმა ერთი წააგეს, ორში კი მეტოქეს ბოლო წუთზე გამოჰგლიჯეს გამარჯვება.

ამჯერზეც ასე იყო. მასპინძლებმა წამატებულ დროში გაიტანეს ლელო და მათთვის საარაკო, ჩვენთვის კი სამარცხვინო შედეგი დაფიქსირდა.

ქართველებს აკლდათ ტრავმირებული ლევან ცაბაძე, ვანო ნადირაძე და ოჯახური პრობლემების გამო გათავისუფლებული გია ლაბაძე. ესენი გუნდის ლიდერები და საკვანძო მოთამაშეები არიან. ნაკრების უფროსობა ალბათ ამასაც დაასახელებს წაგების ერთ-ერთ მიზეზად. არადა, ეს ვერაფერი გამართლებაა. საფრანგეთში სამოცდაათამდე ქართველი ლეგიონერია და მათში ყოველთვის მოიძებნება ხუთი-ექვსი ისეთი კაცი, რომლებიც რიგიან კლუბებში თამაშობენ და ფორმაშიც არიან. ყოველ შემთხვევაში, პორტუგალიას უნდა გასწვდნენ.

მაშინ რაღა თქვან პორტუგალიელებმა, რომელთაც ერთი კინკილა „ფრანვი" და ესპანეთის ლიგაში მობურთალი სამიოდ კაცი მოეძებნებათ. მგონი, სხვაობა არის, თანაც დიდი. წაგების მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ.

ჩვენები ამ კონკრეტულ მატჩს და მთლიანად ტურნირს სხვა კუთხით მიუდგნენ. შარშან, რუსეთის დამარცხების და მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვების შემდეგ ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა თქვა, ერთა თასს მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელ ეტაპად გამოვიყენებო. კი, ბატონო, კარგია, რომ მომავლისკენ იყურები, თან მანევრების საშუალებაც გაქვს, მაგრამ ამ საქმეში ზომიერებაც საჭიროა.

ცაბაძის, ნადირაძისა და გია ლაბაძის იძულებით არყოფნაში სორელმა უარი თქვა სალ-სალამათ მევლუდ მთიულიშვილსე და კახა ალანიაზე — მათ მაგივრად ახალგაზრდებს გამოვცდიო. გამოდის, ისედაც ლამის განახევრებული გუნდი ექსპერიმენტებმა მთლად დაასუსტა. შედეგიც შესაბამისია.

ისე, თუ გამოცდაზე და ახალი სისხლის გადასხმაზე მიდგა საქმე, უპრიანი იქნებოდა, ერთხელ მაინც ენახათ ბობა კვინიხიძე, რომელმაც პირველი და ჯერჯერობით ბოლო სანაკრებო მატჩი შარშან, რუმინეთთან წაგებულ შეხვედრაში ითამაშა. კვინიხიძე ამპლუით მე-10 ნომერია, ამ ადგილზე კი ბორჯღალოსნებს ძალიან უჭირთ. პალიკო ჯიმშელაძის სრულფასოვანი შემცვლელი ჩვენში ჯერ ვერ მოიძებნა.

თავად მატჩზე კი ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რადგან ვერც ტელევიზიით ვნახეთ და არც იქაურ საინფორმაციო საშუალებებს გამოუდვიათ თავი.

ცნობილია, რომ პირველი ტაიმი ბორჯღალოსნებმა 23:21 მოიგეს.

მეორე ნახევარში ქართველები ერთი პირობა 30:24 დაწინაურდნენ. ამ დროისთვის უელსელმა მსაჯმა ნაიჯელ ოუენსმა ქართველებს ორი ლელო არ ჩაუთვალა და თან აქვსენტი გიორგაძის უმცროსი ძმა ირაკლი 10 წუთით გააგდო.

ჩვენებურთაგან 2 ლელო ვასილ კაცაძემ მიითვალა, ერთი კი ირაკლი აბუსერიძემ. სამი გარდასახვა და ამდენივე საჯარიმო პალიკო ჯიმშელაძემ გაიტანა.

მატჩის მიწურულს პორტუგალიელებმა ანგარიშში სხვაობა 3 ქულამდე შეამცირეს. მასპინძლები ამის შემდეგაც ძალუმად უტევდნენ ჩვენებს და ზედ საფინალო სასტვენის წინ მეტოქე მაინც გატეხეს. პორტუგალიელთა ბოლო შეტევისას ბორჯღალოსნებს მასპინძელთა გარემარბი გაექცათ და ისიც მოედნის კიდიდან შევარდა ჩვენს ლელოში.

ჩვენებმა ამ შემადგენლობით ითამაშეს: **ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ი. გიორგაძე, კაცაძე, ჯიმშელაძე, აბუსერიძე, შველიძე, ა. გიორგაძე, რატიანიძე, დიდებულიძე, მჭედლიშვილი, ჩხაიძე, იაშვილი, ზედგინიძე (კაპ).**

**ბაჩო სვანიძე**

# რუსებმა ესპანელებს ბებიები და დედები უტირეს

16 თებერვალი. მალიორკა

**ესპანეთი 19:52 რუსეთი**

**ესპანეთი: 1ლ: ტუინიუ; 1გ: კასკარა; 4ს: კასკარა**

**რუსეთი: 5ლ: ს. სერგეევი, ფედჩენკო, გრაჩოვი, ა. სერგეევი, კუზინი; 3გ: რაჩკოვი; 6ს: რაჩკოვი; 1ა: რაჩკოვი**

რუსებმა ზედ მატჩის წინ გაიგეს, რომ IRB-იმ (რაგბის საერთაშორისო საბჭომ) არ დააკმაყოფილა მათი აპელაცია და წლევანდელი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიდან საბოლოოდ მოკვეთა. ამასთან მსოფლიო რაგბის მამებმა რუსებს არც ფულად ჯარიმა, 75 ათასი გირვანქა სტერლინგი შეუმცირეს, ოღონდ შეღავათი გაუწიეს და ჯარიმის გადახდის ვადად სამი წელი დაუთქვეს.

ამან სულ მთლად გადარია ისედაც გახელებული რუსები და მათაც ესპანელებისგან ქვა ქვაზე არ დატოვეს. რას ვერჩით, თქვეს, ესპანელებს გადავუვლითო და შეასრულეს კიდეც.

„დათვების" გოლიათმა კაპიტანმა სერგეი სერგეევმა უკვე პირველ წუთზე დაალელოვა მეტოქე. აქედან მოყოლებული, სლავებმა კიდევ 4 ლელო გაიტანეს და არც მუშტის მოქნევა დაივიწყებიათ მასპინძლებისთვის. ერთი სიტყვით, წინასწარ გამოცხადებული ომი რუსებმა ღირსეულად მოიგეს და შინ თავაწეული ბრუნდებიან. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი ფრანგული „მონტობანის" გამთამაშებელი კონსტანტინ რაჩკოვი იყო 27 ქულით.

| ევროპის ერთა თასი 2003 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +33 | 2 |
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 2 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 0 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -33 | 0 |
| რუმინეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

**მეორე ტური**

22 თებერვალი

**საქართველო — ესპანეთი**

**პორტუგალია — რუმინეთი**

**ექვსი ერი 2003**



შოტლანდიელი გლენ მეტკალფი (შავ მაისურაში) და ირლანდიელი ბრაიან ოდრისკოლი ჰაერშიც შებმულან

REUTERS

# ტრიუმფალური გლოვა

## ინგლისი და ირლანდია: ბრავო! იტალია: ბრავისიმო!!!

15 თებერვალი. „თვიქნემი"

**ინგლისი 25:17 საფრანგეთი**

**ინგლისი: რობინსონი, ლუგერი, გრინვუდი, ბოჯსონი, კოენი, უილკინსონი, გომარშალი; ლეონარი (როუნთრი), ტომპსონი, ვაიტი, ჯონსონი (კაპ.), კეი, მუდი (დალალიო), ბეკი, ჰილი**

**1 ლ: რობინსონი; 1 გ: უილკინსონი; 5 ს: უილკინსონი; 1 ა: უილკინსონი**

**საფრანგეთი: პუატრენუ, რუჟერი (კასტანედი), ტრაილე, გარბაჟოზა, კლერკი, მერსერონი, გალტიე (კაპ.); ჟან-ჟაკ კრენკა, იბანესი, კალიფანო (მარკონე), ბრუზე, პელუ, ბეტსენი (შაბალი), მანე, ჰარინორდოკი**

**3 ლ: მანე, პუატრენუ, ტრაილე; 1 გ: მერსერონი**

წლევანდელი ექვსი ერის მომავალ ჩემპიონად სწორედ ამ წყვილიდან ერთ-ერთს მიიჩნევენ და სამართლიანადაც. ალბათ ამიტომაც, ამ მატჩის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ვინც მოიგებდა, საქმესაც ის აიწყობდა.

მოიგო ინგლისმა, რომელიც ბრწყინვალე ფორმაშია და მიჯრით მე-19 მატჩია, „თქვიქნემზე" წაუგებელია. მატჩის გმირი გახდა „ვარდების" 23 წლის გამთამაშებელი ჯონი უილკინსონი, რომლის ფეხჩუბინობა და ყოჩაღობა ალარავის აკვირვებს.

ისტორიული მოქიშპეების ჯახის წინ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ინგლისის ნაკრების 21 წლის ჰავბეკს ნიკ დანკობის ხსოვნის. დანკობი პარასკევს ჰოსპიტალში აღესრულა მენინგიტის შეტევით. „თვიქნემზე" ინგლისის დროშა დაუშვეს, მორაგბეებს კი შავი სამკლავურები ეკეთათ. დანკობს ორი სანაკრებო კეპი ჰქონდა მოხვეჭილი და ალბათ ფრანგებთანაც ითამაშებდა, მაგრამ ვერაგმა სენმა გამოასალმა სიცოცხლეს. „იგი იყო ხალასი ნიჭი, მომავალი თაობის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე. ნიკის სიკვდილი ყოველი ჩვენგანისთვის დიდი ტრაგედიაა" — თქვა ინგლისის ნაკრების მწვთრნელმა კლაივ ვუდვორდმა.

მატჩს ესწრებოდა პრინცი ჰარი, რომელიც რაგბის ფანია და თავადაც რაგბობს კოლეჯის გუნდში.

ინგლისელებს ვეება მარტინ ჯონსონი კაპიტნობდა, რაკი „ბებერი მგელი" ლოურენს დალალიო სათადარიგოებში მოხვდა. თუმცაღა საომრად გუნდი მასპინძელთა მორკინალმა ჯეისონ ლეონარმა გამოიყვანა, რომლისთვისაც ეს მატჩი საიუბილეო, მე-100 სანაკრებო იყო. ამდენი კეპი ინგლისის ნაკრებში არავის მოუხვეჭავს.

პირველი ტაიმი ინგლისელებმა 12:7 მოიგეს. ჯონი უილკინსონის 4 საჯარიმოთი მასპინძლებმა ოლივიე მანეს ლელო და ჟერალ მერსერონის გარდასახვა გააბათილეს. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მერსერონი ყველაზე სუსტი წერტილი იყო ფრანგების შემადგენლობაში. „მონფერანში" ლევან ცაბაძის თანაკლუბელმა ისეთი დარტყმები გააცუდა, თავად ინგლისელებს დაალებინა პირი.

მეორე ტაიმის დებიუტი მასპინძლებისა იყო. მათი მრავალფაზიანი და გაშლილი შეტევების შეჩერება სტუმრებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ. ერთ-ერთი ასეთი მიძალებისას მულატმა ჯეისონ რობინსონმა ფრანგების აყლაყუდა მცველებს ჩაუდრიბლინგა და მეტოქის ლელოში შევარდა. ინგლისელებს მეტი ლელო აღარ გაუტანიათ, თუმცაღა მეორე ტაიმის შუაწელში 25:7 მაინც დაწინაურდნენ. და ვისი წყალობით? ცხადია, „ყუმბარმტყორცნი" უილკინსონის, რომელიც მოედნის ნებისმიერი წერტილიდან ბომბავდა ფრანგთა კარებს. ჯონიმ რამდენიც დაარტყა, იმდენი გაიტანა, დარტყმულებში კი ერთი არეკნიც გამოურია.

ფრანგთა გურუმ ბარნარ ლაპორტმა მატჩის მიწურულს ახალი ძალა შეუშვა მოედანზე და სტუმრებმა ორი ლელოც გაიტანეს, ოღონდ ეგაა, ცვლილებები დაგვიანებული გამოდგა. მართალია, მსაჯმა ძირითად დროს ძალიან ბევრი, 13 წუთი დაამატა, მაგრამ ინგლისელები მაგრად დადგნენ და მეტოქეს მეტის გატანა აღარ დაანებეს.

ფრანგების შემადგენლობაში არ უთამაშია ბორჯღალოსანი გრეგუარ იაშვილის უმცროს ძმას, დიმიტრის, რომელიც მატჩის განაცხადში კი იყო, მაგრამ ლაპორტმა გაჭირვებაში მისი გამოყენებისგან თავი შეიკავა.

15 თებერვალი. „სტადიო ფლამინიო"

**იტალია 30:22 უელსი**

**იტალია: 3ლ: დე კარლი, ფესტუჩია, ფილიპსი; 3გ: დომინგესი; 1ს: დომინგესი; 2ა: დომინგესი**

**უელსი: 3ლ: ს. უილიამსი, შანკლინი, ჰილი; 2გ: ჰარისი; 1ს: ჰარისი**

იტალიელებმა რომის „სტადიო ფლამინიოზე" ფიესტა მოიწყვეს. ლეგენდარულ ახალზელანდიელ ჯონ ქირვანის დამოძღვრილმა „აძურამ" უელსელებს შავი დღე აყარა და სენსაცია გამოაცხო.

მესამე წელია, რაც იტალიელები ექვსი ერის ოჯახში მიიღეს. მანამდე აპენინელებმა მხოლოდ ერთი მატჩი მოეგოთ, სადებიუტო სეზონში შინ შოტლანდია დაემარცხებინათ. მას შემდეგ „სკუადრა აძურამ" ზედიზედ 14 მატჩი წააგო.

„ამ დღეს მთელი სამი წელი ველოდი. ბოლოს და ბოლოს მოვიგეთ და ახლა დროა, მეტის მიღწევაზეც ვიფიქროთ. მადლობა გულშემატკივარს და ჩვენს მწვრთნელ ჯონ ქირვანს." — ხარობდა იტალიელთა უბერებელი მე-10 ნომერი დიეგო დომინგესი.

დომინგესი ტომით არგენტინელია და ზინედინ ზიდანის ძმაკაცობითაც ცნობილა. ის მთელი მატჩი არ გაჩერებულა, ბლომად პასები არიგა და თავის წილად გუნდს 15 ქულა მოუნაგრა.

მატჩის კვანძი 62-ე წუთზე გაიხსნა, როცა იტალიელთა კაპიტანმა ალესანდრო ტრონკონმა ბურთი ჩაჭრა და ტომით ახალზელანდიელი მეტ ფილიპსი ხაღელოედ გააქცია. ამას დომინგესმა არეკნი დაურთო და ანგარიში 30:17 გახადა მასპინძელთა სასარგებლოდ. მერე იტალიელებს კრისტიან ბეცი გაუგდეს 10 წუთით, თუმც რიცხვნაკლულ მეტოქეს უელსი მხოლოდ ერთ კინკილა ლელოს გამორჩა.

16 თებერვალი. „მარიფილდი"

**შოტლანდია 6:36 ირლანდია**

**შოტლანდია: 2ს: როსი**

**ირლანდია: 3ლ: ჰიკი, მერფი, ჰემფრიზი; 3გ: ჰემფრიზი; 5ს: ჰემფრიზი**

ირლანდიამ გატეხა ნავსი და 18 წლის შემდეგ „მარიფილდზე" როგორც იქნა, მოიგო.

შოტლანდია დღეს ერთ ადგილს ტკეპნის, ირლანდია კი პირიქით — მწვანე კუნძულის რჩეული მორაგბეები დღითი დღე უმატებენ და ვინძლო წლევანდელი საექვსერო დავაში ინგლისსა და საფრანგეთსაც ამოუდგნენ გვერდში. მით უფრო, რომ ორივე კონკურენტს — ინგლისსა და საფრანგეთს მასპინძლობენ.

სქოთებს 26 ქულა გაუტანა ირლანდიელთა ვეტერანმა დევიდ ჰემფრიზმა, თუმც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მისი თანაგუნდელი ბრაიან ოდრისკოლი დასახელდა. მსოფლიო ვარსკვლავ კიტ ვუდის არყოფნაში „სამყურებს" ოდრისკოლი კაპიტნობდა და გუნდის სული და გული იყო. „ღმერთად" წოდებულმა ბრაიანმა ორ ლელოში დაიდო წილი და დაცვაში ბლომად ბოჭვებიც აკეთა.

**ბაჩო სვანიძე**

| ექვსი ერი 2003 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | +30 | 2 |
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | +8 | 2 |
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | +8 | 2 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | -8 | 0 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -8 | 0 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | -30 | 0 |

**მეორე ტური**

22 თებერვალი

**იტალია — ირლანდია**

**უელსი — ინგლისი**

23 თებერვალი

**საფრანგეთი — შოტლანდია**

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი. 19 თებერვალი** | | | | | | |
| 21.15 | 001 | გლადბახი-ვოლფსბურგი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტური. 22 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 003 | შტუტგარტი-კოტბუსი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.30 | 004 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 005 | ბაიერნი-ნიურნბერგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 006 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 008 | ჰანზა-ბოხუმი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 009 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 010 | შალკე-დორტმუნდი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 20.30 | 011 | ჰერტა-არმინია | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.30 | 012 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი. 19 თებერვალი** | | | | | | |
| 21.15 | 013 | როიტლინგენი-ბრაუნშვაიგი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXII ტური. 21 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 014 | კიოლნი-ალენი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 015 | კიოლნი-ალენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 22.00 | 016 | კარლსრუე-ალემანია | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 22.00 | 017 | ოსნაბრიუკი-ვალდჰოფი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 018 | სტ.პაული-უნიონი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.00 | 019 | ფიურტი-ლიუბეკი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 18.00 | 020 | ბურგჰაუზენი-აინტრახტი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 18.00 | 021 | როიტლინგენი-მაინცი | 2,7 | 3,0 | 2,7 | 1,42 | 1,35 | 1,42 |
| 18.00 | 022 | დუისბურგი-ტრიერი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 23.15 | 023 | ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 024 | ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი. 19 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 026 | ფულჰემი-უესტ ბრომვიჩი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტური. 22 თებერვალი** | | | | | | |
| 16.00 | 027 | ბოლტონი-მანჩესტერი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 16.30 | 028 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 19.00 | 029 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 030 | ნიუკასლი-ბლეკბერნი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 19.00 | 031 | ლიდსი-ნიუკასლი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.00 | 032 | სიტი-არსენალი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 19.00 | 033 | სანდერლენდი-მიდლსბრო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
| 18.00 | 034 | უესტ ბრომვიჩი-უესტ ჰემი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 20.05 | 035 | ბირმინგემი-ლივერპული | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **24 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 036 | ტოტენჰემი-ფულჰემი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები. 18 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 037 | ჯილინგემი-ვიმბლდონი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.45 | 038 | შეფილდი-რედინგი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 039 | პრესტონი-კრისტალ პალასი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 23.45 | 040 | იფსვიჩი-ვოლვერჰემპტონი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXIII ტური. 22 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 041 | ბრაიტონი-მილუოლი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 042 | ბერნლი-დერბი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 043 | ქოვენტრი-ბრედფორდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 044 | კრისტალ პალასი-გრიმსბი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 19.00 | 045 | იფსვიჩი-გრიმსბი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 046 | ლესტერი-უიმბლდონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 047 | ნოტინგემი-სტოკი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 048 | პორტსმუთი-ჯილინგემი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 049 | პრესტონი-ვოლვერჰემპტონი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 050 | რედინგი-როთერჰემი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 051 | შეფილდი-ნორვიჩი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 052 | უოლსოლი-უოტფორდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები. 18 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 053 | ბრენტფორდი-კოლჩესტერი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 23.45 | 054 | ნორთჰემპტონი-ბარნსლი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 055 | კარდიფი-პლიმუთი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 056 | ბარნსლი-ბლეკპული | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 19.00 | 057 | ჩესტერფილდი-კოლჩესტერი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 058 | ნოტს ქაუნთი-კრიუ | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 19.00 | 059 | ლუტონი-ბრენტფორდი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 060 | ნორთჰემპტონი-ბრისტოლი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 061 | ოლდჰემი-ვიგანი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 19.00 | 062 | პიტერბორო-სტოკპორტი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 063 | პორტ ვეილი-სვინდონი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 064 | ქუინს პარკი-მენსფილდი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 065 | ტრანმერი-ბლეკპული | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 066 | უიკომი-ვიგანი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები. 18 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 067 | ბერი-ოქსფორდი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 23.45 | 068 | ექსეტერი-კიდერმინსტერი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 23.45 | 069 | მაკლსფილდი-ლინკოლნი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 070 | რაშდენი-რექსემი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.45 | 071 | ბოსტონი-რაშდენი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXIII ტური. 22 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 072 | ბოსტონი-კიდერმინსტერი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 19.00 | 073 | ბორნმუთი-ექსეტერი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 074 | როჩდეილი-მაკლსფილდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 075 | ჰარტლპული-სვონსი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 076 | ჰარტლპული-სვონსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 19.00 | 077 | ჰალი-ქემბრიჯი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 19.00 | 078 | ლინკოლნი-შრუსბერი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 19.00 | 079 | როჩდეილი-კარლაილი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 080 | სკანთორპი-ლეიტონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 081 | საუთენდი-რაშდენი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 082 | ტორკი-ოქსფორდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 083 | იორკი-ბერი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **23 თებერვალი** | | | | | | |
